



1873

გეორგი ვაზგი

200

145  
145



# კრებული

სალიტერატურო ჟურნალი

გამოცემის

ჩუოა წლიდამ

6370

1873

მესამე წიგნი

თფილისი

მელიქიშვილის და ამხ. სტამბა

1873



*Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Юля 1873.*

მესამე წიგნის შინაარსი.

გვერ.

- I.—გლახის ნაამბობი, მოთხრობა  
ილ. ჭავჭავაძისა (თავი IX—XI) . . . 1.
- II.—ორი სურათი, ლექსი აკ. წერეთლისა 40.
- III.—გლახური სიმღერები (ილ. ჭავჭავა-  
ძის შეგროვილთაგანი) . . . . . 44.
- IV.—ნიკ. ბარათაშვილის წიგნები. ქარ-  
თული სალიტერატურო ისტორიის  
მასალა . . . . . 45.
- V.—რჩევა ახალგაზდა მწერლებს. ლე-  
ქსი აკ. წერეთლისა . . . . . 61.
- VI:—ნაპოლეონ მესამის ცხოვრება.  
სტატია ნ. სკანდელისა (თავი III—XI) 65.
- VII.—მეფის სოლომონ მეორის დრო  
(მოხუცების ნაამბობთაგანი) . . . . . 129.
- VIII.—„რათ გიკვირს, მიკვირს, ის გუ-  
ლის წამი.“ ლექსი გ. ჭალაღიდელისა 141.
- IX.—სახალხო ლექსი (პ. უშიკაშვილის შე-  
კრებილთაგანი) . . . . . 144.

X. — ჩენი მწერლობა. გრიგოლ ორბელიანი (თ. გრ. ორბელიანის ლექსები, გამოც. პ. უმიკაშვილისა. თფილისი, 1873. მელიქიშვილის და ამხ. სტამბა). სტატია ნ. სკანდელისა . . . . . 145.

II. — ფელტონი. ამ დროის მოძრაობა. სტატია გ. წერეთელისა. . . . . 203.

---

## მკითხველს.

---

„კრებულის“ მეორე წიგნის თავბუხები ისე უყურადღებოთ დაუჭრია მეყდეს, რომ „გლახის ნაამბობის“ მერვე გვერზედ უკანასკნელი სტრიქონი ძლიერ მრავალ წიგნში ან სულ აღარ არის, ან ძნელად წასაკითხავია. გთხოვთ მოკვეცილი სტრიქონი აგრე წაიკითხოთ: „რა მექნა? ის სხვა ყველაფერში მადლიანი ბიჭი“

ამას გარდა, ამ მესამე წიგნში, უფ. გ. ჭალადიდელის ლექსის (141 გვ.) მეორე ტაეზში, მეორე სტრიქონის მაგიერ, რომელიც ბეჭდვის დროს უნდა ამოღებულიყო, მესტამბეს, სიჩქარის გამო, შემდეგი სტრიქონი ამოულია: „სხვისი ოხვრა და სხვისი წუხილი?“

---

## გლახის ნაამბობი

### IX

შვიდმა, თუ რვა თვემ კიდევ გაიარა და ბოლოს მითხრეს, რომ შენი გაგზავნის დრო მოვიდაო. აქამდინ მე სულელი კიდევ რალსაც ველოდდი: მეგონა, ღვთის სამართალი კიდევ გაიღვიძებს, მეთქი და მართალს გამამართლებენ. ამაშიაც მოვსტყუვდი.

შემსხნეს ძველი ბორკილი, გამიკეთეს ახალი, უფრო მაგარი და სატუსალოს გალავანში გამომიყვანეს. გაზაფხულის პირი იყო.

გალავანში ხუთმეტოოდ სამგზავროდ გამზადებული სალდათი მწკვრივად იდგა. გამოიყვანეს სხვა ოთახებიდამ სხვა ტუსალებიცა. მე გარინდებული ვიყავ და ისე უგულოდ ვუყურებდი თითო-თითოდ გამომავალს ტუსალებსა. ბოლოს ორი თათარი გამოიყვანეს და იმათ

უკან მოსდევდა ბორკილის ჩხარა-ჩხურით ერთი ტანში მოკაკული, დროული გძელ თეთრ-წვერა ტუსალი; თავი ჩაელუნა და მზეს არ უყურებდა, თითქო მზეცა და ქვეყანაცა იმისთვის აღარ იყო. დავაკვირვე თვალი და, ვაი იმის მნახავს, პეპია ვიცანი. მე აქამდის იმის იქ ყოფნა არ ვიცოდი. პეპია რყო, მაგრამ რა პეპია!.. ვეღარ იცნობდი, ისე მომკვდარიყო და გამოცვლილიყო!..

— პეპიავე, კაცო, შენა ხარ? გაოცებით შეეყვირე საცოდავსა.

იმან თავი მალლა აილო და შემომხედა.

— შეილო, გაბრიელ! დაიბლავლა საცოდავის ხმით: შენც აქა ხარ? მოგიკვდეს თავი, საცოდავო პეპიავე! ჩემი თამრო აბა ეხლა კი ცოცხალი დამარხული იქნება!.. ვაიმე შეილო! ყველა იმედი შენის დასხნისა ეხლა დაშელუპა აი!..

შემოიკრა ორივე ხელი თავში, მუხლი ჩაეკეცა და ხმა მალლა ქვითინი დაიწყო. მე იმის საცოდავობამ დამწვა.

— შენ რაღად, ჩემო გაბრიელ? შენ რაღად, რაღად? ქვითინებდა ის ტანჯული კაცი: ეჭსთქვათ მე იმისათვის, რომ უბედურის შვილის უბედური მამა ვარ, შენ რაღად, შენ უბედურის დღისავე!

— მეც იმიტომ, ჩემო პეპიავე, ვუბასუხე მე გულ-ამომჯდარმა: რომ შენი სიკეთე მოვიწოდომე. მაგრამ ეხლა აღარა გვიშველის რა. ჩვენ სამნი უილაჯონი ვართ და იმისაკენ კი მთელი ქვეყანა ყოფილა. ნუ ჰსტირი. ცრემლს ამ ქვეყანაში გასავალი არა ჰქონია, — ტყუილად ნუ ღვრი. ღმერთი გვიპატივებს, თუ კაცმა ვერ გვიპატივა.

— ეჰ, ჩემო გაბრიელ, არც ღმერთი ყოფილა ჩვენკენ! ვაიმე, შვილო თამრო!.. შენს ნამუსს ღმერთიც ვეღარ დამიბრუნებს. გათავდა ყველაფერი ჩემთვის! ამ ქვეყანაზედ მე აღარა დამრჩომია რა...

იქნება საწყალს პეპიას კიდევ რაღაცა ეთქვა, მაგრამ სალდათმა წამოუარა, თოფის კონდახი წამოჰკრა და წამოაყენა. მეც ჩამაჩუმეს.

უფროსმა უბძანა, სალდათები გარს შემოგვერტყნენ და ბორკილის ჩხარა-ჩხურით ექვსი ტუსალი გამოგვამგზავრეს. საწყალი პეპია და ერთი სნეული ტუსალი ძლივ მობობლამდნენ. გალავანს გარედ რრ გამოვედით, პეპია და ის სნეული ტუსალი ურემზედ დასვეს. სიავეს შეჩვეულსა ეს რუსების სიკეთე გამიკვირდა.

შიდს დღეზედ მყინვარის მთას დავუახლოვდით. სალამო ხანი იყო და ის სოფელი, საცა იმ ღამეს ჩვენ უნდა შეგვესვენა, ჯერ კიდევ შორს იყო. ჩამობინდდა. მეურმემ დაიძახა, ურემი გატყდაო. ყველანი შეგვაყენეს. სალდათები გარს შემოგვისხდნენ, ზოგმა ჩიბუხის კეთება დაიწყო, ზოგმა პურის ჭამა, ზოგი წამოწვა. ჩვენც ჩავსხედით. ტუსალები ამბობდნენ, რომ ხვალაო საქართველოს მიჯნას გადავცილდებითო.

გული მომიკვდა, ეს რო გავიგონე, და დავლონდი. ჩემისთანა უთვისტომო ადამიანისათვის ქვეყანა ყველგან ერთი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ქართველისათვის საქართველო

დიდი რამა ყოფილა. რაც უნდა იყოს, შენიჭირიმე, ჩვენი აკვანი საქართველოა, ჩვენი მამა-პაპის საფლავი საქართველოა, ჩვენის ენის ქვეყანა ეს არის, ჩვენის სიტყვა-პასუხის გამგონი ეს არის, ჩვენი მზე აქ არი და ჩვენი მთვარე, და თუ გული გვაქვს, გულიც აქ არი, თუ სიყვარული გვაქვს, სიყვარულიც აქ თუ იქნება, თორემ სხვაგან სადა? სადაური სად მივყევართ, ვკითხავდი ჩემს თავს ტკივილითა და წუხილითა: ეს ქვეყანა აღარ უნდა ვინახულო, აქაურმა მზემ აღარ უნდა გამათბოს, აქაურმა მთვარემ შუქი აღარ უნდა მომფინოს!... სიტყვა-პასუხის გამგონი აღარ უნდა მყვანდეს!.. აქაურმა წყალმა წყურვილი აღარ უნდა მომიკლას!... აქაური სალოცავი აღარ უნდა ვილოცო!.. თამროც აქ უნდა დამრჩეს უპატრონოდ!

ვწუხდი და ამ ფიქრებში ვიყავ. უეცრად ცხენების თქათა-თქუფი შემომესმა. წამი არ დაჰსცალებია, რომ ხუთი, თუ ექვსი ცხენოსანი ზედ წამოგვაწყდა. დაჰსჭყვივლეს რუსებს, ჩვენ კი გვითხრეს: ვისაც შეგეძლოთ თავს

უშველეთო. მალე მტერი თქვენ მოგიკვდეთ, მალე ის სალდათები გაუთხენ. მაგრამ მერე კიდევ შემოგროვდნენ და სროლა ატეხეს. ამ ალიანქოთში მე და ჰეპიამ დრო ვიხელთეთ და გზის გადაღმა თავ-თავქვე დევნებით. ის ბერიკაცი ასეთი გამოჩნდა, რომ ოცის წლის ბიჭი გეგონებოდა. გამიკვირდა, მაგრამ მაშინ კი დავიჯერე, რომ გაჭირებას ბევრი რამ შეჰსძლებია. ჩვენ უკან აგვედევნა ერთი ცხენოსანი და რო დაგვეწვია, მე ქლიბი მომაჩეჩა ხელში, გზა მშვიდობისაო, შემოგვძახა.

— თუ ღმერთი გწამს, უინა ხარ? ბნელაში ვერ გარჩევ. გვითხარი შენი სახელი და დაგვალოცინე შენი თავი, — შევეხვეწე მე.

— სახელი რად გინდათ? ვინცა ვარ, ის ვიქნები, — მიპასუხა იმან: თუ გინდათ, დამლოცეთ: სანთელ-საკმელი თავის გზას არ დაჰკარგავს.

გვითხრა ეს, ჰკრა ცხენს მათრახი და ბნელაში მიგვემალა სრულიად.

ცოტა, თუ ბევრი უგზო-უკვლოდ ვიარეთ.

პეპიამ სიარული ველარ შეჰსძლო. წამოვიკი-  
დე საცოდავი ზურგზედ და, თუმცა ის ამას  
თაკილობდა, ისე წავიყვანე. დიდხანს არ მა-  
მინდა სიარული, იქავ ერთს უღაბურს ხევში  
ჩავედი და იმ ლამეს იქ ვისადგურეთ. მე მა-  
შინვე დავიწყე ბორკილების გაქლიბვა და  
რიჟრაჟზედ ძლივ გავათავე იმათი გატეხა. დავ-  
წყექ და დავიძინე. მზე კარგათ ამოსული იყო  
რომ გამომეღვიძა. მაშინ მომაგონდა, რომ  
ჩვენ ერთი ნამცეცი პური არ გვექონდა. შე-  
ნი მტერი გახდეს, როგორც მე მაშინ გაეხდი.  
არ ვიცოდი, რა მექნა. ვისთან წავსულვიყავი იმ  
ტუსალის ფარაჯითა? მაშინვე დამიჭერდნენ  
პეპია, მართალია, არრას ამბობდა, მაგრამ ეტ-  
ყობოდა, რომ საწყალს შიმშილი მოერია.  
როგორც იყო იმ დღეს და იმ ლამესაც შიმ-  
შილი მოვითმინეთ. მაგრამ შევლა კი არსით  
იყო.

გათენდა მეორე დილაც და იმედი არსაი-  
დამ მოგვიტანა. პეპია საცოდავად გახდა,  
თვალები ჩაუძვრა, ლოყები ყბებ-შუა ჩაეკეცა

და სულ მოიშალა: მეც ძალიან ვიტანჯებოდი ცალკე იმის ყურებით, ცალკე უიმედობით, რომ შველა არსაიღამ არ მეგულებოდა. პეპიამ ეს შემატყო და მითხრა:

— შეილო გაბრიელ! ნუ მიწყენ კი და მე სიარული აღარ შემიძლიან. მე შენთვის მეტი ბარგი ვარ: თავი დამანებე. მე ამ ქვეყნისა აღარ ვარ და არც ამ ქვეყნისთვის გამოვდგები. შენ წადი, შეილო! ტყუილად ჩემის გულისთვის ხელახლად თავს ნუ გაიფუჭებ. ისიც გეყო, რაც ჩემის გულისათვის შენ მოგივიდა.

მე ეს სიტყვა ძალიან მეწყინა.

— რას ამბობ, შე უბედურო? ვუთხარი მე თითქმის მწყრაღად: რო წავიდე, ვის ხელთ დაგაგდო? ღმერთს რაღა პასუხი გავცე?

— ღმერთს ჩემზე დიდიხანია, შეილო, ხელი აუღია. მე მაინც და მაინც მგლისა და ყორნის ლუკმადა ვარ გაჩენილი. მე იმათ ანაბარას დავრჩები. შენ კი ღმერთმა გზა დაგილოცოს, წადი და იცხოვრე ქვეყნად....

— მე წავიდე და ქვეყნის სირცხვილი ვჭამო!.. ვაი შენს გაბრიელს! ღმერთმა ნუ ქნას, რომ გაბრიელმა ეგ იკადროს. შენ აქედამ ფეხს ნუ მაიცივლი, მეც მალე მოვალ:

ეს ვუთხარი, დიდხანს არ ვიფიქრე და გაფთრებულად წამოვედი. ერთს მთის წვერს გადავადეგ და აქეთ-იქით მზერა დავიწყე. მთის ძირში წყალი აქაფებული მოხუოდა, წყლის აქედ პირას გზა-ტკეცილი მიიკლაკნებოდა. მე იმ გზაზედ დავინახე ერთი ცხენოსანი.

დავეშვი მთილამ ქვემოდ და უშიშარად მიუხტი იმ ცხენოსანსა. რო შევატყე რო სომეხია, ჩემის თავის იმედი უფრო მომეცა.

— ჩამოხე ცხენილამ! ტევტყვილე სომეხს. იმას ხუმრობა ეგონა.

— ვა, ჩამოვბტე რა შენი ყურ-მოჭრილი ყმა ვარ! მითხრა იმან: ვერ მყურობ? კაცი თოფიარალში ვზივარ.

დიდხანს აღარ დავაცალე, წავწვდი, თოფი გოთურგით ჩამოვაწყვიტე და თამამად შეუტოვე.

— ჩამოხე, მეოქი, თორემ მტვერსავით გაგანიავებ!

მალე მტერი მოგიკვდეს, მალე მე იმას ფერი ვაცვლევინე. რო ნახა, რომ აღარა ვხუმრობ, იკადრა ცხენილამ ჩამოხტომა და შეშინებულმა მითხრა:

— ვა, ცხენისათვის როგორ გაწყენინებ! აჰა მიიჩნევი თავის უნაგირით; მარტო უნაგირი ოცდა ხუთი მანეთია, ჰა! ცხენია რომა თავის შეკაზმულობით გეყოფა შენ საცხოვრებლად. მშვიდობაში, მე კი წავალ, ხმასაც არ გაგცემ.

— მაგით ვერ მომატყუებ. ეგ ხმალიც შემოიხსენ.

— ბატონი ხარ. აჰა ეს ხმალიც.

— ქამარ-ხანჯალიცა...

— არც მაგაზედ გაწყენინებ, ჯეელი ბიჭი ხარ, მოგიხდება.

— ეგ დამბაჩაც გაიძერ წელიდამ.

— ესეც შენრ ფეშქაში.

— ეგ ტანისამოსიცა..

— ვა! მე რაღა ჩავიცვა?

— ბევრს ნუ ლაპარაკობ, დავუყვირე შეტევით.

— მაშ დაიცვა. ჯიბეში ანგარიშების წიგნები მაქვს, სულ არაფერი, უბრალო ბარათებია, შენ არ გამოგადგება. ერთი ის ბარათები ამოვიღო.

— ამაილე, მაგრამ ერთი ორიოდ თუშანი უნდა მამცე.

— ბატონი ხარ, თამასუქიც არ შინდა.

— მაგ ხურჯინში პური და ღვინო ხომ არა გაქვს?

— ბევრი.

— ვგეც უნდა დამითმო.

— ვგეც შენი ფეშქაში. მეტი რა ვქნა? იცი რას გეტყვი: ეხლა მე ჩემთვის წავალ და შენ შენთვის წადი.

— ბატონი ხარ.

ერთის სიტყვით ესენი ყველაფერი მამცა. ჯიბიდან ბევრი ფული ამოიღო, მითომ მე ვერ დავინახე და უხაროდა, რომ ის სულ არ

წავართვი. მოვახტი ცხენსა და გამოვჰქუსლე პეპიასაკენ. ის იყო ჩემი პირველი ავკაცობა. მაგრამ ეგეც ვინ იცის? იყო, თუ არა ავკაცობა? „მდიდარს ართმევ, ღარიბს აძლევ, ღმერთი როდი წავახდენსო,“ იტყვის ხოლმე ჩვენი ხალხი.

იმ დღეს იმ ხევში დავერჩით. კარგა ლაზათიანად დაენაყრდით და თითქმის ორი დღის უჭმელები ამით მოვსულიერდით. როცა დაბინდდა, პეპია შევესვი ცხენზედ, მე წინ გამოვუძენ და წამოვედით. მესამე დღეს მალლანდორეთს მოვადეგით, საწყალი პეპია გზაზედ ძალიან ავად გამიხდა: აღარცა ჰსჭამდა, აღარცა ჰსვამდა და აღარც ხმას იღებდა. შევატყე, რომ ეს კაცი ამ ქვეყნისა აღარ არის. ბოლოას იმისი აღსასრულიც მოვიდა.

ერთ მთის წვერზედ ავედით თუ არა, პეპიამ ძლიერ-ძლიოზბით მითხრა:

— შეილო! აქ დამაყენე. მე ცხენზედ ჯდომა აღარ შემიძლიან და არც სიარული, სულთა-მხუთავეი თავს მადგა.

დავაყენე ცხენი, ჩამოვიყვანე ცხენილამ პე-  
პია, გავუშალე ქვეშ ფარაჯა, დავუდე თავით  
უნაგირის ბალიში და დავაწვინე. სალამო ხანი  
იყო, მზეც გადახრილი იყო. ძლივლა ფეთ-  
ქამდა საწყალი!... მე თავით დავუჯეგ. ვიყა-  
ვით ის ორნი იმ უშველებელის მთის წვერ-  
ზედ მარტოდ-მარტონი. მზე წითლად-ყვით-  
ოდ ელვარე ღუოდა მთის წვერისკენ გადა-  
ხრილი. ქვეყანა გაზაფხულისაგან ხელახლად  
გაცოცხლებული და გაღვიძებული როგორც  
აკენილამ ბაშვი, ისე გამოიყურებოდა ტკბი-  
ლად. ყველა იყო ბედნიერი ჩვენ გარეშემო  
ჩვენ გარდა. მე და პეპია ვიყავით მარტო  
უბედურნი. ისა კვდებოდა და მე გაბოროტე-  
ბული, გულ-მოწყვეტილი დავყურებდი მო-  
მაკვდავსა.

— გაბრიელ! მითხრა ბოლოს პეპიამ: ფეხ-  
მუხლი მიცივდება, შვილო, მე ვკვდები! ვაი  
რო უზიარებელი ვკვდები!.. შვილო, ჩემი სის-  
ხლი ჩემს მკვლელს აპატივე, მეც მიპატივებია.  
მაგრამ... თუ თამრო ნამუს წართმეული ნა-

ხო, შემომფიცე, რომ იმის დამლუპველს მზეს დაუბნელებ! შემომფიცე, რომ ისე უზიარებლად და შეუნდობარს მოჰკლავ, როგორც მე კვდები! შემომფიცე! თუ ეგ ცოდვა იყოს, მე ამიღია კისრად.

მე შევფიცე.

— ფიცი მტკიცე უნდა იყოს!... დაიწყო კიდევ საცოდავმა: პირის პირ იქ, საიქიოს შეეხვდებით..ვაიმე, შეილო თამრო!..გაბრიელ! თუ თამროსათვის ნამუსი შეურჩენიათ, ჩვენი ამ დღეში ჩაგდება შენს გამჩენს აპატივე. მეც მიპატივებია. ფიცი მომე!

მე იმის სიტყვისაგან გულ-გაკეთებულმა მაგის ფიცაც მივე.

— ვაი ნეტავი ეხლა ჩემი თამრო დამანახვა მოჰყვა ისევ პებია: ნეტავი ერთი კიდევ თვალით მიჩვენა, რომ სული ტკბილად დამელია!.. ჩემო კარგო შეილო, ჩემო მამის-ერთავ თამრო! სადახარ ეხლა? რატომ შენს საცოდავს მამას თვალებს არ დაუხურავ? რატომ ხელებს გულზედ არ დაუკრებ? რატომ არ დაიტირებ, შეილო! შე-

ნი დაუტირებელი უნდა მოვკვდე? რა შევცოდე  
სამაგისო ღმერთს! მაგრამ, ღმერთო, კიდევ  
შენ გეხვეწები, უცოდველად ამყოფე ჩემი  
ობოლი გოგო!... ღმერთმა გაკურთხოს, ჩემო  
კარგო თამრო! ღმერთმა თავისი კალთა გა-  
დაგათაროს, ჩემო ბოლონდელო სულის სა-  
დგურო, ჩემო ბოლონდელო თვალის სინა-  
თლევ!... შენც შეგეწიოს ღმერთი, ჩემო გაბ-  
რიელ! ქვეყანაც დამილოცნია, თუ იმის ზუ-  
რგზედ ჩემი თამრო უცოდველად დადის...  
თუ არა და წაწყმენდეს ეს ადრე და მალე წა-  
საწყმენდი მურტალის ადამიანის მურტალი სამ-  
ყოფელი! მშვიდობით, ჩემო გაბრიელ! აღსა-  
სრული ჩემი მოვიდა, მე სულსა ულევ!...  
შვილისაგან დაუტირებელი ვკვდები!... უზი-  
არებელი და მოუნანიებელი მივდივარ სა-  
ქაოლამ!... მაგრამ მაინც კიდევ თუ შენს  
ბატონს ჩემი გოგოს ნამუსი შეუნახავს, უო-  
ხარი, რომ როცა პებია კვდებოდა თქო, შე-  
ნა გლოცავდა-თქო, ღმერთო! ჩაიბარე ჩე-  
მი ცოდვილი სული!... შვილი ჩემი ჩაიბა-

რებია შენთვის, მაღალო ღმერთო! უჰ!...  
 შეილო!... თამრო!...

ამ თამაროს ხსენებაზედ დალია იმ ალაღმა  
 ადამიანმა თავისი ალაღისი ცოცხლე. ბოლონ-  
 დელი ამოკვნესა იმისი მაინც თამროს სახე-  
 ლი იყო და მაგ ამოკვნესას ამაყოლა საწ-  
 ყალმა თავისი ტანჯული, ნაქენჯნი, მაგრამ  
 მართალი სული და ისე გაშორდა ამ გულ-შე-  
 უტკივარს, ცოდვით სავსეს წუთის სოფელსა.  
 თამროს სახელი, მკვდარ ტუჩებზედ გამოსა-  
 ხული, ტუჩებზედვე შერჩა ზედ-შეკვდომილი.  
 ეჰ, ნეტავი მეც იმას თან გავყოლოდი!...

ღმერთო მიეცი იმის სულსა ღებნა და მანდ  
 მაინც ნუ დაუძვირებ შენს მაღლსა იმ უსა-  
 მართლოდ გატანჯულს ადამიანის შეილსა!

ხლმითა და ხანჯლით, როგორც იყო, საწ-  
 ყალს სამარე გავუჩიჩქნე და დილაზედ, როცა  
 მზემ ხელახლად გაიღვიძა, დავმარხე კიდევ  
 და მივაბარე მიწას. მზე იყო იმისი წმინდა  
 სანთელი და კელამპტარი და დილის ნამის  
 ორთქლი საკმევლად შეექმნა.

## X.

გაბოროტებული, გულ-დამწვარი, გულ-ჩათუთქვილი მოვაჯეგ ცხენსა და დავეშვი. იმ მთილამ უგზო-უკვლოდ. გზა და გზასულ საწყალი პეპიას უბოროტო სიკვდილი მელანდებოდა და იმისი მადლიანი თქმულობა მაგონდებოდა. ნალველი უფრო გამიმწარდა. მაგრამ სიარულმა თავისი ქმნა, ნალველი თან და თან გამიქარწყლა, გული ამღვრეული დამიწმინდა, გონება დამიდინჯდა და მე სრულიად დავწნარდი და დავმშვიდდი. იქნება ეგრე დაწყნარებულს და ჯავრ-გადაყრილს კიდევ ბევრი გზა გამეელო, თუ რომ პეპიასათვის მიცემული ფიცია ხელახლად არ მომგონებოდა. კაცის-კვლის ფიცია იყო! ტანში შემაქრქოლა და ფერი მეცვალა. ბედმა იქამდინაც მიმიყვანა-მეთქი, ვამბობდი გულში: რომ კაციც უნდა მომაკვლევინოს! დაილოცა, ღმერთო შენი სამართალი!... მე, გაბ-

რიელს, კაცის-კვლის ცოდვა უნდა დამდებო-  
და?! მე კაცის სისხლში უნდა გამესვარა ხე-  
ლი?!

მე იმისთანა ხასიათის კაცი ვიყავ, რომ გა-  
აფთრებულს, გულ-აფეთქებულს, ცეცხლ-მო-  
კიდებულს იქნება უეცრად კაცი შემომკედო-  
მოდა, მაგრამ თუ წინ მოსაფიქრებლად ორი  
წუთით მაინც ჩემი ჭკვა და გული შემრჩე-  
ბოდა,—ადამიანს სასიკვდილოდ ძნელად თუ  
გამოვიმეტებდი. ეხლა სწორედ ამისთანა დღე  
დამადგა: წინ მოსაფიქრებლად დიდი დრო  
მქონდა, ამიტომაც რამდენადაც ჩემ ფიცზედ  
ეფიქრობდი, იმდენად ვიტანჯებოდი. ორში  
ერთი უნდა მექნა: ან ფიცისათვის მეღალატ-  
ნა და ან კაცი მომეკლა. მე აქამდინაც არ  
ვიცი, ამათში რომელი უფრო მძიმე ცოდვაა.

ღმერთო, ვამბობდი ჩემ თავად: თამრო  
უცოდველად დამახვედრე, რომ მეც ქვეყანას  
ვაპატივო პეპიასავით ჩემი მიწასთან გასწო-  
რება და თავი ცოდვისაგან დავიხსნა. ღმერ-  
თო, მომხედე! ნუ მიმიყვან იქამდინა!

კაცის-კვლა, რაც უნდა იყოს, მაინც ცოდვაა, შენი ჭირიმე! ეს მე ვიცოდი და ეს მიკიდებდა ცეცხლს და გულ-ღვიძლსა მწვავედა. მაგრამ, როცა მომაგონდა, რომ ჩემმა სასიკვდილომ ერთის წუთის ჟინის საკლავად სამი ადამიანის სული არ დაგვინდო, მე ცოცხალი გამომასალმა ამ წუთის სოფელს, შეიღს მამა უზიარებლად მოუკლა და თუ ამასთან შეიღსაც ნამუსი წაართვა,—განა ამისთანა კაცის მოკვლა დიდი ცოდვა უნდა იყოს, მეტქი,—ფეიქრობდი გულზედ მოსული და ბრაზ-მორეული. მაშ ღვთის სამართალმა აღარ უნდა გაიღვიძოს მეტქი! მაშ რას მეუბნებოდა მღვდელი, სხვა შენთვისაო და შენ სხვისთვისაო, თუ არ ამასა?!

გადავწყვიტე, რომ ჩემგან ფიცის ლალატი და უკან დახევა შეუძლებელია და სამარცხვინო. რა უნდა მომივიდეს? ვკითხავდბ გონება ანთებული ჩემს თავს: სამუდამო ტანჯვა და ჯოჯოხეთი?! მაშ სამოთხე რომ მომელოდდეს, რალა თავის გამოდება იქნება?! დაე რაც

მომივა, მომივიდეს. დაე ეგეც ჩემს აქაურს ჰირსა ზედ დაერთოს სხვის ჰირის სანაცვლოდ. ღმერთი ხომ ხედავს, მეთქი, რომ ჩემს სისხლს არ ეიღებ; ღმერთმა ხომ იცის, რომ მე ჩემს სამაგიეროს ჩემს მტერს არ ვუხდი; მე ჩემს მტერს ჩემი ყველა დაფუთმე, ყველა ვაპატივე, ყველა დავივიწყე. ჩემი გაბოროტება პეპიას სიკვდილმა და იმის მაღლიანმა სიტყვამ თან გაიყოლია. მე ამაზედ ფიციც მივეცი. ღმერთი დაინახავს ამას—ის გულთა მხილავია—დაინახავს, შემიბრალებს და შემიწყალებს, თუ არა და ის იქნას, რაც ჩემს ბედისწერას ჩემთვის გაუწესებია.

ხომ ამაზედ დავდევ, მაგრამ მაინც კიდევ თითქო უნებლიე, გადუშალე ღმერთს ხელები და გულ მართლად და ნატვრით შეეძახე: ღმერთო, დამიხსენ კაცის-კვლისაგან! თამრო უცოდველი მაჩვენე! ძნელი ყოფილა, შენი ჰირიმე, კაცის-კვლის ფიქრის წინაღვე ფულში გატარება! მეტად ძნელი ყოფილა! . . . მე იმ ერთმა დღემ თითქმის დამაბერა. კაცს,

თუ გინდა რომ გულში ჯოჯოხეთი გაუჩინო, კაცის-კელის ფიქრი ჩაუსახე გულში. ეგ ეყოფა სატანჯველად.

ბარში რომ ჩამოვედი და გავივაკე, გულმა ღვდლისაკენ გამიწია, მინდოდა რომ იმისაგან ლოცვა-კურთხევა მიმეღო და მერე რაც მოსავლელი იყო, მოსულიყო. გულს დაუჯერე და ქალაქისაკენ გამოვწივე.

მეორე დღეს სალამოზედ დიღმის ვიწროებში მივედი და იქ ერთს დუქანში ჩამოვხტი, რადგანაც ქალაქში ჩამოხტომა ვერ გავბედე. წავედი, ცხენი დუქნის გომურში დავაბი, მოვუარე და საჭმელი მივე. მერე ამოვედი დუქანში პურის საჭმელად. მედუქნემ დაზგაზედ ვახშამი გამიმართა. მეც დაზგაზედ დავჯექ და პურის ჭამას მოვეყე.

პურის ჭამას რო ვათავებდი, ერთი დროშკა მოადგა ჩვენს დუქნის კარებსა. შიგ ერთი ქალი და ერთი ქალაქის ბიჭი იჯდა.

— მედუქნევ, დაუძახა გარედამ ბიჭმა: ცალკე ოთახი არა გაქვს?

— რამდენიც გინდა, — უპასუხა მედუქნემ.

ქალი და ბიჭი გადმოვიდნენ დროშკიდამ და დუქანში შემოვიდნენ. ქალს თვალი მოეკარ თუ არა, ფიცხლავ ელდა მეცა: რალაც რამ უცები მომეჩვენა. ჩემს თავს არ დავუჯერე. ქალი რო დაზგას მოახლოვდა და კარგად გავსინჯე, სისხლი ტვინში ამივარდა. გიჟსავით ვისკუპე დაზგიდამ და ქალს წინ გადავუდებ.

— თამრო!.. შევკივლე მე კანკალით და თრთოლით.

— გაბრიელ!... მომძახა მე იმან და ზედ მკერდზედ ფერ-მიხდილი დამეცა.

— მამა რა მექნა, მამა? შემომბლავლა საცოდავად.

— მოშორდა ამ წუთის სოფელს. ერთი მითხარ, რამ მოგიყვანა აქა?

— მაგას ნულარ მკითხამ! ნუ, ნუ მკითხავ!. ტიროდა საწყალი: შენი თამრო დიდი ხანია დამიწებულა. შენი თამრო მოკვდა.

— მაშ შენ ვინა ხარ? დავიძახე თავ-ზარ დაცემულმა.

— ის თამრო აღარა ვარ. მე ეხლა ავლა-ბრის უნამუსო ვარ. შემბრალებ, და დამიტირე მე ბედ-შავი!..

— უნამუსო!...

ეკარ ხელი შეუბრალებლად იმ უბედურსა და მკერდიდამ, როგორც გველი, ისე მოვიშორე. გარეტიანებული გიჟსავით გამოვევარდი გარედ, მოვახტი ცხენსა, დავწყველე იქაურობა და ჩვენის სოფლისაკენ გამოვჰსწიე. ფიცის ასრულების დღე მოვიდა. ჩემი ტოკვა და ყოყმანობა კაცის-კვლის თაობაზედ იმ დღეს სრულად გათავდა. იმ გაბოროტებულს გულზედ ცა და ქვეყანა რომ ხელში მჭეროდა, ყველსავით გავწურავდი და კბილით გავგლეჯდი.

სამი-ოთხი თვე ვუტრიალე დათიკოს და ვერსად ვერ ჩავიგდე ისეთი ჟამი, რომ ერთმანეთს პირდაპირ შევხვედროდით. ქურდულად ბევრჯერ შემეძლო იმისი მოკვლა, მაგრამ

რა კაცობა იქნებოდა. ისიც ძალიან ვაჟკაცი იყო და მინდოდა ერთმანეთს პირდა პირ შეეხვედროდით, რომ ან მოვეკალ და ან მე მომეკლა.

ამ სამ-ოთხ თვეში ნადირსავით ტყეში ვიშალეობდი და მაინც კი ორი სომეხი გავძარცვე და ხუთი თავადიშვილი. მაგრამ, ღმერთო ხომ შენ იცი, არც ერთისათვის იმაზედ მეტი არ წამირთმევია, რაც მე თითონ მიჭირდა. ყველას ვეუბნებოდი ვინცა ვარ, რომ ჩემი სახელი დათიკომდინ მისულოყო, გაფთხილებულიყო და ყოველთვის მზად ყოფილიყო.

გამივარდა ყაჩაღობის ხმა და დაიწყეს ჩემი ღვენა. დაიწყეს ჩემის სახელით ძარცვა და ავაზაკობა იმ არე-მარეში. კაცის-კვლაც სამჯერ მოხდა, მაგრამ მე ამა ყველაფერში უბრალო ვარ, თუმცა ყველაფერს მე მამბრალეებდნენ და მართლა ავაზაკნი კი ამით თავს იმაღლავდნენ. ჩემი გზა და კვალიც ამითაერევიდათ ხოლმე: დღეს იტყოდნენ, გაბრომ აქ გაძარცვა კაციო და გზებს შემოკრავდნენ; იმავე საღამოს მოუ-

ვიდოდათ ამბავი, რომ გაბრომ სამის დღის საეაღს იქით კიდევ გაძარცვა კაციო და დაეზნეოდათ გონება. ვერ მიხვდნენ, რომ გაბროთათვის არის და აქაც და იქაც სულ სხვა და სხვანი ავაზაკობენ იმის სახელითა. ბოლოს რო არა ეშველათ რა, წმინდა გიორგის ჯვარი დაჰპირდნენ იმას, ვინც მე ან ცოცხალს დამიჭერდა და ან მკვლარს მიმიტანდა.

დათიკოს ნადირობა მეტად უყვარდა და იმის იღბალი ნახეთ, ამ სამ-ოთხ თვეში არც ერთხელ არ უნადირნია. მე უფრო იმ ადგილებში ვისაფრებოდრი, საცა უწინ დათიკო სნადიროდ დაიარებოდა ხოლმე. ბოლოს იმის ბედის-წერის დღე მოვიდა და ერთმანეთს შეეხდით.

მზე ჩაწურვაზედ იყო, რომ მე დათიკო და ვინახე ცხენით მინდორ-მინდორ მომავალი. უკან ერთი მეძებარი მოსდევდა. მე ტყეში ხეზედ ვიჯეგ. ჩამოვედი ხიდაძ, მოვახტი ცხენსა და გულის-ცემით ტყეში ლოდინი დაეუწყე. გზა იმ ტყის პირას იდო. დათიკო იმ გზაზედ

გამოვიდა და ჩემკენ წამოვიდა. რო მომიახლოვდა, იმისი ლილინი მომესმა. შევხედე და სრულად იყო იარაღით მოკმაზული. ჰსჩანს ჩემი ფიქრი ჰქონია მეთქი, ვიფიქრე გულში: რო ეგრე გამართულია.

დამიპირდაპირდა თუ არა, ვასკუბე ცხენი და ზედ მივაგდე.

— თუ ვაჟკაცი ხარ, გამიმაგრდი! შეეჭყივლე მე.

ჯერ ვერ მიცნო.

— ვინა ხარ? მაგრამ ვინც უნდა იყო, შენ მე ფერს ვერ მაცვლევეინებ, მიპასუხა მან თამამად და გულ მაგრაღ.

წამი აღარ გაუტარებია: მარდად გადმოიგდო მხარზედ გადაკიდებული ორ-ლულიანი თოფი და თვალის დახამხამების უმალ ორივე ერთად დამახალა. მე თოფს ხელი ავუკარ და იმის წასროლმა საფანტმა ზუზუნით თავზე გადამიარა.

— მე ვარ გაბრო, შენი სულთა მხდელი!.. შეეძახე მე და მანამ სხვა იარაღს მაიხმარებდა

შიგ მარცხენა ძუძუში დამბაჩა ღვეც.

საწყალი შეტოკდა ცხენზედ, გაღიწია გადასავარდნელად, მაგრამ თავი შეიმაგრა, კიდევ მაასწრო ხლმის ამოღება და მოქნევა. ხმალიც ამცდა, მოხვდა ჩემს ცხენს თავში და იქვე სული გააქრობინა. ცხენი და მე ერთად ღვეცენით დედა-მიწაზედ. მინამ მე წამოვდგებოდი, დათიკო ცხენილამ ძირს დაცემულიყო. მე თავზედ წავადევ და დავინახე, რომ ის მშვენიერი ყმაწვილი კაცი, ის თავ-მომწონე თავადი შვილი ძლივლა ფეთქამდა თავის ყმის ფეხთა წინაშე!.. მაგრამ, გეტყვით ჩემის გულის ძუნწობას, მე ის მაინც არ შემეცოდა.

— წაგაკალ, ბუ არა შენს ჟნამუსობას!.. წავაყვედრე მე.

— ჰმ, ჩაიციან იმან ისე გულდინჯად, თითქო ქვეშაგებში მშვიდობითა წევსო: ამით გათავდა შენი შერმადინობა?

— როგორიც ავთანდილი შენ იყავ, მეც იმისთანა შერმადინობა გაგიწიე.

— წადი, შვილო! სახელად ჩემი სიკვდობა

ლიც გეყოფა. დღეს ჩემი დღე არ იყო: რასაც  
ვესროლე, ავაკდინე. ვაი რა ცუდად მოვეკვდი?!  
ფუ, ჩემს კაცობას! ნიშანიც ვერ დაგასვი.

— რა დროს ეგ არი? ღმერთი მაინც ახსე-  
ნე და ისე დალიე სული, შე ცოცხვით საესეე!

— ღარიგებას თაფი დაანებე. ალაღრ იყოს  
შენზიდ ჩემი სისხლი, კაი ვაჟკაცი ყოფილხარ.  
მეც ბევრი რამ ცუდი მიქნია, არა უშავს რა, —  
ჩემი ასე ცუდად წახდენა იმაში გამებაროს.  
აი დედასა!.. რა ცუდად შეგვხდი!.. მაინც შუ-  
ნის ხელით მოვეკვდი! გახსოვს მაშინ რო გი-  
თხარით: სანთელ-საკმელი თავის გზას არ დაჰ-  
კარგავს, მეთქი. პკი არც დაჰკარგა.

— შენ იყავ მყინვართან რო დაგვიხსენი?  
ეკითხე გაოცებულმა.

— მე ვიყავ, თუ არა შენ რა?

— რისთვის დაგვიხსენი?

— ვერა ხედავ? აი ამ დღისთვისა. პეპია  
რასა იქს?

— მოკვდა.

— ესე უზიარებლად და მოუნანიებლად, როგორც მე?

— ეგრე.

— ეგეც ბარი-ბარში... მშვიდობით და გამარჯვებით, გამარჯვებულად გაბრეილ!.. უინანი, რომ ესე უსახელოდ მოგეკვლევინე. გამარჯვებით...

კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ აღარ დაჰსცალდა: ერთი გაიზმორა, ერთი კიდევ წამოიწივა, დაეცა და სულოც დალია, მოკვდა ის უბედურის შვილი. ტუჩებზედ ისეთი ღიმილს შერჩა, თითქო დაიცინებაო. ჰმ, სიცილით მოკვდა ტირილით ნაშობი!

დავიჭირე იმისი ცხენი, შევჯეგ ზედ და წამოვედი. ცხენის მეტი მე იმისი არა გამოვიყულე რა.

დათიკოს მოკვლის შემდეგ მე იმ არემარეში ყოფნა ძალიან გამიძინებდა. ძალიან ვამიხშირეს დევნა, მეც იქ აღარა მეკეთებოდა რა და სწორედაც გითხრათ, ყაჩაღობაც მომწყინდა. ჩემი ხელობა არ იყო. როცა უი-

ლაჯობით კაცს გავძარცვავდი ხოლმე, ერთს ვაი-ვაგლახს გამოვივლიდი ხოლმე ჩემთავად და ჩემს თავს მევე ვძრახავდი. ვერ დაემორჩილა ჩემი გული ავ-კაცობასა, თუმცა ბევრი ავ-კაცობა ვქენი. ვერ შევეჩვიე, ვერა. ბოლოს გადავწყვიტე, რომ გადავეარდები შორს საითმე, ჩემის ხელის ამაგით ლუკმა პურს, როგორც იქნება, ვიშოვნო და, მინამ ჩემი აღსასრული მოვა, იმით დავიჩინე თავს, მეთქი. სხვა ამ ქვეყნისა მე აღარა მინდოდა რა და აღარც მერგებოდა რა: ამ ქვეყანაში მე წილი აღარაფერში მედო:

გამოვწივე და კახეთს შემოვეკედლე. აღაზანხედ რომ მოვედი, შიგ შუა წყალში ცხენი დამ გადმოვხტი, დავეც დათიკოს ცხენს დამბაჩა თავში და წყალს გავატანე; ჩემი იარაღიც სულ ჩავყარე წყალში, რომ არც ცხენით და არც იარაღით არაფის არ ვეცანი. აქ კახეთში მოჯამაგრობა დავიწყე. მეხუთე წელიწადია, როგორც მოგახსენე, ჩემი აქ ყოფნა. პირველი წელიწადი მშვიდობით

დაეყავ, მეორე წელიწადს კი კახეთმა დამ-  
ცადა და ციებ-ცხელება შემეყარა. ორსამ  
თვეს თავს დამანებებდა და პატარა რომ მოე-  
ჯობინდებოდი ისევ მომიბრუნდებოდა ხოლ-  
მე. მე თავს არ ვუდებდი და რაც შემეძლო  
ემუშაობდი. სამი წელიწადი ამ ყოფაში ვიყავ.  
ამ ბოლო წელიწადს წყალმანკი გამიჩნდა და  
ფეხები დამისივდა. სიარული გამიძნელდა, მუ-  
შაობისათვის ვეღარ გამოვდევ. ქვეშაგე-  
ბად დამიგდო ავად-მყოფობამ. ერთმა გლეხ-  
კაცმა შემიკედლა. მინამ ერთი ორიოდ გრო-  
ში მქონდა და ვხარჯავდი, მინამ მინახა, როცა  
კი გამომელია ფული იმ დალოცვილმა მკრა  
ჭიტლაყი და გამომავლო გარედ. ეს ოთხი  
თვე იქნება მას აქედ. იმ სოფელში სირცხვი-  
ლით ვეღარ ვიდგომილე, იმიტომ-რომ საგ-  
ლახაოდ საქმე მიხდებოდა და ვთაკილობდი,  
ავდევ და აქედ წამოვედ. გზაზედ რაც ტანი-  
სამოსი მქონდა ამ რუსის ფარაჯაზედ გავ-  
ცვალე და ერთი თუმანი სართიც ავიღე. ორ-  
თვენახევარი ამით ვირჩუნე თავი. აქ რომ

მოვედი, სიარული ვეღარ შევიძეველ, იმიტომ-რომ ფეხები დამიწყულულდა, დამაჩირქდა და დამისკდა. აი, ხომ ხედავთ, ბოლოს მატლიც დამეხვია. ამ საბძელამდინ, როგორც იყო, მოვახწიე და ამ ჩარდახ-ქვეშ შევაფარე თავი. გზის პირია, ხალხის ფეხი აქ არ მოსწყდება და თითო-ორი კეთილი კაცი ხან პურს მაწუდის ხოლმე და ხან წყალს. მას დღეს აქედ ასე ვარ. რაც გადამხდა იქნება იმის ღირსიც ვიყო. რაც ავ-კაცობა ვქენ, იქნება იმის სამაგიეროდ ეს არის? ვინ იცის? ღეთის განგებას ვინ მიხვდება? ესლა ვატყობ, რომ წყალმანკიც მერევა, აი თითქმის გულიც დამიჭირა. მოვიდა ჩემი აღსასრული, მადლობა ღმერთს! ქვეყანას თუ რამ შევცოდე, შემიძლოს, სხვა ღმერთმა იცოდეს! მე ამ ქვეყნისთვის ავი არ ვიყავ, მე მართო უბედური ვიყავ. ბევრი წილიც ცოდვა მე, მგონია, აქავ გადავიხადე. იქნება ესეც ტყუილი ნუგეში იყოს, -- ეგ ღმერთმა იცის და იმისმა შეუცდომელმა სამართალმა. გულ-უტკივარად ვე-

სალმები მე ამ ქვეყანასა, იმიტომ რომ მა-  
იმისი არა მემადლება რა. ზიარებც არ მა-  
ღირსა ამ წუთის-სოფელმა!..»

## XI

ამით გაათავა გლახამ თავისი ნაანბობი  
შუალამე გადასული იყო. მე გამოვეთხოვე იმ  
საცოდავს კაცსა და იმის ამბის-გან გუნება  
არეული წამოვედი ჩემის ნათლი-მამისაკენ.

მეორე დილას ღვდელი ვიკითხე, რომ ის  
უპატრონო კაცი მეზიარებინა და იმისი უკა-  
ნასკნელი ნატვრა ამით ამესრულებინა. მერე  
იქნება დამეყოლია როგორმე და ჩემს ნათ-  
ლი-მამასთან ამომეყვანა. ჩემმანათლი-მამამ მით-  
ხრა, რომ არა მგონია ღვდელი ეხლა შენ გამოგ-  
ყვესო \* ქალაქიდამ ახალი ბლალოჩინი დაუნის-  
ნავთო, წუხელის ღვდელსა † წვევიაო და ღვდ-  
ლი ვერ მოაცლისო. სწორედ, ჩემდა გასაოცრად  
ეგრეც მოხდა: ღვდელს შემოეთვალა, რომ  
არა მცალიანო. დიდად მეწყინა და დიდად  
გამიკვირდა ამისთანა პასუხი. მე თვითონ გა-

დავედი ღვედელთან, პირდა-პირ ბლალოჩინთან შევედი, ვუამბე ჩემის მოსვლის მიზეზი და ღვედლის პასუხი შევატყობინე. ბლალოჩინი საშინლად გაწყრა და ძლიერ დაჰსტუქსა ის უგულო ღვედელი, მაშინვე მოითხოვა სანაწილე, გამომქვა მე და ღვედელი და დიაკვანი თან გამოიყოლა.

ჯერ კიდევ აღრე იყო, რომ გლახასთან ჩავედით. ის საწყალი იმ ერთს ღამეს სრულიად გამოცვლილიყო. ასეთი ფერი და სისუსტე ეტყობოდა, თითქო იმისი სიცოცხლე ბეწვზედლა ჰკიდიაო.

რა წამსაც გლახამ ბლალოჩინი დაინახა, თვალები ცეცხლსავით ისევ სიცოცხლით აენტო; რალაც იოცა და ისეთ ნაირად დააკვირდა ბლალოჩინსა, თითქო რალსაც იგონებდა, თითქო სჯერა კიდევ და არცა სჯერა ისა, რასაც ის თვალით ხედავდა. ორ-ჯერ, თუ სამჯერ თვალები მოიფშენიტა, თითქო რალცა უშლის ხილხვასაო და კარგად ვერა ხედავსო და ისევ იმავეგაოცებით ბლალოჩინს

გარინდებულმა მზერა დაუწყო. მერე, თითქო ეშმაკის გაფთხობა უნდაო, პირ-ჯვრის წერას მოჰყვა და თჯალი უფრო და უფრო დააცქერა ბლალოჩინსა. მე გამიკვირდა ეს ამბავი; ეჭსთქვი ჩემს გულში: ამ კაცს ეს რა ემართება მეთქი.

— კურთხევა უფლისა შენზედა, ჩემო ძმობილო! უთხრა ბლალოჩინმა: მე, ღვდელი მოვსულვარ, რომ წმინდა ზიარება მიგაღებინო ქრისტიანს კაცსა. რა გიკვირს, რომ ეგრე გაშტერებული მიყურებ?

— მაშ შენ მოჩვენება არა ხარ? შეჰკივლა გლახამ.

— არა.

— ღვდელი!.. დაიბლავლა საცოდრავად გლახამა: არ გებრალეები შენი გაბრიელ!...

ბლალოჩინი თავ-ზარ-დაცემულსავეით წაბარბაცდა; მე მივაშველე ხელი და შევიმაგრე.

— მადლი უფალსა, მადლი!.. დაიწყო გლახამ ეხლა კი დაწყნარებით, მაგრამ მხიარულად: ჩემი სული თურმე შენ გლოდნებია.

ცხლა ნუგეშით და იმედით მოვკვდები... მაზიარე, შენი ჭირიმე, შენის მადლიანის ხელით: შენგან ანთებულისანთელი შენს ხელში უნდა გავქრე. ცოტალა მაქვს სიცოცხლე, მაზიარე.  
— გაბრიელ!..

— მე ვარ, მე!.. გააწყვეტინა ბლალოჩინს სიტყვა: და შენც ისა ხარ, ვისიც მოლოდინი ჩემს სულსა ჰქონია, ვენაცვალე შენს მადლსა!.. მაზიარე, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, სიკედილი მერევა.

— რამ მოგიყვანა ამ დღემდინ? ჰკითხა შეწუხებულად ბლალოჩინმა.

— იმ ცეცხლმა, რომელიც ყველას ღვთისაგან გულში გვინთია, როგორც შენ ერთხელ მიბძანე, მე ესე მგონია და სხვისა კი არ ვიცი. მაზიარე, შენი ჭირიმე!

ბლალოჩინი საცოდავად გახდა: გაფითრდა, წაცრის ფერი დაედო სახეზედა, ენა ჩაუვარდა, სიტყვა მოეჭრა, თითქო თვითონ იყოვო ამის საცოდაეობის მიზეზიო. ხმა ვეღარ გაჰს-

ცა გლახას, ხმა! არეულება დაიწყო ზიარებისათვის მზადება.

— აღსარების თქმას სულთა-მხუთავი აღარ დამაცლის, უთხრა გლახამა: შემინანია ყოველითერი, უაღსარებოდ შემინდე და მაპატივე და ისე მალირსე ზიარება.

— შემინდვიხარ.

— რვა კაცი გამიძარცვავს!.

— შემინდვიხარ.

— კაცი მომრკლავს.

— მაინც აქ მე შემინდვიხარ და იქ ღმერთმა იცოდეს. შენთვის ვილოცებ, უბედურო გაბრიელ.

— რაკი შენ შემინდე, წამოიძახა სიხარულით გლახამ: ღმერთიც შემინდობს, იმიტომ რომ შენის ენით ყოველთვის ღმერთი ლაპარაკობდა. თუ ღირსა ვარ ეხლა ზიარებისა, მიბოძე.

— შენთვისა და მრავალთათვის არის განტეხილი ხორცი ესე ქრისტესი და დანთხეული მისი წმინდა სისხლი მისატყვევებლად ცო-

ღვათა. მიიღე და სჭამე!.. ჰსთქვა დიდებითა და ნუგეშინის-ცემით ბლალოჩინმა.

— ვენაცვალე ჩვენთვის ჯვარ-ცმულსა ქრისტესა!... წარმოჰსთქვა სასოებით გლახამა: მალისე ეხლა ზიარება, ღვდელი!

ბლალოჩინმა ლოცვა დაიწყო, ამოიღო სანაწილედამ წმინდა ნაწილი, გლახას წინ დაუჩოქა, კოვზით ზიარება მიაწოდა და წარმოჰსთქვა ვედრებითა:

— ჰოი, ყოველთათვის ჯვარცმულო ღმერთო! ტანჯულთა და ცოდვილთა მეოხვე! მოიხსენე ესე მესავი შენი, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა.

— მომიხსენე მე, უფალო, და დამიფარე!.. შეევედრა გლახა და მერე ბლალოჩინს უთხრა: არა, შენიჭირიმე! მე ეგრე მწოლარედ ზიარების მიღებას არ ვაკადრებ ჩემსა მსხნელსა და მაცხოვარსა. ვენაცვალე იმის მადლს! მინდა ჯერ პირქვე დავემხო იმის წმინდა ხორცისა და სისხლის წინ და შევავედრო ჩემითავე.

წამოდგომა მოინდომა. ჩვენ მივცვივდით საშველად და ორივე ფეხზედ, მისვე სურვილისამებრ, წამოვაჩოქეთ. პირ-ჯვარი გადიწერა, ღმერთს მუდარების სახით, შეხედა, „ალუპყრა ხელნი და გოდებით შეევედრა! “მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა.“ მერე ბლალოჩინის წინ მომტირალი პირ-ქვე დაემხო.

დიდხანს იყო ისე პირქვე დამხობილი, მარტო ყრუ-ქვითინი მისი ხანდიხან მოგვესმოდა. ბოლოს ქვითინი შეჰსწყვიტა. ბლალოჩინი დაჰსწვდა წამოსაყენებლად, მაგრამ გლახას ისე პირქვე დამხობილსა, სული დაელია კიდევც. საცოდაესა მაინც ზიარების მიღება არ დაჰსცალდა.

ილია ჭავჭავაძე.

## მღრი სურათი

---

სათლავებზე ბნელი მაისის ღამე  
გადაწოლია მძინარ ბუნებას,  
რომელიც თვითქმის მთლად გაუმსჭვალავს  
ჯოჯოხეთურსა უცნაურ-ვნებას!...

ყოველგან ხელმწფობს მკედრული სიჩუმე...  
მხოლოდ ხან და ხან ისმის კივილი  
და მას პასუხს სცემს რალაც ფრაქიალით  
როგორც ტენის წვას გულის ტკივილი!...

ნეტავ რა ხმაა ეს საზარელი?  
კუდიანებს ხომ არ ეძახიან  
ბრუტ-საბძელაზიდ და ისინიცა  
ბატონ-როკაპთან მიისწრაფიან?

არა! საზარი და შავ-ბედითი  
ეს ხმა ზარნაშოს კივილი არი

და ნანგრევადმ მელამურები  
გმოფრინვიან ამ ხმით დამფრთხარი.

წყევის ბეჭელი აძევს ბუნებას!...  
მთლად დაუჭვირთავს ის შეჩვენებას!!..  
არა რაობა სჯობს ამ არსებას  
და ტანჯვით შფოთვა ამ მოსვენებას!!..

მაგრამ უეცრად მთის გარდაღმიდამ  
გამოჩნდა მთვარე სხივ მომფინარე,  
მასთანც მუდამი მისი თან-მსრბოლი  
მცირე ვარსკვლავი ზოსხივ-ცისკარე!

თვის შუქით კურნებს ტანჯულ-ბუნებას,  
მშობლურ აღერსით სჭერეტს მომცინარე!..  
მით მოუპრუნდა ბუნებას მაჯა  
და სულის იბრუნებს მთლად არე-მარე!...

ყოველს სულ-დგმულსა, ყოველს მცენარეს  
ერთბამი ტკბილი აქვსთ გულის ძგერა!...  
ყვავილნი ფშვინვენ სურნელებასა,  
და ბუღბუღით იწყეს ჩვეულებარ მღერა

ზეფირი უქრის, მცენარე თავს ხრის,  
 ფოთოლთ საამოთ გააქეთ შრიალი!...  
 მიკვირს, ბუნება რაო იტანჯოდა,  
 თუ თვით ჰქონია ამდენი ძალი?!

ვეგონებ მაგალითს გვაძლევს ბუნება:  
 ჯერ უნდა ენახოთ ჩვენ განსაცდელი,  
 რომ მით გვირგვინი გამოცდილების  
 ბოლოს ეიხილოთ, ბნელით—ნათელი!...

მაგრამ ძნელი ხარ შენ განსაცდელო,  
 ვინ გაგიძღოს შენ, თუ არ ჩჩეულმა?!..  
 აურაცხელი და უწონელი  
 ვით აიტანოს ტანჯვა გლახ გულმა?...

შენი მებრძოლი, სულით ობოლი  
 ბევრი გეინახავს შეილდებრ ღუნული  
 და რომელიც კი არ მოგლუნვია,  
 დაგიმტვრევია როგორც ყინული?!

შემცნეული მაქვს მეც შენი ძალა,  
 რასაც მექადის ვხედავ მე მედი,

მაგრამ დავიმტვრე არ მოვილუნვი,  
მსურს მატყუებდეს მისთვის იმედი!!.

თუმცა კრული მაქვს აწმყო არსება,  
მეყსიერებაც ყოველს ჩემს წასრულს  
ზარნაშოსავით რა თავს დამძახის,  
ტვინსა მიღულებს, მით მიშფოთებს სულს!

და მის ხმაზედა შავი ფიქრები,  
ვით მელამურა, თავზედ დამფრენენ  
და, აწმყოს წასრულს რა უერთებენ,  
ბნელზედ ორ კეცად უკუნს მაფენენ,

მაგრამ მე მაინც სრულ იმედითა  
ველი იმ მთვარეს და იმ ვარსკვლავსა!  
მოსტყუვდე, მაინც არ მოვილუნვი  
და ჩავალ სწორი სწორსა საფლავსა.

აკ. წერეთელი.

15 ოკტ. 1872 წ. ქვაშიხორს.

# გლეხური სიმღერები.

(ილა. ჭა ჭყაძისაგან მოგროვილთაგანნი.)

## I

ტირილითა და გლოვითა მტერნი არ შეგე-ბრალევენ,  
შოვლენ, დავწვენ და დავდაგვენ, მზე იყოს, დავგი-  
ბნელებენ.

## II

ვაჟკაცს რას გამაადგება სოფელს შეენება თავისა:  
ხმალს უნდა აჭოვეინებდეს, იმედი ჰქონდეს მკლავისა:

იგივე, ბარში გაგონილი:

ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი უნდა ხისაო,  
თვალი ქორთულზე მჭვრეტელი, სიმარდე შავარდნისაო,  
ხარი, კამეჩი თავისი, ცოლი უყვარდეს სხვისაო.

იგივე, მთიულისაგან გაგონილი:

ვაჟკაცსა გული რკინისა, ქვეშ მუხლი უნდა მგლისაო,  
თვალნი ქორებულ შექმნილნი, ზედ მხარი შავარდნისაო!

## III

კარგი ყრმა მაშინ კარგია, ხმალნი რომ შევლენ ელვასა,  
მოციქულობენ ისარნი, მშვილდნი აძლევენ ენასა.

## IV

გავვიძელ, ბერო მინდიაე. მუხლი მაიბი მგლისაო,  
გაიყოლიე უმცროსნი, ვისაც თავი აქვს ცდისაო.

ქართული

სალიტერატურის ისტორიის

გასალა

ნ. ბარათაშვილის წიგნები. \*)

I

საყვარელო ძმაო, გრიგოლ, დამნაშავე ვარ შენთან დიდი; მაგრამ შენ რომ ჩემს ადგილს იყო, აღარ გამამტყუნებ. — დიმიტრიევსკის ლექსები გეთხოვნა, — მთელი ქალაქი სულ შევაჯერე და ვერსად ვერ ვიშოვნე. ნოტები ხომ თავისდღეშიაც არ ყოფილა. შევიტყუეთ, რომ თურმე ფრანციკულს ჰსწავლობ. ერთმა ქალმა შამოგითვალა: „სპარსულად ნათქვა-

---

\*) ეს ძვირფასი წიგნები მიწერილია თ. გრიგოლ-ორბელიანთან, რომელსაც მათ დასაბუქლათ გადმოცემისათვის უგულითადესს მადლობას ვუძღვნით.

რედ.

მიაო, ოცდა ათ წელიწადს უკან რომ კაცი  
 ჩონგურს ისწავლის, საიქიოს დაუკრავსო.“  
 რაზლოვორს და ღრამმატიკას დამპირდა ერთი  
 ჩემი ნაცნობი; ჯერ არ მოუტანია; ამას უცდი  
 თუარემ აქამდისინ გამოგიგზავნიდი.—თუ ქა-  
 ლაქის ამბავი გინდა, ჰსწორე გითხრა, ბევრი  
 ჭორიანობაა და ჭირიანობა; ორივე ერთია;  
 მაგრამ ჭირი ტყუილია ამ კელად და ჭორიკი  
 მართალი.— დიდი დაძვრებაებია ქალებისა;  
 დიდი აყალ-მაყალი; დიდი ტირილი; დიდი  
 ღამის თევადები; დიდი წვეულებადები ერთმანერ-  
 თის ჯადრით. დაწერილებით მოგწერდი ყო-  
 ველს ფერს მაგრამ კვლავ იყოს, როცა მოც-  
 ლით ვიქნებო ამ ამბავს დიდი აწერა უნდა  
 ამ წიგნსაც საჩქაროთა ვწერ პალატაში.— ჩვენც  
 ახალს სახლებში გადაფედით, ანჩისხატის ობან-  
 ში, უწინ რომ აბხაზი იდგა.— ჩვენმა ლიტე-  
 რატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა: კიბი-  
 ანმა გადმოთარგმნა *Ромео и Джулиетта*,  
 შეკსპირის ტრალედია და მე ვთარგმნე *Юлий*  
*Цезарский*, ტრალედია ლეიზევიცისა; თუ

წაგიკითხავს, ბიბლიოტეკაში იყო დაბეჭდილი; მე ძალიან მამეწონა და ჩვენმა განათლებულმა ქალებმაც, ასე გაშინჯე, იტირეს.

მ\*\*\* ძალიან გწყევლის; არ ვიცი რა მოჰგოწერია.— ბ—ის სიკვდილს აქ ასე გლოვობენ, რომ ეს არის შაფები არ აცვიათ, თორემ სხვა აღარა აკლიათ რა.

სხვა? სხვა : ამ კელად ეს იყოს.— ნუკი შემომწყრები.

შენი მარად და შარად და მარადის იქითაც.

ნიკოლაი

წელსა 1841 სა.

მაისის 28-ს დღესა.

ქ. ტფილისი.

## II

საყუარელო ძმად გრიგოლ, შენი წიგნი მომიტანა დ. ჯ—ძემ. დიდად მაამა ამ წიგნმა, მეტადრე ქართველების ქებაში. მაინთ თქვენ და იქით ანდრონიკოვი! მილიციამ, როგორც იტყვიან, ასახელა თავისი სახელი და ზღაპრული

გმირობის კმა დაიგდო მრთელს მხედრობაში; თუარემ შენ თვითონ შეიტყობ დაწვლილებით. მითამ როდის და რაში არა ვჰყოფალვართ კარგნი, მაგრამ ჩ ი მ ი ქ უ ნ ი მ!

მჯერა სარდლობა არლუთინსკისა, ს—ისა და გურამოვისა, რადგანც შენ აქებ, მაგრამ მინდა ერთი ჩაგიხველოთ; შენი დიპლომატობა ხომ აღრევე ვიცოდ: ხუმრობა არ არის, რომ ქართველმა კაცმა გურულებს შეაგონოს ყოველივე უბედურება, რომელიც შეუდგების აღშფოთებას; შაბაშ მკლავთა და განკარგულებათა თქვენთა!

ძმაო გრიგოლ, ტფილისის ამბავი მაგთენი არა ფერია. ცოტას ხანს დაჰყვეს აქ აღლერბერლის შეილებმა და, რალა განგიმარტო, შენ მიხედები, რაც აღლერბერლის შეილები აქ იქნებოდენ.—პოლკას კამანდერი გამოგიცვალეს მაგრამ ეს განკარგულება მოხდა უწინარეს ვიდრე გამოიძიებდენ ჩილაევის სიმართლეს, რომელიც ვჰგონებ რა დადუმდეს.—ყაფლანს ვაჟი ჰყავს, დიდს ნათლობას აპირებს ხანუ რად,

თუმცა ხანებმა ნათლობა არ იციან. — ჩვენს დიდს პ—ს ძილში კატა დაჰსწოლოდა ბაკენ-ბარდზედ და ასე გაეთელა, რომ ველარას გზით ვერ გაუსწორებია. ეს ერთი ბაკენბარდი ასე გათელილი დარჩა; ვურჩევთ, რომ მოიპარსოს, მაგრამ არ გვიჯერებს. ეს აკლდა ამის თილოსოფოსურს სახეს! სხვა ტფილისი ისევე ის ქალაქია, უსარგებლო გონებისა და გულისათვის. ერთი ნუგეში ეს არის, რომ მშვენიერი დარებია.

ლიტერატურა ჩვენი, ღვთით, დღე და დღე, შოულობს ახალთა მოყვარეთა. მრავალნი ყმაწვილნი კაცნი, მოცლილნი სამსახურიდგან მყუდროებაში და მარტოობაში, შეეწევიან მამეულის ენას, რაოდენიცა ძალუძთ. ესე საზოგადო სული ბუნებითის ენის ტრფიალებისა ყმაწვილთ-კაცთ შორის აღმოაჩენს, რომ ქართველთ არა ჰსძინავთ გონებით!

ამ მცირეს ხანში ერთი ლექსი დავწერე, რომელსაც ამასთანავე გიგზავნი, შენი ჰაზრი ჩემთვის მარადის სასიამოვნოა.

## კრებული

(ამ დაწერილია უსათაუროდ ლექსი, რომელიც და-  
ბეჭდილია „ჩონგურში“ 78 გვერდზე, სახელად  
„ფანტაზია“.)

გიორგი მომიკითხე, ვასილ და სხუანი ჩუჰნ-  
ნი ნაცნობნი.—მამა ეგნატიმ შემოგითვალა:  
„ქრისტემ გა—კურ—თხოს“. ჩვენთანებმა ყვე-  
ლამ მოგიკითხეს. მშვიდობით. ძალიან მინდა  
შენი ნახვა.

შენი ნ. ბარათოვი.

წელსა 1841

ოქტომბრის 18-ს

ქ. ტფილისით.

## III

საყვარელო ძმარ გრიგოლ! ილია მართლა  
ტყვედ არის შამილთან!—ეს ამბავი უადრევე  
მინდოდა მომეწერა შენთვის, მაგრამ ჯერ კიდევ  
ყველას იმედი გვქონდა, რომ ან ეს კმა ტყუ-  
ილი იქნებოდა, ან ყაზიყუმიხელები შეინა-  
ხავდნენ დამშვიდებამდე. — *По официальному*  
*донесенію Фезе известно только то, что*

*адъютантъ его, Князь Орбелиани, 20-го Мар-  
та былъ посланъ въ Андалалъ съ поручені-  
емъ и что его взяли тамъ въ плени.—*

ხოლო ლეკმა, რომელმანც ეს ამბავი მოი-  
ტანა და რომელიც დამსწრე ყოფილა ილიას  
დაჭერაში, აი რა ილაპარაკა.—ილიკო რომ  
დაუჭერიათ, სინაქსაროვი და ყაზიყუმინის ხა-  
ნი დაჭერილები ყოფილან. მეორეს ღღეს შე-  
მოსულა ანდალალში თვითონ შამილ. ტყვე-  
ები წარუდგენიათ. ილიკოს თანა ჰყოლია  
ოცი, სულ დაწკეპილი ყმაწვილი ბიჭები, ავა-  
რელები, ახმეტ ხანისგან გამოტანებულები;  
შამილს ოცისავესთვს ილიას თვალთ წინ თა-  
ვები დაუყრევენებია; ახტელელები კი, რო-  
მელნიც სინაქსაროვს მოჰყოლიან, დაუშიშე-  
ლებია და ისე გამოუყრია. შამილ ახმეტ ხან-  
ზედ ძალიან გაბრაზებული თურმეა, და ასე  
უწყალოდ იმიტომ მოქცევია ავარელებს.  
აი ილიკოს რა უთქვამს შამილისათვის; „შა-  
მილ! როგორ ეკადრება შენს სახელს მაგის-  
თანა უწყალოება! თუ გინდა მაგით შეაშინო

ვინმე, ვინ უნდა შეაშინო? ყველანი სიკვდილის შეილება ვართ. ჭეშმარიტად ახლა მეც სიკვდილი მიჩვენია. შენს კელში ყოფნას!“

ვითომც შამილს ჰსდომებია ილიას გამოშვება, მაგრამ ესე ყოჩაღად რომ უნახავს და ამის გეარის შეილობაც შეუტყვია, უფიქრია, რომ ეს კარგი აფიცერი უნდა იყოსო და იქნება რუსებმა ჩემს შეილში გამიცვალონო. მაშინ შამილს უთქვამს ტყვეებისთვის, ილიასა და სინაქსაროვისათვის, რომ თქვენ ნურა გეფიქრებათო, მაგრამ თქვენს მამულს ვერა ნახავთ, ვიდრე კელში იყავით ჩემს შეილს არ მამცემსო.

ახლა ილიკო დარლოშია, სადაც შამილის ცოლშვილია და სიმაგრე, და კარგადაც თურმე ინახავს. ასე გაშინჯე, გალაფინის ცოლმაც კი თქვა, რომ მე ყოველთვის იმედი მქონდა, რომ ქართველი მაგისტანა პასუხს მისცემდაო, ვითომც ილიას რომ უთქვამს სიკვდილი მიჩვენია შენს კელში ყოფნასო. მახლას ილიკო ყოჩაღად ყოფილა. *Онъ те-перъ предметомъ разныхъ анекдотовъ.* ზოგ-

ჯერ აწინასწარ შემთხვევაც კარგ კაცის  
 სიცოცხლეში. ეს არის რომ იქნება ჩვენ  
 დაგვიგვიანდეს ილიას ნახვა, თუარემ იმას  
 ამ ტყვეობით არა უშავს რა. *სიღვიძარი*  
 . . . . .

*Вотъ что поэтъ думаетъ за Илью:*

„მირბის, მიმაფრენს, უგზო-უკვლოდ, ჩემი მერანს!

(აქ ის ლექსია რომელიც „ჩონგურშია“ დაბეჭდილი  
 75 გვერდზე, სახელად „ჩემს მერანს“.

არ ვიცი ეს ლექსები როგორ მოგეწონება.  
 აქ კი ბევრი ცრემლი ტყუილი და მართალი,  
 დაინთხა ამის წაკითხვაზე, რასაკურთხელოა იმი-  
 ტომ, რომ ამას ამბობს ილია ტყვეობაში, და  
 არა მე. ილიას დაჭერა რომ შეეიტყე, ჰსწო-  
 რე გითხრა ძალიან შეეწუხდი ასე, რომ სამი  
 დღე გაბრუებული ვიყავ ათასის სხვა და სხვა  
 უცნაურის ფიქრებით და სურვილით და რომ  
 ეკითხათ კი ჩემთვის, მეც არ ვიცოდი, რა მინ-  
 დოდა. ბოლოს მესამეს დღეს ეს ლექსები  
 დავწერე და თითქოს ამან რაღაც შეება მომ-  
 ცაო. ვცდილობ, რომ ილიკოს როგორმე

მივაწოდო; ვიცი, გულში ჩაიციინებს და არ იქნება ამით არა ენუგეშოს რა.

ზაქარია ახტას არის, სინაქსაროვის აღ-  
გილს; იასეციკ არის ელისოს მილიციით და  
იმედებს იწერებიან ილიას გამოყვანისას. მაგ-  
რაჲ მე ჯერ ასე ჩქარა ვერა მგონია, მეტადრე  
ახლა, როდესაც შამილ ჯერ არსად ომობს  
და ილიაც თავის სახლში ჰყავს. ძმაო გრი-  
გოლ, ყოველივე სოფელში ღეთის ნებაა და  
მწუხარებით, თვითონ იცი, ვერას უშველით  
ილიკოს. ჩვენი საფიქრებელი ეს არის,  
რომ ვიღონოთ რამ იმის გამოხსნისათვის.

ძლივს საქართველოს მოუვიდა რუსი, რო-  
მელსაც ეყურება აქაურობისა. იმედია, რომ  
პოზინი კეთილად წარმართავს ჩვენ გარე-  
მოებას. მინისტრს შეიღოს შაისს. მოველით  
ერევანზედ. სხვებრ ჩვენიანები ყველანი კარ-  
გათ არიან; მხოლოდ ფეფოს მწუხარება  
გვაწუხებს ყველას. ხომ იცი ტყვეობა და სიკვ-

დილი ჩვენს დედაკაცებს ერთი ჰგონიათ, მეტადრე ლეკის ტყვეობა.

მაისის 2-სა დღესა 1842 წელსა.

მარად შენი ერთგული ნ. ბარათოვი ელიზბარს ემადლობ მოკითხვისათვის, მაგრამ ვწუხვარ რომ მაგის საქმეს ყოველთვის ნახსი ჰსდევს; ჯერ კიდევ არ უქნია მაგისკენ პირი ბედსა. ოცენკა დააბრუნეს ძღუე *исправленія иъ некоторых недостатковъ противъ формы.* ვიცი როგორც გაჯავრდები! მაგრამ მაგ გაჯავრებულს გულზე გთხოვ მიიღო მოკითხვა შენი მტერმოყვარე ქალებისაგან.

#### IV

საყვარელო ძმაო გრიგოლ, არა, უკაცრავად, მთავარო ავარისაო, ემირ-ავარო, ატტილას ტახტზედ მჯდომარეო!

ჰეშმარიტად არ ვიცი, მე ვარ დამნაშავე შენთან მოუწერლობისა, თუ არა? ვისთანაც შენგან მოწერილი წიგნი წაეიკითხე ყველას.

თან ხუმრობისა და ლანძღვის მეტი არა იყო  
 რა, ჩემთან რომ ფატრინი გამოვეგზავნა,  
 ისიც დაპირების მეტი არა იყო რა. მე ბინია-  
 ნად მინდა შენთან ლაპარაკი, და ხომ იცი,  
 რომ საწყინოა ამისთანა ლაპარაკის გაცრუება.  
 საკურველია, რომ ქართველს კაცს, როდენ-  
 ნიც დიდებული და ძლიერი უნდა შეიქნეს,  
 არა აქვს ეს შორს მხედველობა, რომ, რო-  
 დესაც დაატყოს თავისთავს ებერდებოდ, ჰპო-  
 ვოს თავის მემკვიდრედ ვინმე მოამზადოს,  
 მიჰსცეს გზა სოფელში, გამოიყვანოს კაცად,  
 და როდესაც თვითონ დაეცეს (საბოლოო  
 არა არის რა ამ საწყითოში), მაშინ მაინც კი-  
 დევ ჰქონდეს შემძლებელობა და კმა ერსა  
 შორის თავის მემკვიდრის შუამავლობით!  
 ახლა მე იმას ვამბობ, რომ მე შინაგანი კმა  
 მიწვევს საუკეთესოს ხვედრისაკენ, გული მე-  
 უბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგო-  
 მარებისათვის დაბადებულიო! ხუ გძინავსო!  
 მე არა მძინავს მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ  
 პატარა ღრუ-კლდეს გამოიყვანოს, და დაფლვე

გაშლილს ადგილს. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გარდაეხედავ ჩემს ასპარეზსა! ჩემი ფიქრი მანდეთ მოჰქრის. ეცადე, რომ რენენ კამფთან დამანიშენინო. ხომ ამ პირობით წახველ, რომ ეს მოგეხდინა ჩემთვის. ვიცი დაგავიწყდა, მაგრამ არა, არ დაგვიწყებია. ეს იმ სწეულების ბრალია, რომლისაგამოც ქარხველი თავისიანს არ გამოადგება..... მე ახლავ მიტყობს გული, რომ ამ ჩემს მხურვალეს განჰსჯას გამიტრბზავებ: ემრობა შასხარად აიგდე, და მომავლის დიდების ფიქრს რას უზავ? სხვებზე უნ იცი.—ახლა ქალაქის ამბავს მოგწერ.

გუშინ შაჰის ელჩი შემოვიდა, თუ გახსოვს, მირზა-სალი, ევროპიის ენებზედ მოლაპარაკე, განვითარებული კაცი. მაზეგ, რომ საშუაფათია, დიდს ბაღს უკეთებს მთავარ მმართველი. მაგრამ ვინც უნ გეგულება, არც ერთი ჩვენი ქართველი ქალი აქ არ არის და გაიხარე, რომ ბაღში არ იქნებიან.—

*Но и тымъ оиъ всхерцаюиъ; будъ влнстѡ*

*Мирза-Сали графъ Чицероне, оиъ тотчасъ бы пріѣхали на балъ.*—ბალის ამბავს შეგატყობინებ.

ჩვენ ილევან ქუთაისში გაადგეს პარუჩენით. მე და შენში დარჩეს, (ისე კი არა, ბაკლანას რომ ხომალდი დაეღუპა) ... გრიგოლ წერეთელი ინაზებოდა, არ უნდოდა მილიციის მიღება, და მთავარმმართველმა ილევან გაუგზავნა, ასი ოქრო გზის ხარჯად, და დაიბარა. იმასაც ეს უნდოდა. რასაკურთხელია რომ უარი აღარა ჰსთქვა. დახე, ქვეყნის ოხრობას! შენი უკანასკნელი წიგნი ილევანთან მე გავხსენ და წავიკითხე, ბევრი ვიცინე.

ილია კარგად არის. პარუჩიკობა გაიკრა, ას თუმნამდინ თავისი ჯამაგირი გამოუვიდა და წარდგენილია არმიაში. ამისი საქმე თავში ბოსტანია, გულში სიყვარული, დაიჯერე, ხუმრობა არ გეგონოს.

არ ვიცი ბუმაჟნიკი და ქუდი მოგივიდა თუ არა, ეს კი ვიცი, რომ გიმზადებდენ.

კნიაზი ჭ. თავისის კნეინათი მარტყოზს იყენენ ჯვარობას, ამათ დასტაში იყენენ ს—ძის ცოლი, ს—ჩის ცოლი დაბ—კის ცოლი, ეს კი მუხრავანიდგან გაღმოვიდა, ამ ზაფხულს იქ იდგა, უქმროდ არ გინდა, რომ ერთს საათს მაგ მთებში გამოძძვრალიყავ და მუხრავანში, იმის ოთახში, შუალამისას დაბადებულიყავ? იქიდგან კალასკაში კნიაზი და ს—ჩის ცოლი ერთად ისხდნენ წინ და კნეინა და ს—ძის ცოლი ერთად უკან. *Довольно подробно!*

მამა ეგნატიმ თავი დაგიკრა იმიერ სოფლითგან. ერთი თვეა რაც გარდაიცვალა. საწყალი! *Вот человек, который, по своему положению въ свѣтъ, больше всѣхъ страдалъ. Минувшее проходило передъ нимъ и волновалось, какъ море-океанъ!*

სხვა რაღა მოგწერო, მეც სამსახურში მივეშურები, *и вообще здѣсь,*

*И грустно, и скучно, и нѣкому руку подать Въ минуту душевной невзгоды!*

ჩემი ახალი ლექსი ეს არის:

სულთ ბოროტო, ვინ მოგჩხმო ჩემად წინამძღვრად,  
(ნახე „ჩონგური“ 122 გვერდი)

ამით გავათაოთ ეს წიგნი, დროს აღარა  
მაქვს, და შემდეგ ბევრს მოვიწერებ. ერთს  
ცუდა დროს ჩავიგდებ; დარაც ვიცი, და არ  
ვიცი სულ გავაჭრელებ. ახლა ფაცაფუციით,  
არა მაგონდება რა. ახლა ვნახოთ, რასაც  
შენ მოიწერები.

სირცხვილია რომ მაგ საშინელებებში პო-  
ეზიამ არ გაიღვიძოს, და თუ ემირს ლექსის  
წერა აღარ ეკადრება, ავარიის ისტორია და  
სტატისტიკა მაინც უბძანე რომ დაწერონ.

შენი მარადის ნ. ბარათოვი

21 Август 1843 г.

Тифлис.

შენი ნაპირზე აწერია:

მამამ, თეფომ, კატომ, ბაბაღემ, ინინუცამ  
და აპლიპუტილამ მოგიკითხეს.

არ გებრალება, რომ მაია ქვეშაგებოდ ჩა-  
ვარდა! — გიორგი ზაქათალას გაგზავნეს ბა-  
ტალიონის კამანდერზედ გამოსაძიებლად, და  
ბატალიონსაც პირველს ამას აძლევენ.

## რჩევა ახალგაზდა მწერლებს

---

აჭიჭინე აჭი-ბაჭია!

მართალს, ჭკვიანურს ნურას იმღერი,  
თორემ გამოჰხრავს შენს ჩანგს, ვით ჭია  
ჭკუის მტარვალი ტვინ-მეისტერი.

---

როგორ არ იცი? ჩვენში მართალი  
ისე წამხდარა და სცვლია ფერი,  
როგორც ურიის მყრალი ფართალი!  
ამას გვიმტკიცებს ტვინ-მეისტერი!

---

მაგრამ სიცრუეს და ორ-პირობას  
მარად თაყვანს-სცემს ფრი და ბერი.  
და ვინც არა სცემს— ჩადის ვირობას!  
ამას გვარწმუნებს ტვინ-მეისტერი.

---

შენ ხარ ჰოეტი, ცხოვრების სარკე,  
 სადაც იხატვის ყოველი ფერი,  
 მაგრამ ნუ ხატავ ყველას, თავს არგე!  
 ნუ გადიმტერე ტვინ-მეისტერი!

„ყარყუმს რა მოჰკლავს? თავისი ენა!“  
 ვინ გეხვეწება შენ რომ იმღერი?  
 ყველას მაგისტრის ჰსურს შენი წყენა  
 და მას გიწყურება ტვინ-მეისტერი!

შენ თუ ხალხს სძულხარ, შენ რაღათ გიყვარს?  
 წყალმაც წაიღოს მთლად ქვრივ-ოხერი!  
 შენ რა გატირებს? რათ მოჰყვები ზარს?  
 ამას გიწყურება ტვინ-მეისტერი!

ტყვილად ნუ სცდილობ დიდ-კაცის გმობას,  
 გინდ მამულისაც იყოს ის მტერი,  
 თორემ შესცდები, ვაფიცავ შენს ძმობს  
 და გაგიწყურება ტვინ-მეისტერი!

სჯობს ნუ დასცინებ ხელ-ჯოხიანებს  
 გინდა შიგ თავშიც უფრენდესთ მწყერი,

თორემ, იცოდე, რომ გაზიანებს  
და გაგიწყრება ტვინ-მეისტერი!...

ხალხში სამართალს ტყვილა ნუ ელი!  
თუ გსურს არ მოჰკედე ჩვენში მშიერი,  
ფარისევლობას მიჰყავი ხელი  
და მოგიწონებს ტვინ-მეისტერი.

ხელ-ჯოხიანებს სიტყვა თუ ფული  
წინ დაუყარე, როგორც ცხენს ქერი,  
თუ გსურს მოიგო იმათი გული  
და ასიამო ტვინ-მეისტერი!...

დიდ-კაცს რომ შეხედე წინ გაუგორდი  
ზურგით ასწმინდე მის ფერხთა მტვერი,  
უმცროსი სჩაგრე, ტოლს გაუსწორდი  
და დაგიმადლებს ტვინ-მეისტერი.

ზე ცხვანზედ შედე შენი კალამი,  
რომ დაეყაროს ბლომად მას მტვერი.

თუ გსურს მიიღო ხალხის სალამი  
და შეირიგო ტვინ-მეისტერი!

ააკიკინე აკი-ბაკა!

მართალს, კვეიანურს ნურას იმღერო,  
თორემ გამოჰხრავს შენს ჩანგს, ფით კია,  
კკუის მტარვალე ტვინ-მეისტერი.

აკ. წერეთელი.

## ნაკოლონ მესამის ცხოვრება

### III \*)

წარსული საუკუნის დამლევს საფრანგეთის ცხოვრებაში ბევრი ცვლილება მოხდა. ილაჯ გაწყვეტილმა საზოგადოებამ და ხალხმა, რომელიც თავისი შრომით და მოხერხებით სახელმწიფოს ნამდვილ ძილას შეადგენდა, მაგრამ მაინც ყველაფერში უმოქმედო და უხეირო დიდკაცობის ხელში იყო, მოინდომა ამ დიდკაცობის ხელიდამ თავის დახსნა და საკუთარი თავისთვის საკუთარი ტენით ცხოვრება. იმან ძალადობით მოსპო დიდკაცობის უპირატესობა, დაშალა ძველი უსამარლო წესი, დაარღვია ძველი მიმდგომი კანონები და მათ მაგიერ დააარსა ახალნაირი საზოგადო-

---

\*) „კრებული“, 1873, № 1.

ბრივი გაწყობილება, გამოსცა ახალი კანონები და შემოიღო ახალი ჩვეულებები. ამ ცვლილების უმთავრესი აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ კანონის წინ ყველა, დიდი და პატარა, მდიდარი და ღარიბი, სრულიად თანასწორი და ერთნაირათ: თავისუფალი ყოფილიყო. თანხმად ამ აზრისა მოისპოათასნაირი უპირატესობა დიდკაცობისა, რომელიც იმას უწინდელ დროში ძალადიანობით შეეძინა, მოისპო უმეტესი ნაწილი შისი გავლენისა და, მაშასადამე, დამცირდა მისი სიმდიდრე და ეკონომიური მდგომარეობა. მაგრამ, თუმცა ამ ცვლილებას უმთავრეს აზრათ ყველასი გათანასწორება ჰქონდა კანონის წინ, მაინც ის მოხდა, რომ საქმით კი მართო ზოგიერთები გათავისუფლდა. და კანონში მოხსენებული თანასწორობა ღითქის მთელი საფრანგეთისთვის უმნიშვნელო ფრაზათ დარჩა, მისთვის, რომ ხალხის ნამდვილი ეკონომიური მდგომარეობა დიდათ როდი შეცვლილა იმ გადა-

სხვაფერების დროს, რომელიც საფრანგეთს რევოლიუციამ მიანიჭა.

დიდ-კაცობას და ეკლესიას რაც ადგილ-მამული ჰქონდა, იმის უმეტესი ნაწილი, მართალია, ვაჭრების, მოქალაქეების და სოფლელების ხელში გადავიდა და განაწილდა, მაგრამ ამ დიდ ეკონომიურ ცვლილებას ის ნაკლებეფანება დაერთო, რომ მუშა-ხალხს, როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში, სრულიად არა ერგო რა, და ზოგი ამ მიზეზით, ზოგი მისი „პატრონების“ გაძლიერებით, ეს ხალხი თავის-თავს დაჩაგრულათ გრძნობდა. რევოლიუციამ იმას პირადი უფლებები და თანასწორობა მიანიჭა დანარჩენ წოდებებთან. მაგრამ სიღარიბე და მძიმე შრომის გამოუდევრობა ყოველ ცისმარია დღეს ამ ხალხს უთანასწორობას აგრძნობინებდა და უმჯობესი ბედის და მდგომარეობის სურვილს უძრავდა.

რაც უფრო ვრცელდებოდა და ჰკეთდებოდა წარმოება და აღებ-მიცემობა, რაც უფრო კარგ ჩარხებს იყენებდნენ ქარხნის პატრონები,

მით უფრო და უფრო ეცემოდა მუშა-ხალხის ეკონომიური მდგომარეობა. თითოეული ახალ გამოგონებული ჩარხი მუშებს ათასობით ულუკმა-პუროთ სტოვებდა. ცხოვრება, ხორაგეული, სადგომი, ტანსაცმელი თან-და-თან უფრო და უფრო ძვირდებოდა და მასთან თანასწორათ უფრო და უფრო ძნელდებოდა ხალხისთვის თავისა და ოჯახეულობის რჩენა. ამას-გარდა პოლიტიკურ განხეთქილებას და ნიადაგ ომებს ხშირათ აღებ-მიცემობის შეწყვეტა, წარმოების შეჩერება, შრომის მოსპობა, — ერთი სიტყვით „კ რ ი ზ ი ს ი“ მოზღვევდა. ყველა ამ მიზეზებით მუშა-ხალხის მდგომარეობას რევოლიუციის ცვლილებები იმოდნათ ბედნიერათ ვერ დაეტყვენ, როგორც შუათანა წოდებაზე — ვაჭრებზე, მოქალაქეებზე და შემძლე გლეხებზე. და ამ უკანასკნელების უცაბედი ამაღლება და გაძლიერება ფითქო საგანგებოთ ცეცხლს უკიდებდა მუშა-ხალხის დაცემულ იმედს.

მუშა-ხალხს ეს ყველაფერი გულს უკლავ-

და. ის გრძნობდა, რომ სამშობლოს ყოველ ნაირი ტვირთი მის კისერზე იწვა. როცა სამშობლოს თავის შეილების სისხლი სჭირდებოდა, გარეშე მტრის მოსაგერებლათ, ის მუშა-ხალხში ჰკრეფდა თავის დამცველ მხედრობას, უმაღლესი წოდებები კი ამ მოვალეობიდან გათავისუფლებული იყვნენ. რაც სახელმწიფოს ხარჯი სჭიროდა, იმას თითქმის მარტო მუშა-ხალხი იხდიდა. იმას არცერთი მოვალეობა არ ასცილებია, და მაგიერათ არც ერთი უფლება არ ღირსებია. ეს აბრაზებდა და აღელვებდა მუშა-ხალხს, რომელსაც არც გაბრაზება და არც ღელვა სჭიროდა, ისე დატანჯული ჰყავდა ის ნიადაგ გაჭირვებას და შიმშილს.

ამ მდგომარეობამ ბევრი მეცნიერი და კაც-მოყვარე პუბლიცისტი დააფიქრა. ბევრი მოაზრე შეუდგა იმ კითხვის განხილვას, თუ როგორ და რა საშუალებით შესაძლებელია მუშა-ხალხის დახმარება და ფეხზე წამოყენება; და თითქმის ყველა იმ საზოგადო აზრს

დაადგა, რომ მუშა-ხალხის ბედს გააუმჯობესებს მარტო მისი ეკონომიური გათავისუფლება „პატრონების“ დამოკიდებულებიდან.

ამაზე ყველა თანახმა იყო. მაგრამ აქვე იწყება სხვა-და-სხვა მოაზრებებისა ერთმანეთთან უთანხმოება და განხეთქილება. რაა „ეკონომიური გათავისუფლება მუშა-ხალხისა?“ რა ზნით და რა საშუალებით შესაძლებელია ამ გათავისუფლების ასრულებაში მოყვანა? რამოდნათ და რა ზომით საჭიროა ეს გათავისუფლება და სანამდი უნდა მიაწიოს იმან? ამაზე თითოეულ მეცნიერს, თითქმის თითოეულ მწერალს თავისი საკუთარი აზრი და თეორია ჰქონდა, რომელიც თითქმის არაფერში სხვის აზრს და თეორიას არ ეთანხმებოდა.

ყველაზე უწინ ზოგიერთი მწერალი იმ აზრს დაადგა, რომ მუშა ხალხის ბედნიერებისთვის აუცილებლათ საჭიროა, რომ იმას გაუნაწილდეს და დაერიგოს მდიდრების უძე-

ლება და ადგილ-მამულით. ამ საშუალებისაგან ეს მწერლები ვითომ იმ ეკონომიურ თანასწორობას გამოელოდნენ, რომელიც მუშახალხს დანარჩენ წოდებაებთან აკლდა. მაგრამ ძლიერ მალე სხვა უფრო ღრმა მოაზრებმა მოიფიქრეს, რომ ამ საშუალებისაგან ბევრი რამ საკეთე როდღა გამოდნდება. რაც საფრანგეთში სიმდიდრე იყო, ის საყოველთაოდ რომ გაენაწილებიათ, თითოეულ კაცს ათი თუნდ ასი ფრანკი შეხვდებოდა, და ეს ფული აბა ვის „გაათავისუფლებდა?“ ესვე იტქმის ადგილ-მამულზე და საზოგადოთ დანარჩენი სიკეთეების დარიგებაზე. ამ გვარი გათანასწორება, ახალი მეცნიერების აზრით, იმას ჰგავდა, რომ რაც ურდოზე უფრო მაღლა იდგა, ის მოეკათათ და ყველა ერთგვარ თანასწორ სიმდაბლეში დაეტოვებიათ, მაშინ, როდესაც საჭიროა ყველასი ამაღლება და ამაღლებულებთან გათანასწორება. ამ მიზნისთვის საჭიროდ აღმოჩნდა ზოგიერთების აზრით მუშა-ხალხის ძალისა და შრომის შე-

ერთება და ხეირიანათ გამოყენება შეერთებულ წარმოებაში, აგრეთვე როგორც ნაწარმოების გონიერათ გამოზოგვა შეერთებულ ცხოვრებაში.

ამ მეცნიერების აზრით როგორც შრომას ისე ცხოვრებას ის საზოგადო თვისება აქვს, რომ როცა ისინი შეერთებულნი არიან. თითოეულ მშრომელს და მცხოვრებს ნაკლები ჯაფა და ხარჯი სჭირია და უმეტესი სარგებლობა ელის. ერთი კაცი საყოფი სადილის გაკეთება თითქმის იმდენივე დროს, შრომას და მასალას თხოულობს, რამდენიც ორისა და სამის საყოფის დამზადებას სჭირდება. მართო ერთი კაცი დღეში მეთედ დლიურსაც ვერ დახსნის, მაშინ როდესაც სამი კაცი დლიურზე მეტსაც მოხნიან,—და სხვ. ამ შეერთებული შრომის სარგებლიანობამ მეცნიერები დაარწმუნა, რომ ხალხის „გათავისუფლებისთვის“ საჭირო და საკმაოა შეერთებული შრომისა და ცხოვრების შემოღება, იმნაირათ, რომ მუშა ხალხს შეერთებით თავიე

სასარგებლოთ ქარხნებში და სოფლებში წარმოება შეეძლოს და ერთათ ცხოვრებით ნაწარმოები სიმდიდრის რიგიანი გამოზოგებაც. ამ სწავლას ეძახიან «ასოსიაციების მომხრე» სწავლას.

მაგრამ თვითონ ამ სწავლის მომხრეებშიაც შალე აღმოჩნდა აზრის უთანხმოება და განსხვავება. ზოგი ამტკიცებდა, რომ საკმაოა მარტო შრომის შეერთება, — შეერთებული ცხოვრება კი საჭირო კი არა, საენებელიც იქნება თითოეული ჰირის თავისუფლებისთვის. სხვები ამტკიცებდნენ, რომ მუშა ხალხის ბედს საკმაოთ და ნამდვილათ ვერც მარტო შეერთებული შრომა და შეერთებული ცხოვრება გააუმჯობესებსო, რადგანც მუშების ეხლანდელი «პატრონები» (თანხის პატრონები) იმოდნათ ძლიერები არიან ფულის ხელში ჰქონვით და კანონების მათ სასარგებლოთ შედგენით, რომ მუშა ხალხის შეერთებული ძალა იმათ ვერაფერს დააკლებს და თითქმის ვერც ეწინააღმდეგებაო. მაშასადამე, ამტკი-

ცებდენ ეს სწავლულები, აუცილებლათ საჭიროა, რომ სახელმწიფომ ერთის მხრით მუშა ხალხს თანხა უშოვოს და საქმის დაწყება, საკუთარი ქარხნების გამართვა, ადგილ-მამულის შოვნა, სწავლის მიღება გაუადვილოს, და მეორეს მხრით მთლათ ერთიანათუნდა გადაათვალიეროს და შეეცვალოს ეხლანდელი ქსამოქალაქო კანონები, რომელნიც დიდ-ძალ ჭუპირატესობას და უფლებას აძლევენ თანხისა და ადგილ-მამულის პატრონებს და მუშებისთვის სანიადაგოთ სპობენ მათთან ეკონომიური ბრძოლის გამართვის შეძლებასო. ამ გვარია, სხვათაშორის, მემკვიდრეობის, ქირაობის, პირობების და ბევრი სხვა კანონებიო. ერთი სიტყვით, ეს მეცნიერები ამტკიცებდენ, რომ სანამ ეხლანდელი კანონ-მდებლობა და ეკონომიური და პოლიტიკური გაწყობილება თავიდამბოლომდი არ შეიცვლება, მანამდი მუშა ხალხის ბედი დიდში ვერაფერში გაუმჯობესდება და მისი ნამდვილი გათავისუფლება არას გზით

არ მოხდებოდა. მანამდე გაუმჯობესდება მარტო ზოგიერთი იშვიათი პირების ბედი, და მეტი არაფერი.

ესა უმთავრესი განაწილება იმ თეორიებისა, რომელნიც დაბადა საფრანგეთის დიდმარევილიუციამ, და რომელნიც აფიქრებენ დღეს, აღელვებენ და ჰყოფენ საზოგადოებრივი ცვლილებების მომხრეებს. რაც კი რამ იყო ნიჭიერი, გონიერი და პატიოსანი საფრანგეთის მწერლობაში და საზოგადოებაში სულ ამ აზრების და თეორიების გავრცელებას და ქადაგებას მიაწვა, ნამდვილი მოციქულური თავ დაუზოგველობით და აღტაცებით. და იმათ შრომას ის შედეგი ჰქონდა, რომ ხალხის ყურამდი მიაწია მათმა ხმამ და სიტყვამ, და ამან უფრო მეტათ აღძრა საფრანგეთის მუშა ხალხის უიმისოთაც აღძრილი გონება და სურვილი.

#### IV

სანამ ნიჭიერი და თავგამომეტებული ახალი მწერლობა მოუსვენრათ და დაუღალავათ

განახლების და ცვლილებების საჭიროებას ჰქადაგებდა და მათ მოსახდენ საშუალებებს იკვლევდა, საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრება სულ სხვანაირ ასპარეზს წარმოადგენდა. ნაპოლეონ პირველის დამარცხებას და ტახტიდამ გადმოყვანას ბურბონების ხელახლათ გამეფება მოსდევდა. ეს გამეფება იმას ნიშნავდა, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში უმთავრესი გაუღენა, ხმა და მნიშვნელობა დიდკაცობას და სამღვდელოებას მიეცა, და მათ სარგებლობას მსხვერპლათ მიეცა არათუ მართო მუშახალხის სარგებლობა და ბედი, შუათანა საზოგადოების, ესე იგი მოქალაქობის და შემძლე სოფლელების, სარგებლობაც. იმისგამო საფრანგეთში, ნაპოლეონ პირველის გადაყენების შემდეგ, ატყლა გაცხარებული ბრძოლა დიდკაცობას შუა ერთის მხრით და შუათანა საზოგადოებას და ხალხს შუა—მეორეთი. მაგრამ, რადგანც დიდკაცობა და სამღვდელოება თავიანთთავს იმოდნათ ძლიერათ ვერ გრძნობდა, რომ ერთიანათ დაებ-

რუნებია და გაეცხოველებია ძველებური წესი და განწყობილება, და რადგანც იმან ვერ გაბედა შუათანა საზოგადოებისგან შეძენილ შეძლებას შეხებოდა, ეს გაცხარებული ბრძოლა უფრო გარეგანი ბრძოლა იყო, ვინემ საფუძვლიანი ეკონომიური და რევოლიუციული შეტაკება ორი წოდებისა. ეს ბრძოლა მარტო პოლიტიკურ ასპარეზზე ბრუნაედა, მარტო პოლიტიკურ უფლებებს ეხებოდა, მარტო პარლამენტში და გაზეთებში სდულდა. ნამდვილ ცხოვრებას კი ის ხასიათი ჰქონდა, რომ დიდ-კაცობა მეფის სასახლეში და სამსახურში ადგილების შოვნით კმაყოფილდებოდა, და თუ რასმე ეძებდა—ეძებდა ხარისხებს და ჯამაგირს, მაშინ, როდესაც შუათანა საზოგადოება ლაზათიანათ გამაძლარ კაცსავით რევოლიუციის დროს ნაშოვნი სიმდიდრით და მამულებით სტკბებოდა, და თუ პოლიტიკურ სიმართლებზე მცხარობდა, მცხარობდა და იბრძოდა ისე, როგორც გაცხარებულათ ბაასობენ კარგა-ლაზათ ნასადილევი პირე-

ბი,— ჩინებული სადილის მოსანელებლათ. მართალი რომ სთქვას კაცმა, ეს ბრძოლა იმ ამბავს ჩამოგავდა, რომელიც ერთმა მაშინდელმა მწერალმა ოხუნჯობით აწერა. ორი ამერიკელი წითელ-კანიანი კაცის-მჭამლები ერთხელ ხალისიანათ კოჭს თამაშობდნოდ და მათ ერთი ევროპიელი წაესწრო თურმე, რომელსაც მეტისმეტით გაუკვირდა მათი გულმოდგინე და გამწარებული თამაში.—

„ალბათ თქვენი თამაშის მოგება დიდი რამ უნდა იყოს, ასე რომ გამწარებულხართო?“ უთხრა იმან მოთამაშეებს და იმათი თამაშის სიცხოველები, იმათმა სიმარდემ ეს ევროპიელი აქნამდი აღიტაცა, რომ თითოეულს კოჭის სწოლის შემდეგ ის ტაშს სცემდა და ყვიროდა: „ბარაქა, მრბევო წვიმავ“ (ერთი მოთამაშის სახელი ეს ყოფილა), „არიქა, შუალამის მზევ!“ (მეორეს სახელი). ბოლოს მრბევმა წვიმამ გაიმარჯვა თურმე, ხელი მოჰკიდა ევროპიელს და დარდიმანდულათ უთხრა:— „ფერ-მკრთალო, ასე მხურვალათ ჩვენ იმიტომ ეთა-

მაშობდით, რომ შენ დაგინახეთ, და პირობა  
დავდეთ, ვინც ჩვენგანი კოჭაობაში მოიგე-  
ბდა იმას შენ უნდა რგებოდი შესაქმელათო.“  
სწორეთ ამ ამბავს ჩამოგაედა ის პოლიტიკუ-  
რი ბრძოლა; რომელიც საფრანგეთში სდულდა  
დიდ-კაცობას და შუათანა საზოგადოებას შუა,  
იმ გამსხვავეებით, რომ ფერმკრთალი ევროპიე-  
ლი ამ შემთხვევაში საფრანგეთის ხალხი იყო.

1830-ში გაიმარჯვა შუათანა საზოგადოე-  
ბამ. იმან ბურბონების ტახტი დააჩხო, დიდ-  
კაცობას ფეხი მოსტეხა, საფრანგეთის ტახტზე  
ორლეანის სახლობა დასვა და სასახლეში  
და სამსახურში რაც აღვილები იყო ჯამაგი-  
რიანი სულ ერთიანათ თვითონ ირგო. გა-  
მინრდებულ ვაჭრობას კანონების შედგენაც  
ხელში ჩაუფარდა და მათი გამოყენებაც, და  
ხალხის მდგომარეობა ამით შეტის-მეტათ შე-  
წუხდა. ატყდა მაშინვე ჩუმი, შაგრამ მხურვა-  
ლე ბრძოლა შუათანა საზოგადოებას და  
ხალხს შუა, და ამ ბრძოლაში ხალხი და მისი  
მომხრე მწერლები და მოთავეები ხან ბეჭ-

დვით თხოულობდენ, ხან ძალით ცდილობდა ხალხის უფლების ხელში ჩაგდებას. ამან მოახდინა საშინელი განხეთქილება ხალხსა და შუათანა საზოგადოებას შუა, რომელსაც ის გარემოებაც უფრო აღრმავებდა, რომ ორივე მხარე არათუ მართო პოლიტიკურ ასპარეზზე დაობდენ, თვით საყოველღეო, უბრალო ეკონომიურ საქმეებშიაც ნიადაგ ერთმანეთს ეპირდაპირებოდენ, რადგანც ერთის სარგებლობა მეორის დაჩაგვრას და დამორჩილებას თხოულობდა.

ეს განხეთქილება მეტისმეტათ ძლიერი და ამოუხოცველი იყო, როცა 1848ში გაბრაზებულმა ხალხმა უეცრათ დაამხო ორღეანების ტახტი და საფრანგეთში რესპუბლიკა დაწესა. რამდენიმე თვის ვადით შუათანა საზოგადოება გაყუჩდა. იმას ეგონა გაბრაზებული ხალხი ტყავს გაგვადრობს ხმა რომ ამოვიღოთ და წინააღმდეგობა დაუწყოთო. ისევ სჯობია ჩვენი თავი რესპუბლიკის მომხრეთ გამოვჩინოთ, ამით ჩვენ იქნება ჩვენი

ეკონომიური უპირატესობა და პოლიტიკური თაოსნობა შევირჩინოთო. მაშინ ამ პარტიის მოთავეთ ტიერი იყო, რომელმაც პარტიას ის მიმართულება მისცა, რომ მოვითმინოთ, წაიყრუოთ, მმართველობა ხელში ჩაეიგდოთ და მერმე ვნახოთ როგორი ჭახრაკები წაუჭიროთ ხალხსო. მაშინდელი მოქმედება ამ პარტიისა თუმც გვარიანათ ოსტატური დადაფარული იყო, მაგრამ ხალხის მომხრეების თვალს მაინც ვერ გამოეპარა, და ხალხი, თითქო ინსტინქტით გრძნობდა მახეს მიგებენო, მეტის მეტათ ბრაზდებოდა შუათანა საზოგადოების წინააღმდეგ, რომელიც, თავის მხრით იარაღს იმზადებდა ამ გაბრაზების დასათურგენელათ და დამარცხების მაგიერი ჯინის ამოსაყრელათ.

## V

მაშინდელი რესპუბლიკელი პარტიის წინამძღოლები სამ ნაწილათ უნდა გაჰყოს კაცმა. ერთი ნაწილი, ვითომ „ზომიერები“ (Mo-

dérés), რომლების თავში იდგენ ლამარტინი, კავენიაკი, გარნიე-პაჟე, მარი, მარა და სხვ., ყველაზე უფრო იმას ცდილობდნენ, რომ შუათანა საზოგადოება, რომელსაც ისინი თვითონ ეკუთვნოდნენ, დაეშოშნებიათ და რესპუბლიკის მხარეზე გადმოეყვანათ. იმათ სძულდათ შუა ხალხი, რადგანც მთელი მათი ცხოვრება შუათანა და მალალ საზოგადოებაში გასულიყო, რომლის აზრებით და ამოთმორწმუნებით გამოზდილი იყო იმათი ტვინი და გრძნობა. მეორე ნაწილს „წითლები“ „რადიკალები“ შეადგენენ. იმათ თავში იდგენ მაშინ ლედრიუ-როლენი, ჟულ-ფაერი, კოსიდიერი, ფლოკონი და სხვ. მათი მიმართულება და მოქმედება „ზომიერი“ რესპუბლიკელების მოქმედებისაგან მარტო მით გაირჩეოდა, რომ ისინი შუათანა საზოგადოებას ნაკლებათ ეტრფოდნენ და ხალხსაც ისე სასტიკათ არ ეპყრობოდნენ. იმათ მარტო პოლიტიკური ცვლილებების მოხდენა სურდათ, მარტო პოლიტიკური უფლებების მიჩიქება უნდოდათ ხალხისთვის, მის

ეკონომიურ მდგომარეობას კი ისინი სრული-  
ადაც არ ეხებოდნენ და შიგნით ნაკლულევანება-  
საც ვერ ხედვიდნენ. ჩვენ მარტო ხეირიანი,  
ხალხისაგან ამორჩეული და სამართლიანი  
მმართველობა უნდა გავაწყოთო, და მაშინ  
ყველაფერი თავისი თავით გაუმჯობესდება და  
გარიგდებაო, ჰტიქრობდნენ და ამბობდნენ ამ მი-  
მართულების პირები.

მესამე ნაწილი ყველაზე უფრო მცირე-  
დი იყო მოთავეების რიცხვით, მაგრამ თან  
ყველაზე უფრო ძლიერიც პარტიში, რადგანც  
იმას მთელი პარტიული მუშა-ხალხი თანაუგრ-  
ძნობდა. იმას მოთავეთ ლუი ბლანი კონსიდერა-  
ნი, ვიდალი, ხანდისხან პრუდონი და სხვ. უდგა,  
და საზოგადო სახელათ „სოციალური (საზო-  
გადობრივი) პარტია“ ერქვა, იმ მიზეზით, რომ  
ეს პარტია ამტკიცებდა, რომ ხალხის ბედნი-  
ერებისა და გათავისუფლებისთვის საჭიროა  
ცვლილებების მოხდენა ანათუ მარტო პო-

ლიტიკურ წესში, მთელ საზოგადოებრივ გაწყობილებაშიაც და კანონშიც.

მაშასადამე, 1848-ში საფრანგეთის ცხოვრებაში ბრძოლა სდებოდა ამ ოთხ უმთავრეს პარტიებს შუა: ჯერ ერთის მხრით შუათანა საზოგადოება (ორღენების მომხრეები) იდგა, რომელსაც შეეკედლა ყველაფრით სუსტი და მცირე ლეგიტიმიზტების პარტია, და მეორეს მხრით იდგენ სამგვარი რესპუბლიკელები. მაგრამ ამავე წლის ივნისის თვეში, როცა მუშა-ხალხმა გაჭირვებული შიმშილი და გამწარება ვეღარ აიტანა, როცა მონარხიელებმა ეს ხალხი სავანგებოთ გააქეზეს, რომ ჯარით მისი აპოლეწვა და დამორჩილება შესძლებოდათ, და როცა პარიჟის ქუჩებში ატყდა ომი ხალხსა და ჯარებს შუა, „ზომიერი“ რესპუბლიკელები მონარხიელების მხრისკენ გადავიდნენ, და მონარხიელებმა საქმე ისე ოსტატურათ წაიყვანეს, რომ ხალხის დამარცხება და დაუზოგველი დასჯა და ამოქოლეთა ზომიერი რესპუბლიკელების ხელით და რეს-

პუბლიკის სახელით მოახდინეს. ზომიერ რესპუბლიკელებს ეგონათ ამით მაინც მოვიმადლიერებთ შუათანა საზოგადოებას და მის დახმარებას მოვიპოვებთო. მაგრამ ორლენების მომხრენი ისე სულელები არ იყვნენ, რომ „ზომიერი“ რესპუბლიკელების იმედი შეესრულებიათ. დანარჩენი ორი რესპუბლიკური პარტია ამ შემთხვევაში მონარხიელების და ზომიერი რესპუბლიკელების წინააღმდეგ დადგნენ, მაგრამ იმ დროს მათი მოქმედება დაგვიანებული იყო, იმათ ვერ ისარგებლეს პირველი გამარჯვებით (თებერვალში) და იენისში თავის გამოყოფა გვიან იყო: მაშინ მათი მომხრეები გალენწილები იყვნენ და მონარხიელებს გულში საბოლოო გამარჯვების იმედი ჩასახლდათ...

ერთი სიტყვით ბრძოლა მცხარე იყო და მისი ნამყოფი კი ხალხისთვის საჭაშნიკო არ გამოდიოდა. საფრანგეთის ნამდვილი ძალა, მისი ღონე და გონება მაშინ ორ თითქმის თანასწორ ნაწილათ იყო გაყოფილი. ერთ

მხარეს შეადგენდენ მონარხიელები და ზომიერი რესპუბლიკელები, და მეორეს — რადიკალური და სოციალური ცვლილებების მომხრენი. ბრძოლის ასპრეზი და მიზანი იმაში მდგომარეობდა — დარჩეს თუ არა ხელუხლებლათ ეხლანდელი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაწყობილება, კანონ-მდებლობა და წესი. ყოველი კაცი ან ერთ პარტიას ეკუთვნოდა ან მეორეს, ან ერთისთვის იკლავდა თავს ან მეორესთვის...

ამ დროს ამ ორ ჯაზმებს შუა თავი ამოჰყო ნაპოლეონ მესამემ, რომელსაც მაშინ სახელათ ლუი ბონაპარტი ერქვა.

## VI

ნაპოლეონისთვის ღმერთს არც დიდი ჭკუის ძალა მიეცა, არც მტკიცე ფოლადის ხასიათი, ორივე მხრით იმან სისუსტე გამოიჩინა. მისი ტვინის ძალა სწორეთ იმ ზომისა იყო, რამდენიც მინიჭებული აქვს ყოველ „მეოინე“ „ოსტატ“ კაცს. ეს იმას ნიშნავს, რომ იმას

გვარიანი მოხერხებით შეეძლო კაცის მოტყუება, თვალის ახვევა და გაცურება. მაგრამ იმას ის გონიერება არ ღირსებია, რომელიც უჩვენებს კაცს, რომ ოინს, სიცრუეს, თვალის ახვევას მოკლე ფეხები აქვსო, და საზოგადო საქმეებში, ხალხისა და საზოგადოების წინ, უმჯობესი მოხერხება, უკეთესი პოლიტიკა პირდაპირ, სწორ და აშკარა მოქმედებაში, გულწრფელობაში და პატიოსნებაში მდგომარეობსო. თავის დღეში არ ჰქონია იმას ხელმძღვანელი კანონები და პრინციპები თავისი მოქმედებისა, არც ნათლათ გამოხატულო მიზანი თავის ცხოვრებისა. ოღონდ ხელმწიფეთ გამხდარიყო, ოღონდ ტახტი ხელში ჩაეგდო და ზედმტკიცედ დამჯდარიყო, დანარჩენი თუნდ შავს წყალს წაელო. ამ მიზნისთვის ის ყოველგვარ საშუალებას ხმარობდა, რომელიც კი ხელში მოხვდებოდა, კარგსა და ცუდს, სუფთას და ჩირქიანს, და იმას კი არასოდეს არ ფიქრობდა, რომ ბინძური საშუალებების ხმარება სა-

ბოლოოთ სწამლავს და ჰკლავს უკეთეს საქმეს და უპატიოსნეს მიზანს.

ხასიათით იმას მეტის მეტი გადაუწყვეტლობა, გაუბედველობა და ტვინის სიზარმაცე ეჩვია. იმას ის თვისება აკლდა, რომელიც ერთბაშათ, ერთ წამში აჩვენებს კაცს საქმის მდგომარეობას და საჭიროებას, მაშინვე რამე სწრაფლ გადაწყვეტილებას დაბადავს მის თავში და იმწამსვე ამ გადაწყვეტილებას ასრულებაში მოაყვანიებს. ყოველ ახალ მოვლენას, ახალ საქმის წინ ის იკარგებოდა, იზნეოდა, პირს აღებდა. იმას დიდხან ფიქრობა სჭიროდა ამ ახალი საქმის და მოვლენის გასაგებათ და მის სარგებ საშუალების გამოძებნელათ. ესეც ცოტაა. ერთხელ გამოძებნილი საშუალების სახმარებლათ იმას ხელახლავ დაფიქრება, ლოდინი და წვალება სჭიროდა, ისე, რომ საქმე ფუჭდებოდა, იშვიათი შემთხვევა იკარგებოდა მხოლოდ იმისთვის, რომ ნაპოლეონს ტვინის სისწრაფე და ხასიათის სიმტკიცე არ ჰქონდა.

მაგრამ იმას კარგი, ესე იგი მისი შესაფერი, მრჩეველები და დამხმარნი ჰყავდა. იმათი რჩევით და დახმარებით გაბედა ამ სულითა და ტანით სუსტმა კაცმა საფრანგეთის ტახტზე ასელის იმედის გულში ჩაწვეთა, და იმათივე რჩევით საქმე იმ რიგათ წაიყვანა, რომ იმ ორი მებრძოლე პარტიებს შუა გვარიანი ადგილი გამოძებნა. 1848 მდინაც, რაკი იმან და მისმა მომხრეებმა დაატყვეს, რომ თანამედროე საფრანგეთში მუშა-ხალხის მოძრაობას დიდი ძალა აქვს და ჩვენთვის ეს ძალა გამოსადეგი იქნებოა. ნაპოლეონმა გაზეთებში და ცალკე წიგნებში წერა დაიწყო მუშების სასარგებლოთ, იმ განზრახვით, რომ მათი გული და დახმარება მოეპოვებია. ამ თხზულებებში ის ასოხიაციის (შეერთებული შრომის და ცხოვრების) საჭიროებას სცნობდა და ავრცელებდა, მაგრამ ისე, რომ თან სამხედრო გაწყობილებას და ჩვეულებებს ურევდა. ამით იმას ერთ და იმავე დროს ორი მიზნის მიღწევა სურდა: მუშა-ხალხის დამად-

ლაერება და ჯარისგულის მოგება. მისი ასო-  
სიაცია ნამეტნათ ჩამოგაედა კაზარმას და ის  
საგანგებოთ ცდილობდა ამ ორპირული გან-  
ზრახვით ორი უმთავრესი მატერიალური ძალა  
ჩაეგდო ხელში—მუშა-ხალხი და ჯარი. ეს  
გვარიანათ გამოწყობილი ოინი იყო, მაგრამ  
მარტო ის ნაპოლეონს ვერაფერს გაუჭიგებ-  
და, სხვა გარემოებებიც რომ მას არ დახმა-  
რებოდა.

რადგანც საფრანგეთის პოლოტიკური და  
საზოგადოებრივი ცხოვრება ისე მძიმეთ და  
რღმათ იყო განწილებული ორ შეუჭიგებელ  
ბანაკათ, ნაპოლეონის მომხრეებმა და დამრი-  
გებლებმა ისეთ საქციელს დაადგენ, რომელიც  
შათი განზრახვით ორივე მხრის დაღალვით  
და გაკავებით მარტო ნაპოლეონის გვარს  
ასარგებლებდა. ხშირათ მოხდებდა ხოლმე, მა-  
ედანხე, ორი მარჯვე ყაზახი რომ წაიჩხუბებიან  
სადაო წიეთის მფლობელობაზე და ერთმანეთს  
ხელებს გაუკავებენ ან თმაში ჩააფრინ-  
დებიან, მიეპარება ეინზე უსუსური ბიჭი, სა-

დაო ნივთს ხელს სტაცებს და ჯიბეში გაიკრავს, ან, თუ საჭმელია, ჭამასაც დაუწყებს. სწორეთ ამ ბიჭის საქციელს დაადგა ნაპოლეონი, როცა იმას 1848 წლის რევოლუციამ საფრანგეთის კარები გაუღო და შორიდან საზოგადო ცხოვრებაში როლი და ადგილი დაანახა. იმ დროს ამორჩეულ ნაციონალურ კრებაში უმრავლესობა მონარხიელებს და ზომიერ რესპუბლიკელებს ეკუთვნოდათ. იმათ ნიადაგებშია რადიკალების და საზოგადო ბრივი ცვლილებების პარტია; და ეს ბრძოლა თანდათან უფრო და უფრო ღალავდა საფრანგეთის ხალხს და საზოგადოებას. ამით სარგებლობა მოინდომეს ნაპოლეონის მომხრეებმა.

## VII

იენისის თვეში, როგორც წინეთ იყო ნათქვამი, პარიჟის მუშა ხალხი მოთმინებიდან გამოვიდა და მმართველობას მოთხოვა ზოგიერთი საჭირო ცვლილებების მოხდენა. მმარ-

თებლობამ ამაზე ჯარის გამოწვევით და თოფის სროლით პასუხი მისცა, და სამი დღის განმავლობაში პარიჟის ქუჩებში საზარელი ბრძოლა იყო, რომელშიაც დაიხრცა თითქმის ოცი-ათასი კაცი და გაუსჯელათ, გაუკითხავათ დაიხვრიტა და გაიგზავნა ზღვას გადაღმა ერთ იმოდენაზე მეტი. ამ გარემოებას მეტის-მეტათ ცუდი შედეგი ჰქონდა მაშინდელი რესპუბლიკის ბედისათვის. რადგანც მაშინ მშართველობას რესპუბლიკის სახელი ერქვა და მოთავეთ ზომიერი რესპუბლიკელი ღენერალი კ ა ე ე ნ ი ა კ ი ჰყავდა, პარიჟელ მუშახალხს, ცოტათი არ იყოს, გული აუფარდა თავის საყვარელ რესპუბლიკაზე და ჯაერი ჩაჭყა იმ ნაციონალური კრებისა, რომლის ბრძანებით ისე დაუზოგველათ დაისაჯა პარიჟის მცხოვრებლები. ეს გრძნობა თითქმის მთელ საფრანგეთში გავრცელდა, სწორეთ იმ დროს, როცა მთელ ხალხს საფრანგეთის რესპუბლიკის თავმჯდომარე (პრეზიდენტი) უნდა ამოერჩიათ თავმჯდომარის კანდიდატათ გამო-

ვიდა ერთის მხრით ლენერალი კ ა ვ ე ნ ი ა-  
კი, ზომიერი რესპუბლიკელების წევრი და  
მაშინდელი მმართველობის თავი, და მეორეს  
მხრით, ტიერის და მისი მეგობრების დახმა-  
რებით,— ლ უ ი ბ რ ა ნ ა პ ა რ ტ ი. ამ უკანას-  
კნელის კანდიდატობა ყველას უმნიშვნელო  
საქმეთ მიაჩნდა. თვითონ ტიერს და მის მე-  
გობრებს ის ანგარიში ჰქონდათ, რომ ეს კა-  
ცი სუსტი ტენისა და გონებისაა და ჩვენ  
იმახსნის ვატარებთ, როგორც მოვიდომებ-  
თო. რესპუბლიკელებს კი ეგონათ, რომ იმახს-  
ნალხში არც სახელი აქვს დაეარდნილი, არც  
გავლენაო, და ამიტომ არაფერს ამოიჩვენებო.  
მაგრამ საქმე სულ სხვანაირათ მობრუნდა.  
საფრანგეთის ხალხს, განსაკუთრებით სოფ-  
ლელ გლეხებს, ყველა რევოლიუციისგან შე-  
ნადენი სიკეთეები და უფლებები ნაპოლეონ  
პირველისგან მონიჭებულათ მიაჩნდა, ამიტომ  
რომ ნაპოლეონ პირველმა თავის სახელით  
დაბეჭდა რევოლიუციის დროს შემდგარი კან-  
ონები და სახელათ იმათ „ნაპოლეონის კო-

დექი“ დაარქვა, ეს კანონები გლახებს სა-  
კვირველათ უყვართ, რადგანც იმათ მარტო  
ამ კანონებმა მიანიჭა ცოტაოდენი თავისუფ-  
ლება და მიწა-წყალი. ისინი ნაპოლეონის  
სახელს თაყვანს სცემდენ და თითქმის ღეთი-  
ურ ქმნილებათ სთვლიდენ. ლუი ბონაპარტეს  
კანდიდატობა იმათ წარუდგინეს როგორც  
ნაპოლეონ პირველის აზრებისა და მიმართუ-  
ლებისა მემკვიდრის, და ჭალხმა ის საშინელი  
ერთხმობით რესპუბლიკის თავმჯდომარეთ  
ამოირჩია. მის მოპირდაპირეს მისი მეოთხედი  
ხმაც არ რგებია, რაც ნაპოლეონს იმ კენჭის  
უჩრის დროს ერგო.

რაკი ნაპოლეონი რესპუბლიკის თავმჯდო-  
მარეთ დაინიშნა, მისი სურვილი სანახევროთ  
აღსრულებული იქნა, ისე რომ მის ამალღე-  
ბაში არც იმას, არც იმის მეგობრებს თითქ-  
მის არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ.  
მაგრამ ამორჩევის შემდეგ მის მომხრეებს  
იმედი მოემატათ და უფრო მეტი გაბედულე-  
ბა მიეცათ, ამ მომხრეების რიცხვში პირველი

ადგილი ეკავათ სამკაცს: — მორნი, პერსინი და ჭლერი ისეთ დამხმარეთ ამოუჩინდენ ნაპოლეონს, რომ დანარჩენ მის სილაცხლეში ყველაფერს ისინი აწყობდენ და არიგებდენ და ნაპოლეონი მორჩილათ და უწინააღმდეგოთ მათ რჩევას და ბრძანებას ასრულებდა. მორნი მისი უკანონო ძმა იყო. ეს მზაკვარი და უსინილისო კაცი არც ერთ ავაზაკობას და ბოროტებას წინ არ შეჩერდებოდა, ოღონდ კი შიგსაკუთარი სარგებლობა დაენახა, და გაუზომელ გამბედაობასთან იმას დიდი ოსტატობა და ფარისევლობა ჰქონდა ხასიათით, იმისავეით ინტრიგებს, ოიბებს და თაღლითობას ვერაფერს მოახერხებდა. ის იყო ნაპოლეონის პარტიის თავი და თავი მეოინე და შეთქმულების სული და გული. პერსინი უფრო გულმტკიცე კაცი იყო, და იქნება კიდევ დასაჯერებელი იყოს, რომ იმას მართლა სჯეროდა ნაპოლეონის გამეფების სიკეთე საფრანგეთისთვის. იმას გამოჩინებული და გამოხწვარი ხასიათი ჰქონდა, გამ-

ბედავი დაუზოგველობა და მიზნის მიღწევის ფანატიზმი. ჭ ლ ე რ ი კიდევ უფრო დარდიმანდი და სრულიად უსინიღისო ამხანაგი იყო, რომელიც ცოლსა და შვილს გაყიდიდა და თავის სულს ეშმაკს დაუგირავებდი, ოღონდ კი გამარჯვება — ესე იგი დიდება — ღირსებოდა. სამივე შეთქმულებს არც სახლი არც კარი ჰქონდათ; ყველას მოვალეები არჩობდენ და საშველი არსაით ჰქონდათ; მათთვის ცხადი იყო, რომ რამდენიმე თვისა ან წლის შემდეგ მოვალეები იმათ სატუსალოში დააღპობდენ, თუ კი მათი გამბედაობა და სიმარდე მათ ხელში საფრანგეთის ხაზინას და ტახტს არ ჩააგდებდა. ამ განზრახვით ეს სამი გმირი ნაპოლეონს შემოესია და რადგანც თვითონ ნაპოლეონსაც ერთის მხრით ტახტის სურვილი და მეორეთი მოვალეების შიში არც დღე აძინებდა, არც ღამე, მათი აზრი და გრძნობა შეერთდა და ამ შეერთებისაგან გამოვიდა ჯერნაციონალურ კრებასთან ბრძოლის პლა-

ნი, მერმე ნაციონალური კრების გარეკვა და დატუსაღება და ბოლოს საფრანგეთში იმპერიის დაარსება.

ნაციონალური კრება საფრანგეთში, ზემოაღწერილი მიზეზების გამო, მეტის მეტათ შეძლებული იყო ხალხისაგან. ნაპოლეონმა, ესე იგი მისმა მომხრეებმა, ყოველნაირი საშუალება იხმარა, რომ ამ კრების სახელი კიდევ უფრო შეეძლებინა ხალხისა და საზოგადოებისთვის. ამ განზრახვით იმან „შეატოპინა“ კრებას რომში ჯარის გაგზავნაში რომის რესპუბლიკის დასამხობლათ და პაპის ხელმეორეთ დასაყენებლათ. და როცა კრებას ამ განკარგულების ლაფი დაესხა, ბრმა ხალხის წინ თვითონ გამოიყენა თავისი თავი რომის პაპის და სარწმუნოების დამცველათ. იმან ურჩია ნაციონალურ კრებას იმ კანონის შევიწროება, რომელიც ხალხს კენჭის ყრის ნებას აძლევდა, და როცა კრებამ ეს კანონი შეამცირა და ორ-სამ მილიონ კაცს კენჭის უფლება წაართვა, ნაპოლეონმა კრებას პირდაპირი წინადადება მისცა—ახალი კა-

ნონი მოშალეთ და ისევ ძველი შემოიღეთო, რომ ამით ხალხის თვალში ხალხის მომხრეთ გამოსულიყო. კრება იმოდნათ ბრმაჲ იყო, რომ ამ წინადადებაზე უარი თქვა, და მით უფრო მეტათ მოინდურა კენჭმოკლებული ხალხი და თვით მეკენჭეებიც. ამისთანა ობინებში გაატარა ნაპოლეონის პარტიამ მთელი სამი წელიწადი, და რაები მოიგონა და მოახერხა, ვინ იცის: მათი აწერა ჩვენ შორს წაგვიყვანდა, და მათ საზოგადო ხასიათს ხომ ეს ორი ობინიც ააშკარებს, ამ მოქმედებას. შედეგათ თუ ნაპოლეონის ხალხისგან შეყვარება არ მოსდევდა, ნაციონალური კრების შეძულება ხომ ბეჯითათ მოჰყვა. ნაპოლეონის პარტიას ამის მეტი არც კი არაფერი უნდოდა.

## VIII

როცა ეს პარტია დარწმუნდა, რომ ნაციონალური კრება არავის არაფრათ მიახნიაო და მისთვის თავს ბევრი არავინ მოიკლავსო, ის იმ პლანის შედგენას შეუდგა, თუ რა გზით

და როგორ დაეფანტა დეპუტატების კრება ისე, რომ ხალხს მისთვის თავი არ გამოეღო. ნაპოლეონის კამათამ ამ განზრახვით მოისყიდა თითქმის მთელი ჯარის მოთავეები, ზოგი ფულით, ზოგი ჯილდოთი და ხარისხებით და უმეტესი ნაწილი დაპირებებით. და ვინც მოუყიდაველათ ან პირდაპირ მოწინააღმდეგეთ მიაჩნდათ, ისინი ზოგი ალჟერში დანიშნეს, ზოგი რომში გაგზავნეს, ზოგი მოშორებულ პროვინციებში, და ზოგი კი სამსახურიდამ გამორიცხეს. ჯარს ნიადაგ ნაპოლეონის სახელით ფულისა და ღვინოს ურიგებდნენ და ჩინებულ მომავალს პირდებოდნენ: — „ნაპოლეონი გაგაკეთებს თქვენ, სხვა არაფერია!“ ამას უქადაგებდნენ ჯარს მოყიდული აფიცრები. ჯარის შემდეგ ყურადღება მიაქციეს პოლიციას, რომელშიაც დანიშნეს საგანგებოთ ამორჩეული მოყიდული პირები და კამათის მომხრენი. პოლიციას, კამათას პლანისამებრ, ერთ დანიშნულ ღამეს ყველა გავლენიანი რესპუბლიკელი დეპუტატები და მწერლები

უნდა დაეჭირა და ციხეში ჩაესვა და ხალხის-  
თვისაც თვალი უნდა ედევნებია. ჯარს კრების  
სასახლე უნდა დაეკაფა, და ხალხის წინააღმ-  
დეგ უნდა გამოსულიყო, ეინიცობაა ხალხს  
„უწესოება მოეხდინა.“ პროვინციებში ამ  
ცვლილებების ამბავი ახლათ დანიშნულ ში-  
ნაგანი საქმეების მინისტრს, მოჩნის, უნდა  
მიეწერა, და საგანგებოთ ამ განზრახვით და-  
ნიშნულ ლუბერნატორებს ყოველი ღონის-ძიე-  
ბა უნდა ეხმარათ, რომ ჩესპუბლიკელ პარ-  
ტიას და ხალხს ხმა არ ამოელო და წინააღმ-  
დეგობა არ დაეწყო. დახვრეტის, თოფის სრო-  
ლის, ხალხის ამოლეწვის — ყველა ამაების ნე-  
ბა მისცა ნაპოლეონმა ლუბერნატორებს და  
ჯარის უფროსებს, როგორც პარიჟში, ისე  
ყველა პროვინციებში.

რაკი ეს საიდუმლო პლანი მიიღეს, ნაპო-  
ლეონმა გამოცხადება შეადგინა, რომელშიაც  
საფრანგეთის ხალხს არწმუნებდა, რომ ნაცი-  
ონალური კრება ავაზაკებისგან იყო შემდ-  
გარი, საზარელ განზრახვებს მალავდაო, და

ამისგამო მე ის დავფანტე და მისი უფლება მე თვითონ მივითვისეო. ამასთანავე ის აცხადებდა, რომ ვისაც კრებამ კენჭის უფლება წაართვა, იმისთვის მე დამიბრუნებია კენჭიო, და ბოლოს ამბობდა, რომ მიყარეთ კენჭი და ათი წლით მომანდეთ რესპუბლიკის თავმჯდომარეობაო.

ამ გამოცხადების კედლებზე აკვრა და ერთ და იმავე წამს უმთავრესი დეპუტატების, მწერლების და მოთავეების ღამით დატუსაღება ერთი იყო. ყველანაირ ჩუმათ ტახტში ჩასვეს, ყველა ქუჩებზე საკმაოდ ჯარი დააყენეს, თოფ-ზარბაზნები დატენეს, საბრძოლველათ დამარაგდენ, და გათენებისას პარიჟის ხალხმა დაინახა, რომ იმას აღარც საყვარელი და სანდო მოთავეები შერჩენია, არც ნაციონალური კრება, არც განძრევის საღვათი.

ღილას, როცა ამ ცვლილების ხმა ქალაქში გავარდა, დეპუტატები მოვიდენ კრების ჩვეულებრივ სადგომზე, უკანა კარით შევიდენ სხდომის ოთახში და აქ გადაწყვეტილების

მიღება მოინდომეს ნაპოლეონის პასუხისგებაში მიცემაზე. მაგრამ ჯარმა სხდომის ოთახი აიკლო და დეპუტატები ძალდაძალ გარეკაიქიდან დეპუტატები მახლობელ სამოქალაქო მმართველობის (მერიის) სახლში წავიდნენ, სადაც კიდევ მიღიბული იქნა გარდაწყვეტილება, რომ ნაპოლეონს კონსტიტუციის ძალით არაკაცმა მისცეს შემწეობა და მისი დამხმარები და თვითონის პასუხისგებაში მიეცეს. ამ გადაწყვეტილების მიღებისთანავე ეს სახლიც ჯარმა აიკლო, და ყველა დეპუტატები იქიდან პირდაპირ საპყრობილეში წაიყვანეს. გზაზე დეპუტატები შეკრებილ ხალხს ეუბნებოდნენ, აი როგორ დაარღვია ნაპოლეონმა თავისი ფიცი, როგორ უღალატა კონსტიტუციას და რა მომავალს უმზადებს საფრანგეთსაო, აღსდექით, ძალით დაიცეთ წესიერება და რესპუბლიკაო. მაგრამ ხალხი თითქმის ყოველთვის პასუხათ იმას ამბობდა, — თუ ჩვენი გაჭირვების დროს თქვენ (ესე იგი ნაციონალურ კრებას) ჩვენ არ გებრალდებოდ-

თო, თუ თქვენ ჩვენთვის შემწეობა არ მოგიციათო, ჩვენ რათ უნდა დაგეხმაროთ და თანაგიგრძნობთო? თუ თქვენ ჩვენთვის ყური არ გიგდიათ და არ დაგიზოგავართ, ჩვენ სისხლს რათ დავღვრით თქვენ საშველათო! ეს გრძნობა თითქმის ყოველგან ერთნაირათ გამოითქვა იმ დღეს პარიჟელი ხალხის პირისაგან.

მეორეს მხრით რაკი თვითონ ნაპოლეონმა დაინახა, რომ ბრძოლა არ სტყდება და ხალხი მწარე გულით ბრძოლაში მონაწილეობას არ იღებსო, იმას სურვილზე მიეცა დამორჩილებული პარიჟის დავლა და დაბინაებული ჯარის გამხნეება. იმან ლენერლის ტანისამოსი ჩაიცვა, შემოიხვია ლენერლები და აფიცრები, შეკრიბა თავისი მხლებლები და დიდი ამბით გამოისეირნა უმთავრესს ქალაქის ქუჩებისკენ. მაგრამ იმდენი თავმოკალება და სიფრთხილე კი მოიხმარა, რომ მარტო ჯარით გაკავებულ და ხალხისგან მიტოვებულ ქუჩებს დაუყვა. პოლიციის დაქრთამული მსა-

ხურები ხალხს ერევოდენ, იყვირეთ „ღმერთ-  
მა ნაპოლეონი აღდგერძელოსო, ნაპოლეონს  
გაუმარჯოსო!“ ნაპოლეონი თავის მხრით  
ხალხს თავს უკრავდა, მაგრამ არცერთ ყრი-  
ლობიდან არც ერთი სიტყვა არ მოსმენია  
ისეთი, რომელსაც თანაგრძნობის ხასიათი  
ჰქონოდა. პარიჟის ხალხმა ნაპოლეონი დაცი-  
ნით, შეურაცყოფით მიიღო. საზოგადო შთაბეჭ-  
დილება ამ მიღებისა ის იყო, რომ ხალხი თუმც  
კრებისთვის თავდადებას და გამოსარჩლებას არ  
აპირებდა, არც ნაპოლეონის მოქმედებას ამარ-  
თლებდა, და თანხმობის გამოცხადებით მისი  
დამნაშაობის მიტოვებას არ ფიქრობდა. მისი  
შეურაცყოფა ხალხის მხრით იმოდნათ დიდ  
იყო, რომ იმას კიჟინა და დაფსტვენაც არ  
აკადრეს და გულმოსული გრძნობაც არ  
დაანახეს.

ამასობაში ზოგიერთმა რესპუბლიკის პარ-  
ტიის წინამძღომლებმა ხალხი შეკრიბეს და  
ძალით წინააღმდეგობა მოინდომეს. მათი ცდით  
ზოგიერთ ქუჩებში მუშებმა ბარიკადები გაა-

შენეს და ჯარს წინააღმდეგობა დაუწყეს. მაგრამ ჯარმა ამ ბარიკადების წინააღმდეგ ზარბაზნები იხმარა, გამვლელ-გამომვლელები ამოჟლიტა, ზოგიერთი დეპუტატები და წინამძღომლები მოჰკლათ და მუშა ხალხი დახვრიტა, და ორიოდ დღის შემდეგ გამარჯვება ნაპოლეონის მომხრეებს დარჩა, უფრო იმიტომ, რომ ხალხის უმეტეს ნაწილს ამ ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია. მაგრამ სანამ ეს ბრძოლა არ გათავებულა ნაპოლეონის მომხრეებს სასახლეში დამწყვდეული ყავდათ, იმ აზრით, რომ ბრძოლას სიმწარემ არ შეგვიშინოს და გაქცევას არ დააყენოს. და როცა ერთ დროს ნაპოლეონი გაქცევას დაადგა, მისმა მომხრე ჭლერიმ გულზე დამბაჩა მიადგა და დაუყვირა; თუ განძრევა გაბედვად ქვე სულს გაგაცხებინებო. ეს გარემოება საკმაოდ ამტკიცებს, რომ ამ საქმეში ნაპოლეონზე უფრო მეტი ამაგი და გამბედაობა მისმა მომხრეებმა გამოიჩინეს, მაგალითად მორანიმ, პერსინიმ, ჭრერიმ და სანტ-არნომ; რო-

მელთაღ იმპერიის დაარსებაში თავიანთი ინტერესი ლაინახეს და ნაპოლეონის სახელით და მდგომარეობით სარგებლობა მოინდომეს. იმპერია მათი მოაზრებული და მათგან დაარსებულია, და არა თვითონ ნაპოლეონისაგან.

საფრანგეთმა ეს ამბავი თითქმის იმავე თვალთ მიიღო, როგორც პარიჟის ხალხმა. საზოგადოთ კრებას თანაგრძნობა არსად ჰქონია და ნაპოლეონის წინააღმდეგობა ყოველგან სუსტი და უნებური იყო, მით უფრო, რომ არსად თაოსნობა და წინამძღოლობა არ ჩნდა. ჯარმა ყოველგან ადვილათ დაამშვიდა ის შეუნიშვნელი მოძრაობა, რომელიც აქა-იქ ატყდა კონსტიტუციის დასაცველათ, და რამოდენიმე ათასი კაცის მოკვლის და ასიოდეს დახვრეტის შემდეგ „მშვიდობიანობა“ დაცული შეიქნა და ნაპოლეონის მთავრობა ყველასგან მიღებული გახდა.

რაკი ნაპოლეონი ხელმწიფეთ შეიქნა, იმას ისეთი პირებისთვის უნდა მიეცა პირველი ადგილება და ისეთი კაცები უნდა აემალლებინა,

რომელნიც სასტიკათ არ უყურებდენ. ფიცის დარღვევას ან რომელნიც მისი შემწე და დამხმარე იყვნენ ამ ცვლილების მოხდენაში. ამ მიზეზით იმას უნდა აემალლებია უღირსო კაცები, როგორც სანტ-არნო, მანიანი, კანრობერი, მორნი და სხვ., რომელთაც ხალხის დალატის და დაუზოგველობის მეტი ღირსება არა ჰქონდათ ჩა. ამ კაცებს დიდძალი საჭიროებები ჰქონდათ, რომლის დასაკმაყოფილებლათ ხალხის შემოსავალს სულ სხვა მიმართულებად ხარჯის ადგილი უნდა ჩვენებოდა. თვითონ ჯარის დასაკმაყოფილებლათ და ხალხის წინააღმდეგობის მოსასპობლათ საჭირო შეიქნა სხვა ქვეყნებთან ომები, და ეს მიზეზები, რომელნიც ნაპოლეონის ამალლების წყაროთ იყვნენ დასაწყისში, ბოლოს მისივე სამარეთ და დამხობელ ძალათ გადიქცენ. ~~ყოვენივე ომის წინააღმდეგობა~~

მთელი ოცი წლის განმავლობაში საფრანგეთის შინაგან მდგომარეობას არც ერთი ისეთი ცვლილება არ დასკვნია ნაპოლეონის

მხრით, რომ ცხოვრების გაუმჯობესობა და წარმატება შესძლებოდეს. ყოველგან საქმე უწინდელ წესზე დამყარებული დარჩა, და ნაპოლეონის „სიღარიბის მოსასპობი“ პროექტები სამუდამოდ პროექტებათ დარჩენ. არც ხალხის გაწყობილების კანონებში, არც სწავლისა და ადმინისტრაციის ჩვეულებებში იმას არც ერთი ისეთი ცვლილება არ შეუტანიო რომელიც აჩვენებდა კაცს, რომ ნაპოლეონს უფლების მიღება თავისი საყვარელი აზრების ასასრულებლათ და გასახორციელებლათ სურდა, და არა საკუთარი სარგებლობის საძიებლათ. ყოველი დღე მისი მეფობისა უფრო და უფრო აშკარათ აჩვენებდა და ამატოვებდა, რომ მისი მხრით უფროსობის დაჩემება და უფლების მოტაცვა მარტო ღიხარბის და ავკაცობის საქმე იყო, და არა იმ კეთილშობილური გრძნობის შედეგი, რომელიც აყვარებს კაცს მისი აზრის გავრცელებას და ცხოვრებაში გამოცდას. ამისგანომ მისმა მმართველობამ ვერ მოიგო ხალხის და ნიჭიერი ახალ-

გაზდობის გული: რაც კი რამ ცხოველი და პათიოსანი იყო საფრანგეთის ხალხში ნიადაგ მოშორებული დარჩა ნაპოლეონის მმართველობას, სამუდამოთ მისი მტერი შეიქნა და მასთან საბრძოლველათ დამზადდა. მაშ თუ ნიჭი, პათიოსნება, სწავლა და გავლენა გარს გაუდგა ნაპოლეონის მმართველობას, რით ან როგორ უნდა მოეპოვა იმას ხალხის გული, თუ არა მოქრთამებით, მდაბალი გრძნობის აღძრით და დაკმაყოფილებით, გარეგანი ომების ბრახა-ბრუხით და გამარჯვების დიდებით და სხვ. და სხვ.—და ვინ არ იცის, რომ ყველა ეს საშუალებები უსათუოთ დააუძლოურებენ და საბოლოოთ დასცემენ იმ ხალხს, რომელსაც იმათ ახმარებენ. აი ეს შოუვიდა თვითონ ნაპოლეონს და არ შეიძლებოდა კიდევ რომ არ მოსელოდა, რადგანც მის მეფობას, როგორც ეხლა ვამბობდით, დაბადებიდამევე ისეთი ცოდვა დაჰყვა, რომელსაც მისი ძლიერება და დიდება უნდა მოეწამლა და მოეკლა.

მხრით, რომ ცხოვრების გაუმჯობესობა და წარმატება შესძლებოდეს. ყოველგან საქმე უწინდელ წესზე დამყარებული დარჩა, და ნაპოლეონის „სილარების მოსასპობი“ პროექტები სამუდამოთ პროექტებათ დარჩენ. არც ხალხის გაწყობილების კანონებში, არც სწავლისა და ადმინისტრაციის ჩვეულებებში იმას არც ერთი რსეთი ცვლილება არ შეუტანია რომელიც აჩვენებდა კაცს, რომ ნაპოლეონს უფლების მიღება თავისი საყვარელი აზრების ასასრულებლათ და გასახორციელებლათ სურდა, და არა საკუთარი სარგებლობის საძიებლათ. ყოველი დღე მისი მეფობისა უფრო და უფრო აშკარათ აჩვენებდა და ამტკიცებდა, რომ მისი მხრით უფროსობის დაჩემება და უფლების მოტაცვა მარტო სიხარბის და ავკაცობის საქმე იყო, და არა იმ კეთილშობილური გრძნობის შედეგი, რომელიც აყვარებს კაცს მისი აზრის გავრცელებას და ცხოვრებაში გამოცდას. ამისგანო მისმა მმართველობამ ვერ მოიგო ხალხის დანიჭიერი ახალ-

გაზდობის გული: რაც კი რამ ცხოველი და პათიოსანი იყო საფრანგეთის ხალხში ნიადაგ მოშორებული დარჩა ნაპოლეონის მმართველობას, სამუდამოთ მისი მტერი შეიქნა და მასთან საბრძოლველათ დამზადდა. მაშ თუ ნიჭი, პათიოსნება, სწავლა და გავლენა გარს გაუდგა ნაპოლეონის მმართველობას, რით ან როგორ უნდა მოეპოვა იმას ხალხის გული, თუ არა მოქროთამეით, მდაბალი გრძნობის აღძრით და დაკმაყოფილებით, გარეგანი ომების ბრახა-ბრახით და გამარჯვების დიდებით და სხვ. და სხვ.—და ვინ არ იცის, რომ ყველა ეს საშუალებები უსათუოთ დააუძლოურებენ და საბოლოოთ დასცემენ იმ ხალხს, რომელსაც იმათ ახმარებენ. აი ეს მოუვიდა თვითონ ნაპოლეონს და არ შეიძლებოდა კიდევ რომ არ მოსვლოდა, რადგანც მის მეფობას, როგორც ეხლა ვამბობდით, დაბადებიდამვე ისეთი ცოდვა დაჰყვა, რომელსაც მისი ძლიერება და დიდება უნდა მოეწამლა და მოეკლა.

## IX

ვინც თანამედროე ისტორიის საფუძლიან გამოკვლევას შეჩვევია, ის დიდი ხანია ხედავდა, რომ ნაპოლეონის მოქმედებას ის ერთობა და შეურყეველი მიმართულება აკლდა, რომელიც უპირველესს ნიშანს შეადგენს კაცის ჭკუის და ხასიათის ძლიერებისას. დიდი ხანია ყველა საფუძვლიანად დამკვირვებელისთვის ცხადი იყო, რომ ნაპოლეონის მოქმედებებს საფუძვლათ უთავბოლო და ხშირათ უმიზნო თეატრალიზება ჰქონდა. ნაპოლეონს ხშირათ მისი საკუთარი სარგებლობის გაგება აკლდა და საკმაო გამბედაობა კი არა, ხასიათიც არ ჰქონდა, რომელიმე მტკიცე გადაწყვეტილება მიეღო და სისრულეში მოეყვანა. ყირიმის ომმა აშკარათ დაამტკიცა, რომ ვერც იმან, ვერც იმის ღენერლებმა ვერ მოახერხეს ამ ომის ხეირიანათ წაყვანა და მისგან იმ სარგებლობის გამოტანა, რომლის იმედი ჰქონდა ნაპოლეონს ომის დაწყების დროს.

ჯარში ისეთი უწყისობა და ნაკლულტევანებე-  
ბი აღმოჩნდა და დიპლომატიებმა ისე ცოტა-  
თღ ისარგებლეს სალდათების დანთხეულ სის-  
ხლით, რომ ისტორიკოსს შეუძლია თქვას: —  
ეს ომი უსარგებლო ომი შეიქნა და თავის  
მიზანს ვერ დაუახლოვდა. ამ ომზე უფრო  
უგლახესათ იტალიის ომი დაბოლოვდა (1859),  
როცა ნაპოლეონმა საქვეყნოთ გამოაცხადა,  
იტალია უნდა გავათავისუფლო აღპებიდამ  
აღრიატიკულ ზღვამდე, და — მაგიერათ —  
აღრიატიკულ ზღვაც და ვენეციაც ისევ ავს-  
ტრიას დაუტოვა. იტალიის ომს მეორე ცუდი  
მხარეც მოსდევდა: ნაპოლეონს იტალიის ში-  
ნაგან საქმეების გაწყობაში გარევა უნდოდა-  
ის იმედოვნებდა, იტალიას რაჰდენიმე წერილ-  
მანი მთაერების კრებათ გადავაქცევო, მაგრამ  
იტალიის ხალხი ამას არ დასჯერდა და შეუ-  
დგა ერთობის დაწესებას, რომელიც ნაპო-  
ლეონის სამწყუხაროთ, მისდა წინააღმდეგ კი-  
დეც დაარსდა, ამ სურვილმა ერთიანათ შეა-  
ძულა ნაპოლეონი იტალიის ხალხს, შით

უფრო, რომ შემდეგ წელიწადში ნაპოლეონმა თავისი ჯარის დახმარებისთვის იტალიას ორი მაზრა მოსთხოვა და გამოართვა. ამ ნაირათ ხარჯი და ტანჯვა კი საფრანგეთს მოედვა თავზე, მაგრამ საფრანგეთის თანაგრძნობ, და პატივისცემა თითქმის სამუდამოდ დაიკარგა იტალიის ხალხში.

მაგრამ სასარგებლო და კარგათ წაყვანილი იყო ეს ორი ომი თუ არა, გამარჯვება შიგ მაინც საფრანგეთს ესე იგი ნაპოლეონს და მის მმართველობას დარჩა, — და როცა გამარჯვებამ რომელიმე საქმე დააგვირგვინა, როდღაც კითხულობს რამოდნათ კარგათ და გონიერათ წაყვანილი იყო ეს საქმეო. გამარჯვებამ ხალხს თვალი აუხვია და მიზეზების გარემოებების და მდგომარეობის განხილვის ნება არ მისცა. უფრო უბედური შეიქნა ნაპოლეონის ბედისათვის მექსიკის ომი, როცა ნაპოლეონმა მორნის ფულები, ასაღებად მექსიკას ომი გამოუცხადა და შემდეგში ამ რესპუბლიკის დამნობა და იმპერიულ გადაქცევა

მოინდომა, რომ მექსიკის ძლიერებით საჭიროების დროს ამერიკის შტატების ალაგვა შესძლებოდა. მექსიკილამ მისი ჯარი დამარცხებული მობრუნდა, და იმან საფრანგეთში სულ სხვა ნაირი გატყავეებული ჯარი დახვდა. იმ ფულის პატრონების გროვა, რომელთაც თავიანთი უკანასკნელი შეძლება მექსიკის იმპერიისთვის ესესხებინათ, საფრანგეთის მმართველობის თახმობით და თითქმის თავდებობითა, ახლათ გამომცხვარი იმპერატორი მაქსიმილიანი მექსიკაში დახვრიტეს, იმავე კანონის ძალით, რომელიც თვითონ იმან გამოსცა პატრიოტების და მამულისდამცველების წინააღმდეგ, და რომელიც ყოველ იმ პირის სიკვდილით დასჯას აწესებდა, რომელსაც ბრძოლაში დაიჭერდენ. ფულების დაღუპვამ, მაქსიმილიანის დახვრეტამ და საფრანგეთის ჯარის კუდ-ამოძუებულმა დაბრუნებამ ხალხზე მეტის მეტათ უსიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა, და ყველას თავში საფუძვლიანი აზრი გაუჯდა:—ამოდენა თხოლი,

ამდენი ხალხი და ღვაწლი ამაოდ დაილუპა მმართველობის ბრალით და წინდაუხედველობითაო.

მეორე გარემოება, რომელმაც აგრეთვე საფრანგეთის ხალხს ნაპოლეონზე გული ააყრევინა, — პრუსიის გამარჯვებაში მდგომარეობდა, როცა ამ სახელმწიფომ ავსტრია დაამარცხა და გერმანიის ნახევარი ხელში იგდო. ხალხმა და უფრო საზოგადოებამ წარმოიდგინა, რომ ბისმარკმა ნაპოლეონი დაატყუვა, მით, რომ ბრძოლაში მონაწილეობა არ მიაღებინა, დაპირდა უიმისოთაც რამდენიმე მაზრას გაუშოვინებ და დაგიტომობო, და საქმით კი, გამარჯვების შემდეგ, უარი ჰკრაო. საფუძვლიანი იყო ეს მიზეზი, მართლა დაატყუვა ბისმარკმა ნაპოლეონი თუ არა, ამას ვინ იტყვის, მაგრამ უეჭველი კი ის არის, რომ პრუსიის გაძლიერებამ საფრანგეთი დააფიქრა და ხალხის ტვინში ის აზრი ჩასთესა, — ასე თუ ვიარეთ საქმე ცუდათ წაგვივა და დღეს თუ ხეალ პრუსია ჩვენც იმ განსაცდელს მოგვა

ყენებს, რომლითაც ავსტრიის დიდება დიდხანობით დაიმტკიცო. მმართველობაზე უკმაყოფილება სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა, და საზოგადოებას და ხალხს ის აზრი დაეზარდა, რომ ჩვენი მმართველები უნიჭო და უგონებო ყოფილანო, და მათი დარჩენა საფრანგეთს დაღუპავსო.

## X

რაკი საზოგადოების და ხალხის ტეინში ის გრძნობა გაჟდა, რომ საფრანგეთის საზოგადო საქმეები ცუდ გზას აღვიან და მოუხერხებელ ხელში არიანო, იმ მიმართულებას, რომელიც ნაპოლეონის მოწინააღმდეგე იყო. დიდი მნიშვნელობა და უწინდელზე მეტი გავლენა მიეცა რესპუბლიკელების სიტყვას ეხლა მთელმა საფრანგეთმა ყური დაუგდო, თვალი ადევნა და თანაგრძნობა გამოუცხადა. ამ გარემოებამ ხმა აამალლებინა რესპუბლიკელ მწერლობას და ნება მისცა ნაპოლეონის გავლენის ძირში მოკაფეისა. ამ მწერ-

ლობაში ყველაზე უფრო დიდი გავლენა ნაპოლეონის მეფობის დროს ჰქონდა ანრი როშფორს, რომელზედაც აქ რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ, იმ მხრით, რომლითაც მისი მწერლობა ნაპოლეონის ბედს და ცხოვრებას შეეხება.

როშფორი დიდი ნიჭის პატრონი მწერალი იყო, რომელსაც გრძნობა გულში უღულდა და ხელი ნაპოლეონის საწინააღმდეგოთ ექავებოდა. იმას უხვათ ჰქონდა სასტიკი, მკლავი და ცინვის ჩვეულება და დაუდგომელი, შეუშინებელი გამბედაობა. ის თავიდანვე პირდაპირ და მარტოხელა იმპერიას შეეჭიდა, ისეთი სიფიცხით და იარაღით, რომ ყოველი მისი სიტყვა თითო წვეთ საწამლავათ გადიქცა, რომლითაც საფლავში ჩაიდვა განსვენებული იმპერიის ბედი. ის ისეთ ენას ხმარობდა, ისეთ კილოზე სწერდა, ისეთს საგნებს ეხებოდა, და საზოგადოთ ისეთი მწერლობის მანერას ხმარობდა, რომ იმას ყველა იგებდა და კითხულობდა, ყველა გრძნობით იესებოდა, იმ პირებს

გარდა, რომელზედაც დაწერილი იყო თხზუ-  
ლება და რომელთაც ცეცხლი ეკიდებოდათ  
გულში და ნაცრის ფერი ედებოდა პირის  
სახეზე. ხალხი — განსაკუთრებით ქალაქების  
მუშები — ზეპირათ სწავლულობდათ როშფორ-  
ის დამცინავ სურათებს და ნაწერს, იმეო-  
რებდა მის გამოჩარხულ ჰკიცხავს, და ამ კიც-  
ხვაში ნაპოლეონის სიძულვილეს იხსენებდა  
და იძლიერებდა.

როშფორის აზრები და ნაწერი კი  
არა, თვითონ მისი ნაწერის კილოც ჰკლავ-  
და ნაპოლეონის მმართველობას და გვე-  
ლენას: — „რათ ღირს ეს სასტიკი ლანძლ-  
ვაო, უწერდენ როშფორს მმართველობის  
მომხრეები. საქმე საქმით უნდა გაისინჯოს,  
დამჯდარათ, საფუძვლიანათ, დამტკიცებებით.  
მოსვენებულათ, და არა მწარე, გესლიანი  
გრძნობით, მარტო სხვა და სხვა საგნების შე-  
ხებით, მარტო ცუდის გახსენებით და კარგის  
წყარუებითო.“ ამაზე როშფორი იმას ამბობ-  
და, რომ დამჯდარათ, გულმოდგინეთ და  
საფუძვლიანათ მარტო დამჯდარი და საფუძე-

ლიანი კაცის და მმართველობის მოქმედება და მიმართულება გაისინჯებაო, და რაგინდ ბევრი ისტუნონ ჩვენმა მმართველებმა, რაგინდ ხოცონ და ხერიტონ ხალხი, რაგინდ სახელები დაირქვან და მუნდირები ჩაიკვან:— მე ჩვენს მმართველებს მმართველობათ ვერ ჩავთვლი—ისინი მე ნიადაგ მაწანწალებათ წარმომიდგებიან, უნიჭო და უმეცარ კაცებათო. იმათთან ლაპარაკი არ ღირს და იმათზე საქმის გაჭიანურება სირცხვილიაო. საქმისთვის საკმაოა, რომ ამისთანა პაწაწა კაცებზე მწერალმა გადაჭრით თქვას უნიჭო, უსინიღისო და უხასიათო ქურდები არიანო.

ამ კილომ და ენამ იპოვა გზა მკითხველი ხალხის გულისკენ, და როშჭორის გაეღენა სწორეთ უსამზღერო იყო, განსაკუთრებით პარიჟელ მუშა-ხალხზე და ახალგაზდობაზე. მისი „ფარანი“ სამასი ათასობით გადიოდა, იმის გამოსვლას ხალხი მთელ-მთელი ლამობით ქუჩაში უცდიდა, მისი სიტყვები ზეპირათ ერთი პირიღამ მეორეში გადადიოდა,

ერთი სიტყვით გავლენა უშველებელი იყო, და ამ გავლენის ხასიათი თვითონ როშფორმა გამოხატა, როცა სთქვა, რომ მე მმართველობაზე საფრანგეთი ვაცინეო, დავექვენო, მასხრათა ვიგდეო და ვისზედ საფრანგეთში იციან, ვინც სასაცილო კაცს ჩამოგავს, იმისი საქმე გათფვებული და დაღუპულია.

როშფორი მარტო ერთი ბრწინვალე წარმომადგენელი იყო იმ მოძრაობისა, რომელიც საფრანგეთში მოხდა 1836 დამ დაწყებული, რესპუბლიკელმა მწერლობამ, რომელსაც 1848 წლიდამ პირში ბურთი ჰქონდა ჩადებული, უეცრად გამოიღო ხმა, და ისეთი ხმა, რომელიც ძველი ანგარიშების გაწმენდას თხოულობდა, ძველი მოპარული სიმართლეების დამბრუნებას ითხოვდა. ზოგი დამჯდარი საბუთებით, ზოგი გრძნობის ანთებით, ზოგი დაცინვით, ზოგი რითა და ზოგი რით — ცდილობდენ რესპუბლიკელი მწერლები ხალხში ნაპოლეონის სიძულვილი აეძრათ და მისი დამხობის გზა გაემზადებიათ. და ამ საქმე-

ში ისინი ძლიერ წაწინაურებული იყვნენ, როცა ერთი ისეთი გარემოება მოხდა, რომელმაც საფრანგეთის ბელი კინალამ შესცვალა.

XI

1869 საზოგადო-ამორჩევების დროს „კანონმდებელ“ დეპუტატებზე კენჭის საყრელათ, აღმოჩნდა, რომ ნაპოლეონის მომხრეთ თითქმის ნახევარი მხარეც არ ყოფილა და თითქმის ნახევარი კი მის გარდაკიდებულ მტერებს ირჩევდა. ნაპოლეონზე ამ გარემოებამ ძლიერ დაათქრა, და ბევრი წოწიალის და რჩევის შემდეგ ის იმ რა უზრსა და გზას დაადგა, საფრანგეთს სჭირია ან დიდება ან თავისუფლება: ორივეს იმას კაცი ერთათ ვერ მოაკლებს, დიდება მექსიკაში ჩაგვეფლო. თავისუფლება — მე წაეარჩევ. მაშ დიდება უნდა მოვიბრუნო. მაგრამ ვინ დამაცლის მომზადებას? ზალხი მაქნამდი ათჯედ მაინც ამიტყდება. მოდი იმას ეხლა ვითომ თავისუფლება დავებრუნო, რა-

საც ის თხოულობს ეითომ დაეკმაყოფილო, და ერთი-ორი წლის განმავლობაში გაეიმართო ხელი, დაეემზადო და დაეცე რომელიმე მტერს, სულ ერთია ვის, პრუსია იყოს, გინდ საბერძნეთი, დავამარცხო (ამას რა ეჭვი უნდა!) და გამარჯვების სხივით დავბუნდე პარიჟში. ხალხი აღტაცებული იქნება, მე ხელახლა გავლენა და სახელი მომეცემა, და მაშინ, თუ დამჭირდა, ამ რესპუბლიკელების გაგზავნაც ადვილია კაიენაში ან ეშაფოტზე. მაქნამდი ხომ ისინი ყველანი თავს გამოიჩინენ და დაგვენახებიან. —

როგორც ნაპოლეონის სასახლეში ნაპოვნ ქალღმერთებთან აღმოჩნდა, სწორედ ეს ყოფილა იმის „ლებერალური იმპერიის“ ნამდველი მიზნები და მიზანი. და ამ კაცის გულწრფელობა დაიჯერა არათუ თითქმის მთელმა საფრანგეთმა, მაგრამ ისეთმა გამოჩენილმა მწერლებმა, ორლეანების პარტიიდან, როგორც მაგალითად ლაბულემ, პრევი-პარადოლმა და სხვ. იმ კაცის გასწორება დაიჯერეს, რომელმაც „ლე-

თისა და კაცების წინა მოცემული სიტყვა და ფრცი დაარღვია, და მთელი ოცი წლის განმავლობაში მარტო თვალთ-მაქცობით, მოტყუებით, ძალადობით და ხალხის დაბრმავებით სცხრავრობდა! ეს წარმოუდგენელი და დაუჯერებელი საქმეა, გუშინწინ ჩვენ თვალს წინ რომ არ მომხდარიყო. და როცა ამ კაცმა საფრანგეთს ჰკითხა, მცნლობით შეთუ არა „თავისუფალი იმპერიის“ დასაარსებლათო, შეიღმილიონ ნახევარმა ფრანკუზმა პასუხათ თანხმობა გამოუცხადა და ამ რიცხვში, როგორც წინეთ ვთქვით, ძლიერ გამოჩენილი მწერლები ერიენ.

რესპუბლიკელები თუწინაც და მერმეც ხალხს აფრთხილებდენ და ახსენებდენ ნაპოლიონის წასრულ მოქმედებებს, ამტკიცებდენ მისი ანგარიშის ენებას საფრანგეთისთვის, ამბობდენ ხალხის უკითხავათ ომს ასტებს და დაგვლუპავსო. — იმიტომაც პასუხათ მარტო იმას იღებდენ: — რა მოუსვენარი და შფოთის მოყვარეები არიან ეს რესპუ-

ბლიკელებიო. მათი რჩევა არ მიიღეს და ლიბერალური იმპერია დაარსდა ემილ ოლივიეს შემწეობით. ეს ლიბერალური იმპერია დაარსდა თუ არა, მაშინვე სხვა და სხვა ხათბალებს გარდეკიდა. მაგრამ თავდაპირველათ კი გვარიანათ გაუძლო. მის დროს უნდა დამტკიცებულიყო სხვა და სხვა ცვლილებები სახელმწიფო წესში, მაგრამ ზოგს ამ ცვლილებებთან დასთანხმება არ ელირსა, ზოგი კი ისეთ ნაირათ იყო შეჭრილ-შეკუწული, რომ მის მიღებას სულ მიუღებლობა სჯობდა. უმეტეს ნაწილში ეს ცვლილება უწინდელზე უფრო ამცირებდა ხალხის თავისუფლებას და მისი ამორჩეულების უფლებას. ეს კიდევ არაფერი, ამას როგორც იქნებოდა საფრანგეთი კი აიტანდა, მაგრამ 1870 ივლისში, სწორედ ექვსი თვის შემდეგ ლიბერალური იმპერიის დაბადებისა, ნაპოლეონი დარწმუნდა საომრათ მზათა ვარო და თავი დამ ვერ აიცილა ის დაფარული ეკალი, რომელიც პრუსიამ გზაზე დაუგდო.

1870 წლის ომის ამბავი, ნაპოლეონის პირადი მონაწილეობა, მისი ინტრიგები დამოქმედება ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში ხომ ყველას ახსოვს, და ამის გამო აქ ბევრის თქმა ამ საგანზე საჭირო არ არის, იმის მეტი, რომ მისმა მოქმედებამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა ის ჭეშმარიტება, რომ დიდათ სამწუხარო და საშიში საქმეა საზოგადო ბედისა და მომავლის ერთი კაცისთვის მინდობა, მისი ტყინით ცხოვრება, მის უკან ზღვება, მისგან იმედის და უიმედობის ლოდინი, ისე რომ უიმისოთ ხელის განძრევა და სულის მოთქმა არ შეეძლოს მთელ მხარეს და თაობას. ათი-ათასჯერ უფრო ძნელია ეს, როცა ამნაირი კაცის ამაღლების მხოლოდი მიზეზი ნათესაობა ან შთამომავლობაა — როგორც, მაგალითად, ნაპოლეონ მესამის ამაღლება მისი ბიძის სახელის საქმე იყო. ამ ნაირ საქმის მიგდებას ხიერი არავისთვის არ მიუცია და არც შემდეგში დისცემს ვისმე.

ეხლა საჭიროა ორიოდე სიტყვა ვთქვათ თვითონ ნაპოლეონის ხასიათზე და გონებაზე. როგორც კერძო კაცი, ის მეტის მეტათ გადაუწყვეტელი კაცი იყო, ნიადაგ მცვლელი თავის აზრისა, სანამ ერთს გადაწყვეტილებას დაადგებოდა. იმას არც გენიოსის მიმხედრობა ჰქონდა, არც გამბედავი ხასიათის გადაწყვეტილება, არც გონიერი განხილვის, დაკვირვების, ანალიზის ნიჭი. იმას უყვარდა ოცნება სხვა და სხვა პროექტების შინჯვა და მათი ასრულების წარმოდგენა, უყვარდა ხალხისა და ნაცნობების მოტყუება. — იმას ეგონა, რომ მოტყუება, საქმისა და უსაქმობის დამალვა, საიდუმლოება, გაბლვერა და სხვ. — ჭკუაა. ხასიათით ის მეტის მეტათ პაწაწა იყო, იმას რაღაც ქალური კეკლუცობა აჩნდა მოქმედებაში, თითქო არათუ მარტო იმაზე ნდომებოდეს სხვების ყურადღების მიქცევა რაც სათქმელი ან საქნარი ჰქონდა, მაგრამ უფრო თავის საკუთარ თავზე, პირისსახეზე, ასე გასინჯეთ — ტანისამოსზედაც. იმას

ეგონა, რომ ყველას ის დედამიწის სარძირკველათ მიაჩნდა, რომ მთელი ქვეყანა მის წარაბის ჭმუხვას მისჩერებოდა და მის ტუჩის განძრევას შიშით ელოდა, არათუ მარტო იმიტომ, რომ ის საფრანგეთისთანა ძლიერი ქვეყნის წინმძღომელი იყო, მაგრამ და უფრო ვითომ იმიტომ, რომ ჭკვიანი და ოსტატი კაციაო. საზოგადო და კერძო საქმეებში იმას ნიჟადავ პირველ პლანზე თავის საკუთარი თავი ჰქონდა. ის ყოველთვის იმ აზრს ეტრფოდა — რას იტყვიან ეხლა ჩემზეო, როგორ მოვეწონებით როგორ მომიხდება ამ საქმეში ჩემი როლიო, ერთი სიტყვით ეს პაწია კაცი იყო, რომელიც სხვებმა და გარემოებამ ძლიერი ხალხის ტახტზე შეაკუნცხეს, და რომელმაც იმდონი ეცადა და იფორთხა, რომ გადმოკოტრიალდა ზეიღამ კისრის ტეხით და ვაივაგლახით და ეხლა ორმოში ჩაიძარხა.

საზოგადოთ უნდა თქვას კაცმა, რომ ნაპოლენ მესამის მეფობაში საფრანგეთის მდგომარეობა

რეობა თუ შეიცვალა, შეიცვალა მარტო საფრანგეთის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესობით, ამ გაუმჯობესობის მიზეზი ვაჭრობის, გზებისა და კრედიტის გავრცელება იყო და არა მმართველობის მხრით ცვლილებების შემოღება, ამ მხრით თუ რამ შესანიშნავია—მოხსენებათ ღირს მხოლოდ სავაჭრო ტრაქტატი ინგლისთან და კანონი მუშების ყრილობებზე. მაგრამ დიდი ღირსება არც ამ ორ ნაწარმოებს აქვთ, განსაკუთრებით მეორეს. და რაც კი შეეხება ისეთ რომელიმე გაუმჯობესობას, რომელსაც მადლობით მოიხსენიებს შემდეგი თაობა და შთამომავლობა,—ნაპოლეონს ამისთანა არა უქნია რა. ანგარიში მას და ისტორიას შუა ადვილი მოსათავებელი იქნება, ამიტომ რომ მაშინ ხმის ამოღების ნება და სინიდისი მარტო ისტორიას ექნება, და ის გარდაწყევით იტყვის, რომ ამ კაცს, რომელსაც, რომ მოენდომებია, ბევრი სასარგებლო და დაუფიწყარი სიკეთის მოტანა შეეძლო თავის მამულისა და მთელი

კაცობრიობისთვის, იმისთანა უჯიშო ბუნება ჰქონდა, რომ საფრანგეთის თავში დგომის დროს, როცა იმას ორმოცი მილიონი ხალხის ბედი ებარა, როცა თქმის მეტი არა სჭიროდა რანატერის ასასრულებლათ,—ის იმაზე ჰფიქრობდა, ინგლისის ბანკში შესანახავი ფული ვის ვანდო და ვის გავატანოო“.

ნ. სკანდელი.

\* \* \*

(უძღვენი 'ნ. ს.)

ჩათ გიკვირს, მიკვირს, ის გულის წამი,  
ოდეს ცხოვრება კაცსა სძაგია,  
როდესაც შხამი, ოხვრა, დუღილი  
ნაცვლად ტრფობისა, გულზედ აგია?

ჩიტი გავზომოთ ჩვენ სხვისი გული,  
ჩიტი გავზომოთ ჩვენ სხვისი გული,  
ჩვენ რომ გვგონია ბინდი და დარი,  
არე შარეს არს მაშინ ქუხილი.

და ვისიც გული ცხოვრების გზაზე  
არ გაყინულა და გამთბარია,  
ნუ თუ ის ჰფიქრობს, რომ სხვის გულშიდაც  
მუდამ მზება და მუდამ დარია!

მაშ რისთვის გიკვირსთ, როს გული ღელავს  
და სიცოცხლეში დამწვარ მკედარია?  
თქვენ ასე ანბობთ: ბაირონს ჰბაძავს,  
თორემ ცხოვრების უცოდნარია.

თქვენ ანბობთ: აბა, კაციც ის არი,  
ვინც ქვითკირივით მაგარ-მძლავრია,  
შრომის, ერთობის ტანჯვის და ბრძოლის  
მუდამ მზათ არის და წინ შდგარია.

თუ კი რომ კაცი საომარ ველზე  
მამაცურათა გამომდგარია,  
მისთვის ოხერა და უიმედობა,  
ან კი რას ვარგა, რა სახმარია!

მაგრამ კაცის გულს რითი გამოსცნობთ,  
როდის ნეტარობს, როს დამწვარია?  
ხან ცისებრ ბრწყინავს, განათლებულა  
და ხან ცასავით მოღრუბლულია.

მაშ რისთვის გიკვირსთ, ოდეს წუხს გული  
ვინ მოგცემსთ პასუხს, ვისი ვალია?

თვენცა გაქვსთ გული, თქვენც გიცხოვრნიათ,  
ჰკითხეთ და გეტყვისთ, ვისი ბრალაია!

გ. ქალაღიდელი.

პეტერბურლი.

1872 წ.

## სახალხო ლექსი.

(პ. უმიკაშვილისაგან შეკრებილთაგანი)

საწყალი მელა ჩიოდა: არ მამივიდა ძილია,  
ბოსტანსა გადაეჩვიე, ხახვს ამოუგდე ძირია,  
სუყველა ხილი შევირგე, ტყემალმა მამჭრა კბილია.  
უკუფიხედე, — მომდევდა პატრონი გზირის შვილია,  
მხარზე გაედო კომბალი, გათლილი შვინდის ძირია,  
გადმამკრა, გადმამიშხივლა, გადმამადინა ტვინია.  
მაგრამ ტვინს ვილა ჩიოდა, ცოლშვილი დამრჩა ქვრივია;  
ცოლიც მალე გათხოვდება, ობლები დამრჩნენ წვრილია;  
ობლებიც დაიზრდებიან, თავი დავკარგე გმირია!

---

## ჩვენი მწერლობა

გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

თავადის გრ. ორბელიანის ლექსები, გამოცემა პეტრე უმიკაშვილისა. თფილისი, 1873. მელიქიშვილისა და ამხ. სტამბა.

ჩვენი მწერლობის მოყვარეს გულითადი მადლობა მართებს უ. პ. უმიკაშვილისა, ამ ჩინებული წიგნის დაბეჭდვისათვის. ეს ჩვენი ახალგაზდა „ბიბლიოგრაფი“ დიდი ხანია რაც ნელ-ნელა, აუჩქარებლათ და თან მოუსვენარათ, სჩხრეკს ძველებურ ხელნაწერებს, აგროვებს სახალხო ლექსებს და ანდაზებს, ჰკრებს ძველ წიგნებს და გამოცემებს, და ზოგჯერ კიდევ ბეჭდავს შესანიშნავ თხზულებებს. მისი მხრით ეს მით უფრო მოსაწონი და საქები საქმეა, რომ ამ ნაირ შრომას მეტის-მეტე თავ-დავი-

წყება სჭირია: მშრომელი თავის ღვაწლის ნამყოფს ვერ ესწრება და ვერც ხედავს, და თერთონ ეს ღვაწლიც, წერილმანი სიმძიმებით დატვირთული, მკითხველ საზოგადოებას უბრალო, ადვილ რამეთ მიაჩნია. მშრომელის პიროვნობა, ნიჭი და ჯაფა არც კი სჩანს ამ უმადურ ასპარეზზე, რომელიც სინილისიან მოქმედისაგან ნამდვილ თავ-დავიწყებას თხოულობს. ვიმეორებთ, უფ. პ. უმიკაშვილი გულითადი მადლობის ღირსია ჩვენი მწერლობის და მკითხველი საზოგადოების მხრით.

მაგრამ არც ერთ შრომას უფ. უმიკაშვილისას დღემდი იმსიდიდე მნიშვნელობა და სარგებლობა არ ჰქონია, როგორც გრ. ორბელიანის ლექსების შეკრებას და გამოცემას. ჩვენი მწერლობის უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ მკითხველი საზოგადოება ვერ იცნობს ჩვენი პოეტების სრულ შრომას. იმას თვალ წინ არ უდგია თითოეულის მათგანის სრული სახე და ხასიათი. ჩვენი პოეტების თხზულებები აქა-იქ, სხვა-და-სხვა გამოცემებ-

შია დაფანტული, ზოგჯერ დამახინჯებულიც, და მკითხველს არავითარი საშუალება არა აქვს შეკრიბოს, შეაერთოს და შეავსოს თავისი საყვარელი მწერლის ლექსები, მათგან ერთბაში და სრული შთაბეჭდილების მისაღებათ. არა თუ მკითხველი, ჩვენი კრიტიკაც სწორეთ ამავე სამწუხარო მდგომარეობაშია: მისი დასაფასებელი მასალა ნამეტნათ დაბნეული და გაცალცალკეეებულია და ის ვერ იდგენს ყოველმხაროვანს აზრს მწერლის წარსულ ნაწერზე და ამ ნაწერის ნამდვილ ხასიათზე. ჩვენ მწერლობას ბევრი იმისთანა ღირსოვანი პოეტები ჰყავს, რომლებიც შრომა უფრო აყვავებულ მწერლობასაც დააჩნდებოდა, არა თუ ჩვენსას. მაგრამ იმათი ღვაწლი თითქოს არც კი არსებობდეს, ისე უმნიშვნელო და უგაეღენოა, მარტო იმ მიზეზით, რომ მკითხველ საზოგადოებას მათი მარტო ორიოდ-სამი ლექსი წაუკითხავს, იგეცდრო გამოშვებით, როცა უწინდელი ლექსის შთაბეჭდილება დავიწყებული ყოფილა. ალ.

ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, ილ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის და სხვების შრომას ამითი ძლიერ ბევრი აკლდება; უფრო მეტი ვნება ჩვენ მწერლობას ეძლევა, და ბედნიერი იქნება ის დღე, როცა ჩვენს მკითხველ საზოგადოებას ამ მწერლების თხზულების კრება მიეცემა.

ვინ იცნობდა აქამდი, მაგალითად, გრ, ორბელიანის თხზულებების საზოგადო-ხასიათს და ერთიან მიმართულებას? აქა-იქ დაბეჭდილი მისი ლექსებიდამ მკითხველმა მართო ის იცნობდა, რომ ეს მწერალი ნიჭიერი პოეტია, და მეტი არაფერი. რა ნაირია მისი ნიჭი, რა გზით გახსნილა ის, რა შთაბეჭდილებებს ჰქონია მასზე გავლენა, რა თვისებები აქვს მის მუზას და რა გავლენა ექნება მის ნაწერს, რა ნაირათ იხატება მის თხზულებებში მისი დროის საზოგადო მდგომარეობა, რა დასკვნა უნდა გამოიყვანოს შემდეგმა შთამომავლობამ, — ჰქონდა ამაზე ვისმე გავება? თითქმის არა ვის და დღეს, როცა უ. უმიკაშვილმა ეს

პატარა წიგნი დაბეჭდა, რომელშიაც შეგროვებულია გრ. ორბელიანის ნაწერი, ჩვენს წინსულ უცნობი სახე დგება, მრთელი ხასიათით და წარსულით. ჩვენ საკმაოდ ვხედავთ მის ნიჭსა და გრძნობას, მისი პოეზიის მიდრეკილებას. და თითოეული მისი ლექსის შთაბეჭდილება ნაკუწ-ნაკუწათ კი აღარ გვემახსოვრება, — დღეს ეს კერძო შთაბეჭდილებები ერთ დაურღვეველ ჯაჭვსავე ერთმანეთზე გადიბმებიან, ერთმანეთს ხსნიან და ანათლებენ, ერთმანეთს შოზდევენ, ერთ სრულს და ბეჯითს საზოგადო კვალს სტოვებენ ჩვენს გულში და ტვინში.

ორმოცი წლის ნიჭიერ შრომას ჩვენი მწერლობის სასარგებლოთ ეს კი ეკადრებოდა. ორმოცეა წლის განმავლობაში გრ. ორბელიანისთანა გრძნობიერი ნიჭი ფარდა აფარებული რომ იყოს, მწერლობის სიგლახაკე ამაზე უარესი იქნება? მაღლობა ღმერთს და უფუმიკაშვილს, დღეს ეს ნაკლულეფანება აივსო. იმედო ვიქონიოთ, რომ სხვა პოეტებსაც ეს

ბედი როდისმე ეღირსება, და ამ იმედით ეხლა გრ. ორბელიანის თხზულებების განხილვას შეუდგეთ.

Xპოეტის ნიჭისა და ძალის დასაფასებლათ ყველაზე უწინ იმ მხარეს უნდა მიაქციოს კაცმა ყურადღება, თუ როგორი ხელოვნებით, როგორი მხატვრობით, სისწორით და სიმარჯვით გამოთქვამს ის თავის აზრსა და გრძნობას და რა სინამდვილე და სიღრმე აქვს თვითონ ამ აზრს და ამ გრძნობას. პოეტის სიტყვა და სურათი ისეთი გამოჩარხული და ბასრი უნდა იყოს, რომ არც ერთი ნამეტანი სიტყვა, არც ერთი უსარგებლო სტრიქონი და ხაზი არ ერთოს. რაც უფრო ნაკლებ სიტყვებით მარჯვეთ და ნათლათ გამოთქვას პოეტი თავის სათქმელს, მით ძლიერი ნიჭი გამოჩნდება მის ნაწერში, ამიტომ რომ მით უფრო ადვილათ და ღრმათ შთაიბეჭდება მისი სიტყვა მკითხველის გონებაში. ლექსის გაჭიანურება, სიტყვების უთაებოლო ფანტვა, რითმების ან მუხლის შესაფასებლათ, უნიჭო მოლვექსების

მხედრია, რომელთაც გაგება არა აქვთ, რომ პროექტის უპირველესი ღირსება და მოვალეობა ღრმა შთაბეჭდილების მოხდენაში მდგომარეობს, და არა ლექსების გაწილადობილებაში. პროექტი ნიადაგ იმას უნდა ცდილობდეს, რომ მისი აზრი ცხოველ სურათათ ჩაიჭრას მკითხველის ტვინში. აი ამ მიზნებით პროექტებზე ნიადაგ სურათებს (*ბრაზა*) ხმარობენ, ყოველთვის იმას ცდილობენ, რომ მათი აზრი მჭლეთ და უხორციელოთ კი არა, შედარებით და სურათით გაცხოველებული და ახსნილი გამოვიდეს. პროეტური სურათი, პროეტური „ფერი“ იმაში მდგომარეობს, რომ სიტყვით გამოხატული სურათი თითქმის უნებურად შეეთვისოს მკითხველის გონებას და აღარ მოსცილდეს მის ტვინს, ისე რომ ყოველთვის, როცა მკითხველი იმისთანა საგანს ან შემთხვევას გაიხსენებს, რომელსაც რაიმე მსგავსება ან დამოკიდებულება აქვს პროეტისგან გამოთქმულ აზრთან ან გამოხატულ საგანთან, პროეტის სურათი და შედარება, მისი

მსწრაფლი სჯა და ძლიერი სიტყვები თვალს  
წინ დაუდგენ და გაახსენდენ. პოეტის შედარება,  
სურათი, აზრი თითქმის ანდაზათაც  
უნდა იქცეოდეს და ხალხის გულისა და მეხ-  
სიერებისკენ გზას ჰპოულობდეს, ხალხის ენა-  
ზე უნდა იდგეს და ბავშვების პირველ ლაპა-  
რაკში უნდა იხმარებოდეს,

როგორ და რა საშუალებით მიაღწევს პოე-  
ტი ამგვარ მიზანს, რითი მოახდენს ის ამნაირ  
შთაბეჭდილებას, — ეს პოეტების საიდუმლოა.  
კრიტიკის დანიშნულება იმაში კი არ მდგო-  
მარეობს, რომ მწერლების და პოეტებისთვის  
წერის იარაღი ამზადოს ან მათ სურათების  
ხატვა ასწავლოს. კრიტიკა მწერალს ეუბნება:  
იხმარე ის საშუალება, რომელიც ნიჭს შენ-  
თვის მიუტყია, დაადექ იმ გზას, რომელიც შენ  
გონებას და ხასიათს მოუხდებდა. სიტყვი რო-  
გორც გინდა და რაც გინდა, ოღონდ შენი  
ნათქვამი ნათლათ გასაგები და დასამახსოფ-  
რებელი იყოს, და შენი გრძნობა და აზრი  
შემცდარი და ხალხისთვის საუნებელი არ იქნეს.

დანარჩენი თითოეული მწერლის საქმეა, მისი ნიჭის და მიმხდურობის, და კრიტიკაზე ამ მხრით მართლ ის მოვალეობა ძევს, რომ გასინჯოს, ვის როგორი ნიჭი უხმარია და როგორი მიმხდურობა გამოუჩენია თავისი გრძნობის გამოთქმის დროს.

ეს ითქმის პოეტის გრძნობის გამოთქმაზე, ესე იგი მისი შრომის გარეგან მხარეზე. მაგრამ პოეტის ღირსება ხომ მართლ ამ გარეგან მხარეში არ მდგომარეობს. ასე რომ იყოს, ყოველი „ლაზათიანათ-მოლაპარაკე“ ყოველი ენაბასრი კაცი პოეტად იქნებოდა. სამისთანა პირებს და პოეტს შუა დიდი განსხვავებაა. გამოთქმას, ენის სიმშვენიერეს, ისტრუქციის სინამდვილეს და სიტყვოვლეს გარდა, პოეტის ღირსებას და ძალას გრძნობის სიტყვოვლეს, ტვირისა და გულის სიფხიზლეს და გაშლილობა, შთაბეჭდილების ადვილი მიღება და ღრმად გაგება, ერთი სიტყვით გრძნობის ენაზე შეადგენს. ბუნებას, ცხოვრებას, გრძნობას ყველაზე ერთნაირი გავლენა კი არ აქვს. ერთ

და იმავე მოვლენას ორი და სამი კაცი სულ სხვა და სხვა ნაირათ იგებს და გრძნობს, ერთს ეს მოვლენა აატირებს, მეორეს გააცინებს და მესამეს იქნება სულაც ვერა აგრძნობინოს. ეს თითოეული პირის ხასიათზე, ტენის ძალაზე, გულის სიჩვილეზე და სხვა ათასნაირ გარემოებებზეა დამოკიდებული. ზოგი კაცი ისეთია, რომ შეუნიშნავათ და უგრძნობელათ, გაუგებრათ აუელის გვერდს ისეთ მოვლენას, რომელიც ღრმა შთაბეჭდილებას მოახდენს პოეტზე, ხანგრძლივ აღძრავს მის გრძნობას და აღელვებს მის გონებას. მთელი საზოგადოება და მთელი ხალხი შემდგარია ამგვარი კაცებისაგან, რომლისათვისაც ცხოვრების გარემოებებს თუ ტენის ხასიათს ჩაუთელიათ გრძნობის სიფხიზლე და თვით გრძნობიერებაც.

ვინ არ იცის, რა ნაირი გავლენა აქვს კაცების უმრავლეს ნაწილზე რომელიმე ძლიერ გრძნობას, ვთქვათ სიყვარულს. საზოგადოთ ეს გრძნობა იმით გამოიხატება, როდესაც კაცი

რალაც უცნობ მდგომარეობაში გრძნობს თავის თავს. იმას თითქო რალაც აკლია, რალაცა სტკივ, ვინ იცის — შია თუ სწყურია. ის თვითონ ვერ ატყობს თავის მოთხოვნილებას; სწყუხს, მაგრამ თვითონაც არ იცის რაზე და რისთვის. ის მოიწყენს, მაგრამ თავის-თავსაც ვერ მიუთითებს იმ მიზეზს, რომელმაც ის მოაწყინა. როცა ის გახარებულია და ნეტარებაში სცურავს, იმას თვითონაც გაგება არ აქვს, რომელმა შემთხვევამ და გარემომამ, რომელმა სიტყვამ გაამხიარულა და გააბედნიერა. ერთი სიტყვით ის ემონება რალაც უცნაურ ძალას, რომელსაც ვერ სცნობს, მიჰყვება მის ჯლიქვებს, რომელთაც ვერ ხედავს და თითქმის ვერც გრძნობს, როგორც კაცი რკინის გზით მიჰტრინავს, მაგრამ სანამ ფანჯარაში არ გაიხედავს და გარეგან საგნებს არ დაინახავს, ჰგონია, რომ ოთხში ერთ ალაგზე მოსვენებით ესჯივარო.

ამ მდგომარეობაში მისი საკუთარი და მისი საყვარლის გრძნობა მიგოგილობს უდარდე-

ლათ და გაუგებრათ იკარგება. ორივე მხარეს თითქო ენა დაბმული ჰქონდეთ, თითქო ისინი ბრძებნი ან ყრუები იყვნენ, ისინი არა თუ ვერ ნიშნენ და ვერ იგებენ გრძნობას და მის მოვლენებს, რმის გამოთქმასაც ვერ ახერხებენ, რასაც იგებენ. ამის გამოსახატველი სიტყვები იმათ აკლიათ, და რომ ჩამოაჩნხით, ვერც ერთი ვერ გააგებინებს მეორეს და ვერ გამოუხატავს სიტყვით ჩმ ტანჯვას ან იმ ნეტარებას, რომელიც იმის გულშია, და რომლის ერთ, მცირედ ნაწილს ის კიდევც გრძნობს. ალაპარაკეთ ვგევე კაცი ტანსაცმელზე, არე-მარეზე, ცხენზე, მუშაობაზე, ომიანობაზე, სწავლა-გონებაზე, რაზედაც გინდოდესთ, და ნახვებ, რომ ყველაფერზე იმას საკმაო სიტყვა და სურათი აქვს იმის გამოსახატველათ, რაც უნახავს ან გაუგონია. მარტო გრძნობაზე ებმება იმას ენა, მარტო ამ საგანზე სიტყვებიც ელევა, სურათებიც და გამოხატულობაც. მარტო ამ საგანში გამოდის ის უმეტარი და უგნური. ამის მიზეზნი

ისაა, რომ გრძნობიერება, კაცის გულის ცხოვ-  
 რება, კაცის ტვინის-დაფების ხასიათი ყველაზე  
 უფრო ძნელი და უცნობი საგანია ქვეყნიე-  
 რებაზე იმათ გამტკიცლებას, დაკვირვებას, გა-  
 გებას, გამოხატვას და ახსნას ისეთი, ფხიზელი  
 და ნარნართ გრძნობიერი დაკვირვების იარა-  
 ლი სჭირია, როგორც ძლიერ იშვიათათ იბო-  
 ეება ქვეყანაზე. აი რისთვის იშვიათია ხეირი-  
 ნი პროეტები, აი რისთვის კაცის გულის მცნო-  
 ბი მეცნიერები. სულ ათ თუთხმეტზე მეტი არც  
 კი დაბადებულან დედამიწაზე. აი რისთვის, კა-  
 ცობრიობას ნიადაგ ემასსოვრება იმისთანა  
 მწერლების შრომა, როგორც ლართ შჭუკო და  
 სტერნი, შექსპირი და გოტე, მოლიერი და  
 სხვ., მაშინაც, როცა ათათასი სხვა მწერლებს  
 და მეცნიერების ხსენება გამქრალა მიქნება,  
 ქვეყნიერებაზე.

რა მიზეზია ამ განსხვავებისა? რის, რომ ეს  
 პროეტები და კაცის გულის მცოდნენი სულ სხვა  
 ნაირათ გრძნობენ და იგებენ მთავიანთი და  
 სხვების გულის მოძრაობას და ტკევილს, ეფ-

ნემ წელან აწერილი კაცების უმრავლესობა. იმათთვის გასაგებია ისეთი მოვლენები გრძნობისა, რომელიც არ ესმის და არ ეჩვენება დანარჩენ კაცობრიობას. თავიანთი ნაზი გრძნობიერობით, ფხიზელი ნერვებით, მიმხედლომი გონებით და მძლავრო ტვინით ისინი ნიშნენ და ხედვენ თითქმის თითოეულ მათი ან სხვების გულის ფეთქას, ატყობენ თითოეული მათი გრძნობის და შთაბეჭდილების მიზესს და საგანს, შინჯვენ თავიანთი გრძნობის შიმდინარეობას და იკვლევენ თავიანთი საქციელის და მოქმედების დფარულ ჩარხებს. მათთვის მათ გულის დაფარული და საიდუმლო აღარა აქვს რა, და რადგანც კაცის გული საყოველთაოთ თითქმის ერთნაირია, სხვების გულშიაც ისინი ადვილათ არჩევენ გრძნობის ნიშნებს და მოვლენებს. რაკი თვითონ საგანი ესთ გაცნობილი და ნაგრძნობი აქვთ, მისი გამოხატვაც იმათ უადვილდება, და აი ამ გამოხატვას, ამ სურათებს და სიტყვებს ყურს უგდებს კაცობრიობა, როგორც კაცი დამშე-

ულათ ისმენს ყველაფერს, რასაც იმას შორე, უცხო და საკვირველი მხარედამ მოსული მგზავრი უამბობს. ამაშია პოეტების უმთავრესი ძალა და იარაღი, ესაა მათი ნამდვილი ასპარეზი და დანიშნულება.

გრძნობის გაცნობა, მისი გამოხატვა იმას როდი ნიშნავს, რომ პოეტმა მარტო სიყვარულზე და ვარდ-ბუღბუღზე უნდა იმღეროს. არა. ჩვენ „გრძნობა“ მისი საზოგადო მნიშვნელობით ვიხმარეთ და სიყვარული კი მხოლოდ მაგალითად მოვიყვანეთ. — ამ მხრით გრძნობის გაცნობა — გრძნობის გამოცდას ნიშნავს, და ვისაც ის გამოუტყდია, ვისაც ტენი და გული იმოღნათ ბედნიერათ შეზავებული ჰქონია, რომ შესძლებია გრძნობის გაცნობა და გაგება, იმას ეს დაკვირვება, ეს გამოცდა აკეთილშობილებს, სწმენდს და ამალლებს. კაცის გული დამტვერულია უმოძრაობით, დასერილია ნიადაგ ერთ ალაგას გდებით. როცა იმას სიყრმიდანვე გონიერი თვალი დაუკვირდება და ნიადაგ მის სინჯვას და რჩევას და-

უწყებს, გული სუთთავდება, როგორც დამ-  
 ტვერიანებული ტანისამოსი, რომელიც იბერ-  
 ტყება და იწმინდება ხელის მოკიდების და გა-  
 სინჯვის დროს. ად ზისთვის მაღალი და პატი-  
 ოსანი გრძობა, კეთილი სულის მოძრაობა,  
 მშვენიერი ლტოლვილება და გულის სიმაღ-  
 ლე თითქმის ნიადაგ მხვედრათ. რგებიანთ უმ-  
 ჯობეს პოეტებს და უგონიერეს ვაცის გულის  
 მკნობლებს. ეს სიმაღლე პოეტს მარტო თა-  
 ვისთვის შენახული ვერ არ უნდა ჰქონდეს;  
 მისი დანიშნულების უმაღლესი გვირგვინი  
 იმაში მდგომარეობს, რომ იმავე სიმაღლემდი  
 ახწიოს და აამაღლოს მკითხველის გრძობა  
 და ხასიათი, და მის გულში ის წმინდა ალი  
 და გრძობა ჩანერგოს, რომელიც ადამიანის  
 გულის გაცნობამ და გამოკვლევამ პოეტის  
 გულში დაბადა.

მაშასადამე, რაც უფრო ნათლათ და ბეჯი-  
 თად სწენს პოეტი, რაც უფრო ადვილათ გა-  
 საგები და დასამახსოვრებელია მისი აზრი და  
 სურათი, რაც უფრო კარგათ იცნობს ის ადა-

მიანის გულს და გრძნობას, რაც უფრო მა-  
 ლალ გრძნობას ბადავს ის მკითხვილის გულ-  
 ში, მით უფრო ღირსეულია მისი შრომა, მით  
 უფრო ძლიერი ნიჭი სჩანს მის ნაშრომში. და-  
 უმატოთ ამას ერთი თვისებაც და მაშინ  
 პოეტის დანიშნულება ჩვენ ნათლათ გვეცო-  
 ღინება. ეს თვისებებშია მდგომარეობს, რომ  
 პოეტი, ნიადაგ დაკვირვებული უნდა იყოს თა-  
 ვისი ხალხისა და საზოგადოების გულის ფეთ-  
 ქაზე, ნიადაგ მის გულის წადილს უნდა იც-  
 ნობდეს, უპასუხებდეს, ნიადაგ მის თავში უნ-  
 და იდგეს, როგორც ნათქვამია გოტეზე:

На все отозвался онъ сердцемъ своимъ,  
 Что просить у сердца отвѣта.

მაგრამ ამ მხრით პოეტი თავისუფალი რო-  
 ღია. ამ მხრით მისი მოქმედება თვითონ იმ  
 საზოგადოების მდგომარეობაზეა დამოკიდებუ-  
 ლი. რომელშიაც ის ცხოვრობს, იმის ხასი-  
 ათზე და წადილზე, იმის ბედზე და ზოგიერთ  
 სხვა გარემოებებზე. მცირედია იმ პოეტების  
 რიცხვი, რომელთაც არათუ პასუხი აძლიეს

თავიანთი ხალხის გულის წადილზე, მაგრამ თვითონ ეს გულის წადილებიც დაბადეს და გააცხოველეს...

ეს გრძელი საუბარი ჩვენ იმისთვის გავაბით, რომ გვეჩვენებია, რა მოეთხოვება პოეტს და პოეტი რა სულიერს ჰქვია. ამ საზოგადო ბაასილამ გადავიდეთ ეხლა იმ პოეტის თხზულებაზე, რომლის გამოისობით შეგვემთხვა ამ საუბრის გამართვა, და ენახოთ, რამდენათ შეეთანხმება გრ. ორბელიანის შრომა და ნიჭი იმ პოეტის სურათს, რომელიც ჩვენ ესეს არის ავწერეთ.

✕გრ. ორბელიანის ლექსების კრება იწყება ლექსით. რომელიც დაწერილია 1827-ში, და თავდება 1870-ში დაწერილი ლექსით. ამოვწეროთ ორიოდ სტრიქონი პირველი ლექსიდან.

„მეგობრობასა — სიცოცხლენ, სიყვარულსა მიეც გული!  
აჰათგან ჩვენი ცხოვრება არს ტურფად აღუჭავებული.

წუხილი გაქუს? მათ მიეყრდნე, მყისვე ჰყონ განქარვებული,  
მოგცენ იმედი, ლუგეში, სიამოვნება, ღიმილი...“ (1 გვ.)

მკითგველი ხედავს, რომ არა თუ 1827-ში, დღესაც ჩინებულ მწერლათ ჩაითვლება ის, ვინც ასე გამოჩარხავს თავის სათქმელს, და ორიოდ შეემოძველებული სიტყვა რომ ყურს არ ეჩოთირებოდეს, ეს ადგილი მშვენიერ ნაწყვეტათ მიაჩნდება ეხლანდელ მკითხველსაც. ეს ნაწყვეტიც საკმაოდ გვიჩვენებს პოეტის ძვირ-სიტყვაობას, თუმც ამ ლექს უწინდელი მწერლობის და ძველებური პოეტების გავლენა ატყვია. თითქმის იმავე დროს (1829) დაწერილი ლექსი „მ—დმი“ (8 გვერდი) გვიჩვენებს, რომ პოეტს ადრითვე სჩვევია თავისი გრძნობის მოვლენების დაკვირვება:

„მნათობო, თვთ შენ აღმიხსენ, რა მემართების, რა სა

ვპგრძნობ;

როს გხდავ, რადა ვჰსწითლდები, რად ვჰკრთები, ვწიშობ

და ვხარობ?

მაშინ რად ენა სდუმდების, როს შენთან უბნობას

ვჰსცდილობ

და რისთვის ნაცულოდ სიტყვათა მხოლოდ ოხურათა

ვჰმეტყველობ?

„მარავალ გზის ვჭუტუცავ არ გნახო მარამ უოველს  
 ჟამს გეძიებ!  
 როს გხედავ, გულისა სახმილსა მღუმარედ შეოფსა აღმი-  
 გზნებ.  
 მაშინ მე, შმაგი, უოველთა გარე ჩემს საგანთ ვივიწყებ;  
 ხანა ვჰსწყევ შენტა სიტურფეთ და ხან კი მათვე ვლ-  
 მერთებ...“

„მრავალ გზის ვჭუტუცავ გივიწყო და ვჰქმნაცა ნება  
 გონების,  
 მარამ, როს გხედავ, გონების რჩევა სრულიად არ მესმის.  
 გული ხელმწიფებს და უფრო უძლიერესად შენ გეტრფის,  
 და გულის მონად შექმნილი გონებაც შენდა მოჰ-  
 ტრინვის!“

აქ მარტო გრძნობის მოვლენებია გამოხატული და შენიშნული პოეტი ჯერ თითქო ვერ ხედავს ამ მოვლენების ახსნას ან დაფასებას, ის მარტო ნიშნავს, ესა და ეს ემართება ჩემ გულსო. მეორე ლექსი „ლამე“ (1832) გვიჩვენებს, რომ ამ მხრით პოეტის გრძნობიერებას წინ ნაბიჯი წაუდგამს, ამ მოშვენიერ და პოეტური გრძნობით სავსე ლექსში, არე-

მარეს და გრძნობის ხელოვნურ აწერას ერთის ის დასკვნა და წუხილი, რომელიც ამ გრძნობას პროეტის გულში დაუბადია:

„მაშინ ვსჯან ჟამნი სამოთხის, რომ ამა სოფელს არიან!  
მარამ, ახ, ჟამნი ეს ტკბილნი ესრედ მალიად რად რბიან,  
გულისა სურვილთ დაცხრომას, რომ არ სრულიად  
გვაცლიან?“

ეს არს სამწუხარ, რომ ბოლო თვთ სიხარულსაც ჰქონიან.“ (14 გვ.)

ამავე ლექსით თავდება გრ. ორბელიანის შრომაში ის პერიოდი, რომელშიც მის ნაწერს და ლექსის კილოს უწინდელი მწერლობის ბეჭედი და გავლენა ატყვია. შეუძლობელი იყო, რომ იმ პროეტს, რომელსაც ეს გრძნობა და მისი მძლავრათ გამოთქმა გაუცენია, დიდხანს დატყობოდა უწინდელი დედნების და მაგალითების შემბორკველი ძალა. მართლაც, შემდეგივე ლექს უფრო მაღალი გრძნობა, უფრო ხელოვნური გამოხატულება და ტანსაცმელი აქვს. მისი ენა ძველ კილოს ივიწყებს, ლექსი მსუბუქი და ადვილი ხდება,

სურათი კეკლუცათ და მარდათ იხატება ორი-  
 ოდე კალმის გასმა-გამოსმით და შთაბეჭდი-  
 ლება მით უფრო ძლიერი და ხანგრძლივი  
 გამოდის. აი ამ ლექსის („იარაღის“, 1832)  
 ზოგიერთი ადგილები:

„ჩემო იარაღი! ნეტავი ოდეს  
 ღხინით აღვსილნი ვჰსხდეთ ველსა მწვანეს;  
 ჩუცნებურადა,  
 ძველებურადა,  
 ვსვამდეთ;  
 ვიძახდეთ:  
 იარი-იარაღი!“

ამ ნაირათვე ადვილათ და ძლიერათ დახა-  
 ტულია თვითონ სურათიც:

„ჯეირნის მწვადი შიშინით  
 ცეცხლზედა დასტრიალებდეს;  
 ვნოსვა დამტკბარი მის სუნით  
 ზადასა განგვიღვიძებდეს.  
 კახურის ღვინით აღვსილი  
 აზარფეშაცა კელს გვეპურას;  
 მოთალი, ზეფზი, მწვანილი

ავიჭრელებდენ წინ სუფრას.

ცა მშენიერი,

ცა მშობლიური

მარად ბრწყინვალე ზე დაგენათიდეს;

გაცხელებულთა

ღვინისგან შუბლთა.

კოჯრის ნიაფი განგვიგრილებდეს...“

ამ დარდიმანდულათ დახატულ სურათს, ამ ხელოვნურათ აწერილ მდგომარეობას მოხედევს თვითონ პოეტის გრძნობა და სურვილი, იმავე ხელოვნებით და სიმარდით გამოთქმული:

“შენ მომითხრობდე,

მე ყრმა გისმენდე,

გამოუცდელი — მოხუცებულსა,

თუ ვით ივერნი,

ლომ-გულნი გმირნი,

ჰბრძოდნენ, ჰსცხოვრებდენ დროსა წარსულსა. \*

და ნატვრა:

„ვინ აღჩნდეს გმირი,

რომ მის ძლიერი

ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს?

რომელ მარჯვენით

ერთისა დაკვრით

უსულოდ ვეშავს მიწად დაჰსცემდეს?“

ბოლოს, ამ პოეტურ სურათს, გრძნობას და ნატვრას, ოცნებას თითქოს საგანგებოთ განსაკუთრებულ ძალას და ფერს აძლევს იმ შდგომარეობის გამოხატვა, რომელშიაც თვითონ პოეტი იმყოფება, და რომელთან შედარება აღტაცების სხივს აძლევს პოეტისგან გამოთქმულ ოცნებას:

„შარამ ამაო, ჩემო იარალი,

არს ჩემი ნატვრა და ჩემი როტვა!

სად აზარფეშა, სად არს მწვანილი \*)

ღვინის წილ — კვასი, მზისა წილ — ყინვა!

გარდმოხვეწილმან ჩრდილოს წყუდიადსა.

სადლა იხილოს ცა მშობლიური?

შენ ხარ პეტერბურლს მე ნოვგოროდსა,

გარეთ მკლავს ყინვა და შინ უგარი.“

\*) ეს ლექსი ნოვგოროდშია დაწერილი.

მკითხველი ეხლა საკმაოთ ხედავს პოეტის გრძნობის სიღრმეს და მისი ნიჭის სიძლიერეს; ის იცნობს, რა უგრძენია პოეტს, და რა სახით სცოდნია იმას ნაგრძნობის გამოხატვა. მაგრამ პოეტი უფრო შორს მიდის, შემდეგი ლექსი („მუხამბაზი, 1832 წ. 25 გვერდ.) გვიჩვენებს, რომ პოეტს არა თუ თავისი გრძნობის გაგება აქვს და ჩინებულათ გამოხატვას ახერხებს, ის სხვის გულშიაც გამჭრიახათ იცქირება, იმას სხვის კანშიაც შესვლა სცოდნია და სხვის მაგიერ გრძნობაც. აი, მაგალითად, რა ხელოვნურათ-უბრალო სიტყვებს და მშვენიერ სურათებს და შედარებებებს ათქმევინებს პოეტი ბეჟანა მკერვალს:

არავისთვის მე დღეს არა მცალიან,

სალომესთან სადილად მეძახიან!

ამას ვამბობ, მე ბეჟანა მკერვალი,

ქალებისა ლხინი და თაიფული.

შვენებითა საცა ვინ არს ქებული,

მისი კარი ჩემთვის არს გაღებული;

საცა მივალ, თან მიმაქვს სიხარული.

მარამა დღეს არავისთვის მცალიან,  
სალომესთან ს. დილათ მეძახიან!

\* \*  
\*

„ქალებზე ვარ ასე თიქრით მოცული,  
ხელში ქობა ღამრჩების მოუვლელი!

მებლანდების თვლებში ზოგის წელი,  
ზოგის ხვევნა, ზოგის აღერსი ტკბილი!

ნეტარ მათთან ღზინში აღმომხტეს სული!

მარამა დღეს არავისთვის მცალიან

სალომესთან სადილათ მეძახიან!“

მეორე ადგილას („სალომეს,“ 1834) პოეტი ამავე ბეჟანა მკერვალს აი რა ჩინებულათ ამღმრებს (ნახე №183):

„ნუ გწყინს, ვარდო, უვაგილთ მეფავ,

რომ ზოგჯერ იასაც ვსუნავ! მზეში შამოდო!

„რა ვქენა, გულს ვერ ვეტყვი უარს:

ვარდიც მიყვარს, იაც მიყვარს! მზეში შამოდო!

„შენ სანთელი, მე ფარვანა!

დაე. დაიწოს ბეჟანა! მზეში შამოდო!

„სიყვარულმა მათქმევინა,

თვარა მე ვინ, — ლექსი ვინა? მზეში შამოდო!“

ეს თვისება მეტის მეტათ შესანიშნავია მწერლობაში. როცა პოეტი იმოღნათ სწორეთ და ნამდვილათ მოახერხებს სხვისი გრძნობისა და ხასიათის გაგებას, ისე ჩაძვრება მის გულში და კანში, რომ არა თუ მისა გრძნობა გამოხატოს, მისი ჩვეულებრივი ენაც იხმაროს, ისე რომ მკითხველს დაავიწყდეს, რომ მის წინ პოეტი მღერის და სწერს, და ეგონოს ნამდვილათ გამოხატული პირის ხმა მესმის, მის გრძნობას ეხედავ, მის სხეულს ხელს ეკიდებო, ეს იმის ნიშანია, რომ პოეტს ხელოვნობაში უზენაეს სიმალლემდე მიუწევია. ეს თვისება ხელოვნობის თითქმის უკანასკნელი სიტყვაა, იმ მხრითა მაინც, რომელიც აზრისა და გრძნობის ტანსაცმელს, გარეგან ფორმას შეეხება. გრ. ორბელიანს ამ მხრით ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს მწერლობაში, და რადგანც ეს თვისება ჩვენ მეტის მეტათ შესანიშნავ და საჭირო თვისებათ მიგვაჩნია, აქვე ორიოდ აღვიღოს კიდევ ვადმოვწერთ, რომელშიც ჩინებულათ

მოჩანს ამგვარი პროეტის ძვირფასი ძალა და ხელოვნება.

„ონიკოვის დარდებში“ (1860) პროეტი აი რას ათქმევინებს დამწვარ-დადაგულს მოარში-ყეს:

„ეშხისაგან გონება-გამოცლილსა,  
მზე პბრწყინავს, თუ თოვლი მოდის, არა მესმის!

«განა ღამით ძილი არისლა სადმე,  
ანუ დღისით გაწსვენება გულისა?»

„ან ვილასა აგონდება სადილი,  
ანუ ღამით აბანოში ღბინები...“

„ნაბად-გახვეული ვპგდივარ ქუჩაში;  
ვოხვრავ, მაგრამ ჩემი დარდი ვის ესმის?»

„ვინც ვაივლის, მკითხავს: აქ რას აკეთებ?  
— შუნი რას ნაღვლობ, მე რას გიშლი, რა გინდა?»

«მითილი ხარ, თორემ არა მკითხავდი.  
მოდი ამ ვირს ეშხზე ელაპარაკე!»

„ჩემი დარდი ჟვალის ჩინი აქ არის;  
ერთი მიიხარ, მე სად უნდა წავიდე?!“ (54 ვგ)

აი, ეხლა, თფილისელი ლოკოტი, ლოკოპიანას სიმღერა („მუხამბაზი“, 1861).

„რთო ალვისა შენი წელი მგონია,

მაგ წელზედა ცისარტყელი მგონია;

ეგ თვალები ცაში ელვა მგონია;

ვარდის სუნი შენი სუნთქვა მგონია.

როს მელისროს, ეპსთქვა: „გეთაყვა, ჩემო ხარ!“

„გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,

თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!“

\* \* \*

„ორთაქალის ბალში მნახე, ვინა ვარ!

ღარდიმანდის ლხინში მნახე, ვინა ვარ!

ჯამით ტოლუბაში მნახე, ვინა ვარ!

აბა მუშტის კრივში მნახე, ვინა ვარ,

• მაშინ შეგიყვარდე, ჰსთქვა: „ძვირფასი ხარ!“

„გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,

თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!“ (წნგვ.)

ენახოთ ეხლა პროეტის ნიჭის ძლიერება მის პირველ-დაწყებით ლექსებში კი არა, იმისთანა თხზულებაში, რომელშიაც ეს ნიჭი ერთიანათ და სრულად გამოიხატება, და რომელიც გვიჩვენებს ჩვენ პროეტის მეორე მხარესაც, — მისი გრძნობის ამაღლებას, მისი მალა-

ლი დანიშნულების ასრულებას. ამისთანაა „სადღეგრძელო“ (1827—1870), უმჯობესი ლექსი გრ. ორბელიანისა, და ერთი უმჯობესთაგანი მთელ ჩვენ მწერლობაში. დავიწყოთ იმისთანა ადგილის ამოწერით, რომელშიაც გამოიხატება პოეტის გრძნობა და თან შეხედულობა სიყვარულზე. ვიქონიოთ კი მხედველობაში, რომ ეს ისეთი საგანია, რომელზედაც თითქმის ყოველ ჩვენ მწერალს უმღერია, და რომელიც არც ერთს მათგანს ამ მაღალი და ღირსეული მხრით არ გამოუხატავს:

„ძმანო, ივიწყეთ მცირეს ჟამს მტერი, ომი და დიდება,  
მოიგონეთ სიყუარული, რომლით სიცოცხლე გვიტკება,  
რომლის შუქი ადგუამაღლებს, რომლით სული გვინათ-  
დება!

რომლით კაცი მშუპნიერობს, მაშინ თვით ღმერთს ემს-  
გავსება!

„სადა ხარ სიყუარულის დღევ, აღარა უკმოიქცევი?  
ღიმილით შენსა შეყრასა ნუ თუ ამოდ ვისურვი?  
გულისა მნათი, ლამპარი, ნუ თუ ჩემთვისა განჰქარდა  
და ჩემი ბედნიერებაც წარსულთა დღეთთან წარვიდა?

„გული რა იგრძნობს სიყვარულს, სიცოცხლეს მაშინ  
აჰყუადეს!

ნეტარ ის ჟამი, როს სატრფო თავსა ჩუქნსა გავიწყებდეს:  
მას შევჰსტრფოდეთ, შევჰხაროდეთ, თავს ველოდეთ, ის  
გუტანჯავდეს;  
ხან უწყალოდ გულს გვიკლავდეს, ხან ღმობითა ნუგემ  
გუტემდეს!

„რა ნახოს კეთილ-უგრძნობმან ტრფობისა ძნელთა  
კირებთა,

ვის არ შეეხო ეშხი გულს, არ ებრძვის გულის წყლულებთა?  
მიჰხედეთ ვარდსა, მაშინ ჰვენს უმეტეს სუნნელებათა,  
ოდეს ნიაფი შეხებით შეარყევს მისთა რტოებთა!

„სიყუარულისა აღითა ვის ჩუქნში გული ეწოდეს  
და სატრფოს სახე მარად ვის სულსა აღბეჭდვით თან  
ჰსდევდეს,

ამა სოფელსა მას რად წინა საბრკმელად აღუდგეს?  
გულს სიყუარულით, კელს ხმალით, რას არა აღასრულებდეს.

შეეჩერდეთ ცოტა 'ხანს ამ მშვენიერ სუ-  
რათზე და შედარებაზე, რომლის მსგავს იშვი-  
ათათ წარმოგვიდგენს არა თუ ჩვენი, ევრო-  
პიელი პოეზიაც:

„მიჰხედეთ ვარდსა, მაშინ ჰფენს უმეტეს სუნნელებათა, ოდეს ნიავი შეხებით შეარყევს მისთა რტოებთა.“

და დაუკვირდეთ მთელ წელან მოყვანილ ნაწყვეტს. ჩვენი პროეტები ისე ხშირათ ლაპარაკობდენ სიყვარულზე, ტრფობის ეშხზე და ქალებზე, და ისეთი მატერიალური მხრით შეეხებოდენ ამ გრძნობას და საგანს, რომ მკითხველს ძალა-უნებურათ ეჩვეოდა ამ აღმტაცი გრძნობისა და ძალის გაბინძურებას; პროეტებიც რომ ამ დამცირებას არ წახმარებოდენ, თვითონ ჩვენი ცხოვრებაც საკმაოთ მატერიალური და გამაბინძურებელია. ის თავისი პრაქტიკული მოთხოვნილებით, თავისი კანონებით და ჩვეულებებით საკმაოთ ფრთებსა ჰკვეთს ყოველ პროეტურ ოცნებას და გრძნობის გატაცებას, საკმაოთ ტალახში სერის და აძონძებს გულისა და სულის ლტოლვილებას. სიყვარულიც ჩვენი მკითხველის თვალში გადაიქცა ისეთ უბრალო და ბინძურ „შემთხვევათ“, როგორც ლოთობა, ან პრაქტიკულ ანგარიშათ, როგორც ბანქოს თამაში. ქალი, სატრ-

ფო, გრძნობა ამ გვარი შეხედულობით დამ-  
 ცირდენ, მაგრამ უფრო მეტათ დამცირდა  
 თვითონ კაცი და საზოგადოება. ყოველი კერ-  
 ძო პირის ცხოვრებაში და თითქმის ყოველი  
 ხალხის წარსულში მოიპოება ერთი წუთი, ხან-  
 დისხან ხანგრძლივი, როცა შრომის უწყო-  
 ფობა, ან ოცნებითი იმედის დაკარგვა დრო-  
 ვებით აღტაცებას ჰკლავს, და მაშინ ამ  
 უბედურს მდგომარეობაში ჩავარდნილი პი-  
 რი ან საზოგადოება ყოველ თავის მოქ-  
 მედებას და გრძნობას წუთიერ, შემცი-  
 რებულ მნიშვნელობას და ხასიათს აძლევს,  
 ისეთ ხასიათს, რომელიც ამ გრძნობას  
 აბინძურებს და ამ მოქმედებას სწამლავს.  
 ის მაშინ თითქო საგანგებოთ უარ-ჰყოფს  
 და ივიწყებს ყოველ მაღალ და კეთილ-  
 შობილურ გრძნობას, დასცინის ყოველ აღმ-  
 ტაც გულის მოძრაობას და თითოეულ მო-  
 ქმედებაში, სურვილში, ლტოლვილებაში ყვე-  
 ლაზე უწინ და ყველაზე უფრო დამშეულათ  
 მდაბალ, ბინძურ, უიმედო და უეშხო მხარეს

ეძებს და ნიშნავს. ეს ბუნების კანონია ყოველი დაცემული პირისა და ხალხისათვის; და ვაი იმ ხალხს და იმ პირს, რომელიც დიდხანს ამგვარ სულით-დავარდნაში დარჩება. მწერლობა, როგორც ყოველი მოვლენა ხალხის ცხოვრებისა, რასაკვირველია ამავე კანონს ემორჩილება, და ჩვენის აზრით ამით თუ არა, სხვითი ვერაფრით აიხსნება ის გრძნობის დავიწყება და დამცირება, რომელიც მომაკვდინებელ დაღათ ასვია ჩვენ მწერლობის დასაწყისს ეხლანდელ საუკუნეში. აიღეთ „ვეფხისტყაოსანი“, აიღეთ მთელი მაშინდელი მწერლობა და ნახეთ, რა სიმალლეზე იყვანდა ის გრძნობას, სიყვარულს, კეთილშობილურ აღტაცებას, რა პოეტური სხივით მოსავედა ეს გრძნობიერებას, თავგაწირულებას, სულის სიშალღეს და სიყვარულის ეშხს, და მაშინვე მიხვდებით, რომ ეს მწერლობა სულს იღვამდა და იბრუნებდა იმისთანა ხალხის გულის-ცემის დაყურებით; რომელიც აღტაცებით

და მოქმედებით სდულდა, რომელსაც გულით დაეარდნა ჯერ კიდევ არ მიკარებოდა, რომელსაც ყველაფერი შესაძლებელი ეგონა. სულ სხვანაირს მდგომარეობას წარმოგიდგენს ჩვენი ქვეყნის სურათი ეხლანდელი ჩვენი მწერლობის დაწყობის დროს. ხალხს დაჰკარგვია გულის ამამაღლებელი გრძნობის აღტაცება, გამძლიერებელი რწმუნების და სიყვარულის ხსოვნა, და ჩვენი მწერლობაც, ხალხის სულით გამოზდილი, გრძნობას ვერც კი იგებს, სიყვარულათ ქალის კოცნა-მოხევნა მიაჩნია, და რწმუნებათ და აღტაცებათ ლექსებში ხანდისხან „ოჰ ღმერთს!“ ხსენება.

ხალხის ცხოვრებაში ყოველი კერძო მხარე, ყოველი მცირე მოვლენა თითქმის ყოველთვის საზოგადო ხასიათისა და მდგომარეობისაგან წარმოებს და ამ საზოგადო მდგომარეობისა აღსნას და გაგებას აადვილებს.

სიყვარულზე შეხედულებაც, ამ კანონის და-  
 ლით. საზოგადო მდგომარეობის შედეგია, და  
 ხალხის ცხოვრების და ბედის შეცვლისა და-  
 გვართ სხვაფერდება. როცა ხალხში ან მო-  
 წინავე საზოგადოებაში სულით დავარდნა ბო-  
 ლოვდება, როცა იმედი ბრუნდება და დაღა-  
 ლულება თავდება, ხალხის უკეთეს პირებს  
 გრძნობაც უპატიოსნდებათ, ხასიათიც უმაგრ-  
 დებათ და სიყვარულიც მაშინ იმათ მართო-  
 მატელიარული სიამოვნების წყარობი კი არა,  
 უფრო მაღალი ლტოლვილების დამხმარე და-  
 ლათ ეჩვენებათ. ამისვე მსგავსათ იცვლება,  
 მაგალითად, ქალის მდგომარეობა საზოგადო-  
 ებაში და კაცის შეხედულობა ქალის დანიშ-  
 ნულებაზე. სულით დაცემულ, უხასიათო,  
 მონურ საზოგადოებაში და ხალხში ქალი  
 მხეცური სიამოვნების ჭურჭელია, და ამ სია-  
 მოვნების წმი რომ გაიაროს, ის უბრალო  
 და უხეირო ჭურჭელსავე მიგდებული და  
 შეურაცხყოფილია. მშრომელს, მხნე, იმედით  
 და აღტაცებით სავსე საზოგადოებაში, ბრძო-

ლისა და შრომის დროს, ქალი კაცის თანასწორი ამხანაგია, მისი გამამხნევებელი, ნუგეშის მცემელი, ძალის მომმატებელი, და კაცი იმას პატივისცემით, ნამდვილი სიყვარულით და ნდობით უყურებს. მაშინ უმჯობესი პირობის გრძნობას და სიყვარულს, ნიადაგ ის ხასიათი ეძლევა, რომ ქალის გულში და სიყვარულში ისინი გულოდათი ამხანაგის გამამხნევებელი ძალას აფასებენ და ეძებენ, და სწორეთ ეს გრძნობაა გამოხატული პოეტის შემდეგ სიტყვებით:

„სიყვარულისა ალითა ვის ჩვენში გული ეწოდეს და სატროფა სახე მარად ვის სულსა აღბეჭდვით თან-  
 მსდევდეს,  
 ამა სოფელსა მას რაჟ წინა საბრკმელად აღუდგეს?  
 გულს სიყვარულით, კელს ხმალით, რას არა აღასრუ-  
 ლებდეს?“

ვიმეორებთ, ეს შეხედულება სიყვარულზე იმ ცვლილებების შედეგია, რომელიც ხალხის ცხოვრებაში ხდება უწინდელი, დაღალულობის დავიწყებისა და ცოტაოდენა იმედის მო-

ბრუნების გამო. ამაში ჩვენ სხვათაშორის ისიც გვარწმუნებს, თუ რანაირათ და რა მხრით ხატავს პოეტი ჩვენი ქვეყნის ბუნებას და რა შთაბეჭდილება მოუხდენია მის გრძნობაზე, რა დასკვნა დაუტოვებია მის გონებაში ამ ბუნებას და მხარეს. აი, მაგალითად, განსაკუთრებით მშვენიერი სურათი ჩვენი ხალხისა და მისი ნახვით აღძრული პოეტის გრძნობა:

„ვინ არ შევჰსტრფით მას ადგომს, სად აღგვეხილნეს

პირველ თუალნი,

სად ჰრბიოდა მხიარული სიყმაწვილე ნათლად ჩუჰნი?

სად გვეფარვიდა ნებიერად ხვევნა ალერსით მშობლისა,

და სად აღგვენთო პირველად გუღს ცეცხლი სიყუ-

რულისა?

„სადა შევჰხარით ლაყვარლად ცისა კამარას მორთულსა,

მასზე მაჯალსა კელმწიფებრ მზეს ბრწყინვით განსხივე-

ბულსა,

ლამით ვარსკთლოვანს ფირიუზსა, მთოვარით განათებულსა,

სიცოცხლის მომფენს ჰაერსა, სუნნელებრ შეზავებულსა?

„სად მთანი ყინვის გვირგვინით არიან ცადმდე ასულნი,

და მდინარენი ზახილით ზვირთის ზვირთებზედ მსროლელნი;

უფსკრულნი ჩაბნელებულნი, კლდენი თუალ-გაღუწვდე-  
ნელნი,  
სად მონადირე ჰსდევს ჯიხტსა და მის ქუცუ ჰვლენან  
ღრუბელნი.

„სად ველნი, ფერით ზურმუხტნი, ნახადა აღწუნ-  
დებიან,

მათზე კასკასით წყარონი გახარებულნი მორბიან;  
მათ სიკამკამეს უჭაფილნი თავდახრით განცვიფრდებიან;  
გულს მათი ხილვა უხარის, თუალთ კვალად ენატრებიან.“

ესაა პროეტისგან დახატული სურათი ჩვენი ქვეყნისა. პროეტურის ფერის, შედარებების და სურათების ძალა ამ მხატვრობაში სწორედ შეუდარებელი რაღ არის. დაუმატოთ ეხლა ამას მეორე ადგილიდამ ამოწერილი პროეტის გრძნობა:

„თავ-გაწირულმა გმირობამ ვერა დასძლია შავ-მხვედრი...  
წახდა თბილისი და მასთან დაემხო ძველი ივერი!...  
და საღ დასთხიეს გმირთ სისხლი, აწ ვკმზერთ სიამით  
ბალთ მწუანეთ,  
მუნით მოისმის ლხინის ხმა გულ-უზრუნველთა მოლხინედ!  
და მას წმინდასა ალაგსა, თაყუნ-საცემსა ღირსებით,

გლახ-უმეცრება ფეხ-ქუსზე მსთურფნავს გულითა  
უგრძნობით!...

„გმირნო, მამულის მადიდნო, თქუსნა ხართ ჩვენი  
დიდება!

თქუსნა სახელთა ამაყად წარმოსთქუამს შთამამავლობა!  
თქუსნთა საქმეთა მოთხრობით მოხუცს ცრემლ-მო-  
ვლინება,

მხნეობით აღტაცებული ჭაბუკი ხმალსა მისწუდება?“

პოეტის გრძნობილად ამ შთაბეჭდილების მიღება გასაკვირველიც არ არის. პოეტი ხელდავს მშვენიერ ქვეყანას, რომელიც მის ნარნარ გრძნობიერებას აღმტაც სურათებათ წარმოუდგება. ამ სურათებით აღტაცებული, ამ მშვენიერებით შეპყრობილი და გრძნობა-აღვლევებული, ის მაშინვე იმას გრძნობს, რომ ეს ქვეყანა საყვარელი ქვეყანააო, მისი სიყვარულით გულის-უჯდება პოეტს და შემდეგ სიტყვებს ათქმევინებს:

„სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქსუსუნისა?  
ერი — გულადი, პურადი, მებრძოლი შავის ბედისა?!  
შავთა დროთ ვერა შეპყრალეს მის გული ადამანტისა,

იგივ მხნე, იგივ მღერალი, მოყუარე თავის მიწისა!...

„მამულისათვის ფიალა სავსე ვჭაბუთ სიამოვნებით და იქმნეს აღყუარებული კეთილ-დღეობით, დიდებით; იქმნეს მის ქედი აღყუანილ ცათამდის ძეთა მჩნეობით, და სიყუარულის მისდამი ვჭაბობდეთ გულსა აღზნებით!

„სოფელი იმად ვრა ღირს, კაცი ნატრობდეს ჟამს

გრძელსა, თუ ფუჭი მფსრ სიცოცხლე ვერა რას არგებს მამულსა!

მის სადიდებლად ჩუენ შევჭაბუდეთ უშიშრად ათასს

მახვილსა, და მოვჭაბუდეთ, თუ კი სიკუდილით ვადიდებთ მისსა.

სახელსა!

„და მოვეკდეთ, თუ კი სიკუდილით ვადიდებთ მისსა სახელსა.“ ეს გრძნობაც ისეთი ძვირფასი და რწმენითია, როგორც სიყვარულის ნამდვილი და მაღალი მხარის დანახვა. პოეტის ამაშია ც სასიამოვნო მოვლენათ მიგვაჩინია. დაცემულ და დავარდნილ საზოგადოებაში სულით დავარდნილი კაცის გული და ხასიათი არათუ მამულისთვის სიკუდილს, მახლობელისთვის რისიმე შეწირვასაც და ღვაწ-

ლის მიღებასაც იფიწყებს. იმას გონება, შეხედულობა და გრძნობა უმცირდება. მთელი მამულის დიდების მაგიერათ, იმას ჯერ თავისი კერძო მაზრის და ბოლოს საკუთარი სახლის, დიდება კი არა, სარგებლობა შეექნება ღმერთად. ის იმ მძიმე და შესანიშნავ კავშირს იფიწყებს, რომელიც მისსა და მის თანამემამულეებს და მახლობლებს შუა არსებობს, ის მათი მოძმე კიარა, მათი მოწინააღმდეგე და მეშურნე მტერი ხდება. სადაა მაშინ ის თავის დადება მამულისა და მახლობლისთვის, ის მსხვერპლობის სიადვილე, ის თავ-გამომეტება და დახმარება, რომელიც ცხოველი და იმედით სავსე ხალხის ხასიათს შეადგენს? ამ მზრითაც პოეტს ჩინებული გრძნობა უღვივის გულში და მისი სადღეგრძელოა“ აი როგორ გამოგვიხატავს ამ გრძნობას.

„რა არის ჩუშნი სიცოცხლე; თუ არა საქმე კეთილი თუ არ აღვადგენთ დაცემულს, არ ვექმნეთ ნუგეშ-მცემელი,

თუ არა ვჰსდევნით ბოროტსა, მართლის არა ვართ მფარ-  
ველი,  
სხვის კვნესა თუ არ გუაწუხებს, სხვისა არ გვემის  
ტკივილი?

„ამ ჰაზრის გულსა დანერგვით ვსჰდევნიდეთ სულ-  
მოკლეობას,  
ვჰსდევნიდეთ ძალას დამჩაგრელს და მისსა უსამარლობას;  
ვჰსდევნიდეთ კაცის წამპილწველს, უწმინდურ ანგაარებას,  
ვჰსდევნიდეთ ყოველს, რაც უშლის კაცისა სულის  
მალლობას!

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყუანის-ცემა ღირსებას:  
ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს, და არა გუარის-შვ-  
ლობას!

კაცი ის არის, ვინც არის ზეგარდმო ვადლით ცხებული,  
მის მხოლოდ ღუაწლი არს კეთილ, მით მხარე დამ-  
შვენებული!“

ჩვენი ეხლანდელი საზოგადოებისთვის მეტი  
მეტათ საქებათ როდი ჩაითვლება შემდეგში  
ის გარემოება, რომ პოეტს საჭიროთ დაუნა-  
ხავს ამისთანა ცხადი ჭეშმარიტების გამოთქმა  
და ეს გრძნობა და აზრები, რომელნიც ხეი-

ჩიან საზოგადოებაში არც მალალ და არც შესანიშნავ რათმე უნდა ითვლებოდეს, ჩვენში, საზოგადო გრძნობასთან და მოქმედებასთან შედარებით, სწორეთ ღირსეულ და პატოოსან სულის მოძრაობათ ჩაირიცხებიან. როგორც ჩვენში დღეს არაკაცს არც გონიერ და არც ამაღლებულ გრძნობათ არ ჩაუთვლიან ჩინებულათ გამოთქმულ ჭეშმარიტებას, რომ კაცი ჰაერს უნდა სუნთქეავდეს, და ფეხებზე, და არა ყირამალა, უნდა დაიარებოდესო, ისე ხეირიან ხალში და საზოგადოებაში არაფის არ ეგონება, რომ წინეთ ამოწერილი გრძნობა გრ. ორბელიანისა საქები და აღმატაცებელიაო. ყველა იმას ნამდვილი და საყოველთაოთ ცხადი ჭეშმარიტების (ტრუთიმების) გამოთქმათ ჩასთვლიდა. მაგრამ ჩვენ საზოგადოებაში ამ გრძნობას, როგორც წყლან ფოქვით, დიდი მნიშვნელობა და ღირსება არქვს, იმეტოჲ რომ იმას ჩვენში არაფინ იგებს, თითქმის არაფინ მისდევს და ემოწერილება.

ესაა ჩვენი უბედურება, რომ ამგვარი, ყოველი გონიერი საზოგადოების და პირისათვის ცხადი და უეჭვო ჭეშმარიტება ჩვენში კიდევ ქადაგებას და დამტკიცებებს თხოულობს. საზოგადოებრივი გრძნობა ჩვენ იმოდნათ დაფიწყებული გვაქვს და ზნეობითი მხრით ჩვენ ისე ღრმად დავარდნილი ვართ, რომ ჩვენს პოეტს უკანასკნელ სიტყვათ, უმაღლეს და უჩინებულეს ქადაგებათ უნდა ჩაეთვალოს იმის გამოთქა, რომ „ჩა არის ჩვენი სიცოცხლე, თუ არა საქმე კეთილიო,“ რას მოუხდენია ეს, რა მიზეზითაა, რომ იმისთანა ნიჭიერ და ფხიზელ ხალხს, როგორც ჩვენი ხალხია, ამ უმთავრესი საფუძელის გაგება დაუკარგავს? რა მიზეზით დაგვივიწყია ჩვენ ძველი საზოგადოებრივი პატიოსნება და კერძობითი გულ-კეთილობა? ამ მხრითაც ჩვენ ისევე პასუხი მოგვეცემა, როგორც წელან გრძნობისა და გმირობის დაკარგვის თაობაზე მოგვეცა. იყო დრო, როცა ჩვენი ხალხი დროებით დაიღალა და სულით დავარ-

და, როცა იმან თავისი ბედის და საკუთარს თავის იმედი დაჰკარგა და თავის საშველათ იმ ფრინველის მზგავსათ მოიქცა, რომელიც დაინახავს თუ არა მისზე მინიშნებულ მონადირის თოფს, მაშინვე თვალს დახუჭავს, ან ბუჩქში თავს შეეყოფს, და გონია, რაკი განსაცდელს თვალით ვეღარ ვხედავ, სიკვდილს გადაერჩიო. მაგრამ განსაცდელი თვალის დახუჭვით და ბუჩქში თავის შეყოფით როდი განიშორება და ყოველი სულდგმული, რომელიც გაჭირებაში თავისი თავის იმედს ჰკარგავს და თავის საკუთარ ძალაში და მოხერხებაში კი არა ბუჩქში შეძრომაში ხედავს გადარჩენის საშუალებას, მდაბლდება და სუსტდება, როგორც საზოგადოებრივი მხრით, ისე კერძობითი ზნეობითაც. საზოგადო საქმეებში იმას ერთობის და საყოველთაო სარგებლობის გაგება ეკარგება, — სურვილი უკვდება, მამულთან შემაერთებელი კავშირი უწყდება, და თავ-გაწირული საზოგადოებისთვის

სამსახურის და მსხვერპლის მაგიერ ებადება თავისი კერძობითი სარგებლობის ძიება, ძლიერის ფეხ-ქვეშ გაგორება, ორგულობა, ლალატი, ბეზლობა და მდაბალი ოინობა, ინტრიგა. ესეც ბუნების კანონია, რომ ყოველი სულიერი, რომელიც თავის თავს სხვაზე უფრო სუსტათ გრძნობს, და რომელსაც თავისი ძალისა და შედეგების იმედი აქვს დაკარგული, ძლიერ მალე მელურ საქციელს და უსინდისობას ეჩვევა. ქალების თაღლითობა, მაგალითად, მათი ნიადაგი გულჩახვეულობა და გაუტანლობა მარტო იმათი სისუსტის და უპატიურო მდგომარეობის შედეგია. ამ იარაღის მეტი იმათთვის არ შეუჩინია რა ჩვენ საზოგადოებრივ წესს, ასეა ჩვენი ხალხის ცხოვრებაშიც. რა კი იმან თავის სისუსტე დაინახა, ცალ-ცალკე დაფანტვა და ბუჩქებში თავის შეველა მოინდომა, და იქ ბინძური გარემოებების და ტლა-

პოს გამოისობით წახდა და მოიკეცა. ეს დაემართუ იმასსაზოგადოებრივ ცხოვრებაში. კერძობით პირად საქციელში და ჩვეულებებში იძას ამნაირივე საქმე დაემართა. არაფერი არ აკეთილშობილებს კაცს ისე, როგორც ტოლებთან ცხოვრება, ტოლებში ყოფნა და მათ რაზმში დგომა. ეს არა თუ მარტო ძალას უმატებს თითოეულ კაცს, მის ხასიათს სცვლის, მის ზნეს აშალაშინებს, მის გრძნობას აპატიოსნებს. სხვებთან თავის შედარება, სხვების მაგალითის სდევნა, სხვებისგან გაკიცხვისა და მიტევების მორიდება, სხვების თვალწინ ყოფნაკაცის ფელურ და ბინძურ მიდრეკილებას ლაგმავს, მის ცუდ განზრახვას ძირში ჰკაფავს, მის კეთილ მხარეს ზღის და აუშჯობესებს. სულ სხვა გავლენა აქვს გაცალცალკეევებას და ცალცალკე სოროებში შემალვას. იქ კაცი მარტოხელი რჩება თავის-თავთან, იმას აღარც კეთილი მაგალითის ძალა ამხნეევებს, არც მხედველის დაამხნაფის მორიდება და ხათრი აკაევებს. მარტოობაში ეს თანდათან იმ შეხედულობას

ეჩევა, რომ მისი თავი ქმნილების დედა ბო-  
და; ის თავის-თავს იყვარებს და აღმერთებს  
და სხვებისას არა თუ ივიწყებს, კიდევ იძუ-  
ლებს და შურით ივსება.

აი, ეს გაცალკალებება კაცის საზოგადოე-  
ბისა და თითოეული პირის ცალ-ცალკე გა-  
ბინძურება და დამხოვა ნიადაგ მოსდევს რო-  
მელიმე ქვეყნის სულის დაცემას და მისი მო-  
ნაობის პირველ ნიშანს შეადგენს. ამ მხრით  
ყველაზე უფრო საძულველია საზოგადო-  
ებრივი მონაობა. თავისუფლება კაცს სხვა-  
თა შორის იმისთვისაც უნდა აღტაცებით  
უყვარდეს, რომ ის, საზოგადოების წევრების  
ხშირათ შეკრებით, ბუჩქებიდამ გამოყვანით,  
ერთმანეთთან გაცნობით და დაახლოვებით  
თითოეულის გრძნობას და ხასიათს აკეთილ-  
შობილებს და საზოგადო ზნეობას და პა-  
ტიოსნებას ჰბადავს. მართლაც, თავისუფალი  
ქვეყნებიც სწორეთ ის ქვეყნებია, სადაც უფ-  
რო ხშირია ხალხში ნამდვილი პატიოსნება  
და მაღალი გრძნობა...

მაგრამ ამ გადახვევამ ნამეტნავათ გაგვიტაცა. მოუბრუნდეთ გრ. ორბელიანის პოეზიას და ვიკითხოთ, თუ როგორ მოხდა, რომ ამისთანა გრძნობით საესტ, ნიჭიერი გულკეთილი და გონიერი პოეტი თითქმის უგაელენოთ დარჩა ჩვენი ხალხის გონებით მდგომარეობაზე და ჩვენს მწერლობაზე? რისთვის უოფილა ის თითქო ხმა დაკარგული და ენა ჩაეარდნილი, მაშინ, როცა მის ნიჭს და გრძნობას სულ სხვა გვარი სამსახური უნდა გამოეჩინა და უფრო ხეაღიანი სარგებლობა უნდა მოეტანა ჩვენი ხალხისათვის? რათ დაკარგულა, თითქმის უსარგებლოთ, ეს ძლიერი პოეტური და ზნეობითი ძალა ისე, რომ თავისი ერის გონებაზე და მომავალზე იმას საკმაო და შესაფერი გავლენა არ შეუძენიათ თავისი ბეჭედი არ დაუსვია? როგორ მომხდარა, რომ მის ნაწერში ძლიერ ცოტათ ისმის ხალხის გულის წადილის ხმა ან მისი პასუხი ძლიერ იშვიათათ სჩანს პოეტის თანამედროვე საზოგადოებას რაც კითხვები და ფიქრი აღელ

ვებდა იმის ან გამოსახვა ან პასუხის გაცემა. ყველა ამ აუცილებლათ საჭირო კითხვებზე პასუხს მოგეცემს ჩვენ მარტო ერთი გარემოება, იმ გზის აწერა, რომლითაც გახსნილა პოეტის გონება და იმ მდგომარეობის დაწრის აწერა, რომელშიაც იმას უცხოვრია საუბედუროთ, ჩვენს კრიტიკას არც ერთი მასალა არა აქვს ჩვენი სალიტერატურო ისტორიისთვის. ის თითქო ბნელ ოთახში ბოდიალით და ხელის პოტინით უნდა დაიარებოდეს ამისთანა საჭირო კითხვების ასახსნელათ და ნამდვილი გრძნობებისა და ფაქტების მაგიერ თავისი მიმხედურობით და მიგნებით უნდა ხელმძღვანელობდეს. ამ მიგნებას ხშირათ შეცთომაც მოსდევს, მაგრამ რა ჰქნას ჩვენმა კრიტიკამ, როგორ მიატოვოს გაუხილველათ ამისთანა საჭირო კითხვები?

პოეტი—როგორც მისი ლექსების კრებიდამ სჩანს—გამოვიდა ცხოვრებაში „განშლილი სასიხარულოდ“, და მისი ბედი, „უჩვენებდა მას ამა სოფლის ყვავილთა მხოლოდ“. იმის

გული აღრითვე გაათბო მეგობრობამ და სიყვარულმა, „რომლისა სხიენი თვით ეკალსა შეჰქმნიდენ ვარდათ“ და პოეტის ჰირველი ლექსი („ანტონს“, 1827) მართლა ცვეიჩვენებს, რომ იმას იმ თავითვე უგრძენია ამ ორი ძალის მნიშვნელობა მათი ამამალლებელი და გამძლიერებელი მხრით. პოეტი ჰგრძნობს, ფიქრობს; თავის გრძნობას აკვირდება (წინეთ ამოწერილი ლექსი მ—ს: „მნათობო თვით შენ აღმიხსენ“ და სხვ.), თავის მამულის ბედზე და მდგომარეობაზე ფიქრობს („იარალი“), და ოცნებას მიეცემა იმაზე, თუ

„ვინ აღჩნდეს გმირი,

რომ მის ძლიერა

ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს,“

მაგრამ ამბობს პოეტი, „უცებ გრიგალმა უბედობის დამქროლა ესრედ, რომ... დამცა უფსკრულს ვაებისას უმწედ უნუგეშოდ“

„სადაც ოხტრანი, აღმოსულნი გულისა სიღრმით, არ ვის ესმოდნენ და ჰქრებოდნენ ზღუდეთა შორის!

სადაც ჰსწევადენ, ვითა ცეცხლილაწუთ ცრემლნი დენით

და მათ არ ჰსწყურებდა არვისი კელი ნუგეშის;  
 სადაც ვერ ვხსენებდი ცისკრის ბრწყინვას, ვერც მწუხ-  
 რის ჟამსა;  
 სად დღე უნათლო იყო ღამედ, ღამე — უვარსკუთლავ  
 და სად სიკუდილსა ვინატრიდი, ვით ცის ნუგეშსა,  
 თუმცა სამარეს შეედრების, სადაცა ვიყავ!"

ამ მძიმე და დამალონებელ მდგომარეობა-  
 ში პოეტი, მართალია, დიდხანს არ დარჩენი-  
 ლა. ამისთანა შემთხვევები ყოველთვის რა-  
 ლაც უცნაურს დაღს ასმენ კაცის ხასიათზე  
 და მომავალ მოქმედებაზე, იმ მარტოობის და  
 უნუგეშობის მიზეზით, რომელშიაც კაცი თა-  
 ვის თავს გრძნობს ამ დამალონებელ მდგო-  
 მარეობაში. მარტო სხვებისთვის მფეთქავი გუ-  
 ლი, სხვებისთვის თავედადებული გრძნობა  
 ერთბაშით იტყობს, რომ სხვებისგან მიტო-  
 ვებულნი და დავიწყებულნი, რომ ის მარტო-  
 ხელა ჩაეარდნილა „უფსკრულს ვაებისას“, და  
 დამხმარე, ნუგეში, ხელის-გამწყობი, აზრისა  
 და ბედის თანამოზიარე არსაიდ ჰყავს. ბედნიე-  
 რია, ვინც ამ განსაცდელს გადარჩენია, და

და ვისი იმედი და პატიოსანი გრძნობა იმ „უფსკრულის ვაებაში“ არ ჩარჩენილა, სადაც მომაკვდინებელი გაუთავებლობით მილოლავს წუთი-წუთზე და საათი საათის შემდეგ. ჩვენი პოეტი, როგორც იქნა, გამოიჭიდა ამ ვაებისგან, მაგრამ აი რა იგრძნო იმან თავის ქვეყანაში ხელ-ახლავ ფეხის შედგმის თანავე:

„პირველად მზის შუჭს თვალთ ვერ უძღეს, დავშითი უნათოდ;

მერე სრულით მიმოვხედე გარეშე არეს:—

მდინარე იგი, ოგი მთანი, ნიავ მომფენნი,  
წალკოტნი, ველნი უწინდელებრ აღმწვანდებოდნენ;  
იგი უღრუბლო, უცუალებელ, ცა ნათლოვანი,  
მხიარულ კრძანი თამაშობით მოიმღვრიდნენ!

გაშოვემწრაფლეთ ნამშობლოსას, სადაც ვჭგონებდი

წარსულთა ტანჯვათ, მწუხარებათ დაფიწყებას;

მარამ, იუოს წყულამცა ვსრეთი ბედი!

მშობლის ჰვეენის წილ შეჰხვდი ახალს მუნ ვაებასა!..“

და ამ ახალი ვაებების ძალით დაჩაგრული, უიმისოთაც გულდა წყვეტილი პოეტი უიმედობას მიეცემა:

„ვისგან, და ვისთვის განიხაროს აწ გულმან ჩემვან?  
ვისა შეჰკვბრალდე, რომ ვგებ მით გული განჰგრილდეს?  
ღრუბელი კმუნის განმიბნიოს აწ ვისმან ლიმვან?“

უდროდ დაგებრდი და ცხოვრებით გულს როს დაჰსტკბეს?  
სიყუარულისა სურვილი მას ვერ დაუთრობს გულს,  
მისი სიცოცხლე ველარ დაჰსტკბეს მართლ-სინხარ-ულით,  
ვინც სოფელს მუხთაღს, საამურის ოცნებით აღვსიღს,  
უშზერს, ვით აწ მე, მიუნდობელ, გამოცდილ თვალით!  
ხვალე არღა მრწამს, ვით ღამეში მაცდური სხვიე.“

მკითხველს ახსოვს წინეთ აღმოწერილი ლექ-  
სი მ—ს. ეხლა ჩვენ მეორე ლექს ამოვსწერთ  
მ—ღმი, რომელმაც გვიჩვენებს, თუ რა თვა-  
ლით უყურებდა პოეტი იმ საზოგადოებას,  
რომელშიაც სცხოვრობდა, და რა შთაბეჭდი-  
ლება მიუღია იმას ამ საზოგადოებაში:

„თაყვანის-მცემელთ როს გუნდი თავსა გველება  
ფარვანებრ,  
რღა გსურს ყოველთ მათგანსა ეჩვენებოდე მშუტნივრებრ?

„მათ უგულოთა ქებათა რად ისინ სიამოვნებით,  
რომ ესრედ ფრიად ჰხარობენ შემცდარნი იმედოვნებით?

„ვით დაკარგულს მე მათ შორის გულს მხედებიან  
იჭენი ისრად;

არცა სიტყვით, არც მოხედვით, არა ღირს-მყოფ სანუ-  
გემად,

„რომ მით ეგებ სულის ღელვა, ესრედ მტანჯი,  
ღამიწყნარდეს,

გაშმაგებით სიყუარულის ძალა ეგებ ღამიმშვიდდეს...“

„არ უწყვი, თუ ალი ტრფობის ვითარ ძლიერ გულს  
მეგზნების!

არ უწყვი, თუ მას ჟამს ვითარ სული ჩემი იტანჯების!

„მაგრამ გრცნობ, მისთვის მწამხარ... კვალად ლხინი  
გულს შეწვეის:

შორით ვზივარ, შორით გიმზერ, შემოგხარი და მიცინის!“

რა ექნა პოეტს, როცა საზოგადოების ცხოვრება, სხვა მხრივ დახშული და დახვეწიანი-ბული, მარტო ამ მხრით წარმოუდგენდა პოეტს მოქმედების და სიამოვნების ასპარეზს.

პოეტიც გულდაწყვეტილათ ცხოვრების ტალღას მიჰყოფა, და მისი გრძნობის ძალა, მისი

გულის სიმბურვალე, რომელიც სხვა ზაწყობილებაში რომ ყოფილიყო, სხვა საზოგადოებაში რომ გამოსულიყო, უფრო მაღალ და

პატიოსან საგანს ამოიჩვენებდა, უფრო სასარგებლო და გონიერს მიზანს გამოადგებოდა,

—იღვეა ნელ-ნელა, წვეთ-წვეთა პაწია საგნების და პაწია სურვილის დაკმაყოფილებაში:

„როს გხედავ, მნათო, ღიმილით ჩემ კერძოდ წარმოვლენილსა;

ვიფიწყებ ყოველს სიმწარეს, ბედისგან მოვლინებულსა;

სულისა ღელვა მშვიდდების, ფული ჰგროძობს კვალად  
სურვილსა.“

საბრალოა იმ საზოგადოების და ხალხის  
ბედრი და მომავალი, რომლის უმჯობესი შეი-  
ლები და ამა გვარ მცირედ და დამამცირე-  
ბელ მიზნით უნდა ჰყმაყოფილდებოდეს, ამის-  
თანა წუთიერ საგანს უნდა ემსახურებოდეს.  
საბრალოა იმ ხალხის მდგომარეობა, რომლის  
უნიჭიერესი შეილები „ზეგარდმო მაღლით  
ცხებულნი, ვის მხოლოდ ღვაწლი არს კეთილ  
და მხარე დამშვენებული“, ასე ფუჭ თ ლევენ  
ცხოვრებას და ნიჭს, თითქმის უნაყოფოთ  
და უსარგებლოთ თავიანთი ქვეყნისა და ხალ-  
ხისთვის...

ბოლოს პოეტი, სიბერის დროს, თავის პირ-  
ველ ოცნებებს, თავის უწინდელ აზრის მო-  
ზიარეს და ამხანაგებს იხსენებს:

„ან რაღას ველი სოფლისგან, რა მიხარიათ, რა მინდა?  
რაც ვიყავ, იგი აღარ ვარ, ვერც კი ვგროძობ, რაცა  
მიყვარდა.  
დღე ყოველ, ჟამი ყოველი მაკლებს რასამე კეთილსა,  
ვმზერ მწუხარებით მომაკალს და ვჰსწყევლი ფუჭედ  
წასულსა...“

მაგრამ, ერთის მხრით რომ თქვას კაცმა, ეს უკანასკნელი გრძნობა, რომელიც კაცს გულს უკლავს და ნღელით ავსებს, თან ცოტაოდენ სიამოვნებას და იმედსაც ჰბადავს. ის გვიჩვენებს ჩვენ, რომ პატიოსან გრძნობებს და ამალღებულ მიზანს, ყმაწვილურ ოცნებას და აღთქმას იმისთანა ხანგრძლივი სიცხოველედ და ძალა ჰქონია, რომ კაცი, რომელსაც ისინი ოდესმე გაუცნია, იმათ ველარ ივიწყებს. მის გულს ვერ ახარებს და ვერ აბედნიერებს თითქმის ყველა იმ ნეტარების შოვნა, რომელითაც სხვებს უალრეს ბედნიერებათ მიაჩნიათ. რა გინდ ამალღებული იყოს ის ცხოვრებაში, რა გინდ ბედნიერათ მიაჩნდეს ის საზოგადოებას, რა გინდ შენატრიდეს იმის ბედს ბრმა ხალხის უგნურება, ის თავის გულში მაინც იტანჯება და კმაყოფილებას ვერ ჰპოულობს, — „რაც ვიყავ იგი აღარ ვარ, ვერც კი ვჰგრაძნობ, რაცა მიყვარდაო!“ ჰფიქრობს ის დღე და ღამ, თითქო მომაკვდინებელი ცოდვის დალი დასმოდეს მის სინდისს.

ნ. სკანდელი.

## ფელტონი

---

### ამ დროის მოძრაობა

---

(წინასიტყვაობა—ფელტონის ცუდი ხასიათი — კაცობრიობის უგნურება — ქართულისა და იმერლის სხვადასხვაობა — იმათი შეერთება რკინის ხზით—აღებ-მიმცემობითი ბრძოლა ტფილისში — გამარჯობა მხნეთა მებრძოლთა.)

ხანდისხან შეფელტონისთანა ცუდი მდგომარეობა კაცს არა სჭირს: ათასნაირი ცხოვრების წამი და იმისი ამბები, კოლოების გროვასავეთ, იმის გონების თვალწინ ფუთფუთებენ, წივიან, კენესენ, კბენენ და ჰრევენ საწვალი მეფელტონის მოსაზრებას. ყოველს ამ ცხოვრების შემთხვევათაგანს აქვს თავისი საკუთარი სიცოცხლე, როგორც ყოველს კო-

ლოს აქვს თავისი საკუთარი ცხოვრების და-  
 ნიშნულება, და აჩენს თავის შესაფერს კვალს  
 ერთს დიდს ცხოვრების მორევში. შოველი  
 იმათგან უმატებს თითო წვეთს იმის ნაკა-  
 დულში და სულ ერთიანათ ეს მოგროვილი  
 წვეთები შეადგენენ ერთს დიდს ცხოვრების  
 მდინარეს, რომელიც ან ისეთის სიმარჯვით  
 და სისწრაფით მომდინარეობს, რომ კლდეებს  
 არღვევს, თან მიაქვს ცხოვრების წამბილწვე-  
 ლი ზეაფი და ლექი, თვითონ კი ანკარდება,  
 იწმინდება; ან-არა-და დამდოვრებულ, გატა-  
 ლახიანებულ გუბის მდინარესაფით მიდის ნე-  
 ლა, მიზოზმანობს და რამდენს ნაბიჯსაც წინ  
 ადგამს, იმდენს უფრო ლექსა და შლამს შე-  
 იმატებს, აყროლდება და სწამლავს ყოველ-  
 საფე თვის გარემო, შორითგან რომ შეხედავ  
 ამ ორ გვარ ცხოვრების ნაკადულს, ვიკვირს,  
 თუ ან ერთი რათ არის ასე მჩქეფარედ და  
 წმინდათ მომდინარე, ან მეორე ასე ზოზმა-  
 ნით მომაფალი და ყოველგვარი უწმინდუ-  
 რებით შესერილი; ვიკვირს მით უფრო, რომ

ორნივე თითქოს ერთი სათაფიდგან იწყებიან; მაგრამ, თუ რომ დაუახლოვდი, შენიშნავე, რომ ეს ერთი სათაფიდგან წარმოდენილი ცხოვრების ნაკადულები ათასნაირ მასალებისგან არიან შედგენილნი; და ეს მასალები ორივე ნაკადულში სულ სხვანაირებია, იმდენათ მრავალგვარები არიან და ისე ირევიან ერთმანეთში, რომ მეფელტონე გაცილები, ყველა მიიპყრობს შენს ყურადღებას, ყოველი იმათგანი რითიმე შეგანიშვნინებს თავს და ამ სახით ერთსა და იმავე დროს ათას სხვა-და-სხვა პაწია შემთხვეულობით დაგებნევა გონება. მეფელტონის მდგომარეობა მართლაც ამ შემთხვევაში ძალიან გაჭირებულია. ის არის გაფაციცებული, უნდა, ერთ რომელსამე ისეთს უმთავრესს შემთხვევას მოაელოს გონების თვალი, სტაცოს ხელი თავში, გამოსწიოს, რომ იმას თან წამოადვენოს დანარჩენნი, რომელნიც რიგრიგათ მიჰყუებიან; უნდა უჩვენოს ყოველს შემთხვევას თავისი ალ-გი ცხოვრების ნაკადულში და ამ-

ნაირათ მთელს არეულ-დარეულს შემთხვეულობას, რომელთა ერთობა შეადგენს ცხოვრების მდინარესა, უჩვენოს თავისი რიგი და წესი; მისცეს ურთიერთშორისი დამოკიდებული წყობა, ახსნას ამითი მთელი ცხოვრების ვითარება, იმისი ახლანდელი მოძრაობა და იმისი მომავალი ბედ-იღბალი, ამასთანავე რამდენათაც მრავალი და მრავალნაირი შემთხვეულობა დაიძრება რომელსამე ცხოვრებაში, რამდენათაც უფრო თჳ-გასარეტებელი მასალა ექნება მეფელტონეს დასალაგებლათ, იმდენათ უხვი მოსავალი იქნება შემდეგში, იმდენათ დიდი წარმატება მიეცემა, იმდენათ მძლავრი ცხოვრების ნაკადული შედგება მომავლისთვის. და თუ მეფელტონეს იმათ გარეგანებაში მართლაც არ აერია გონება, ბევრს კარგს წარმოსთქვამს. ამ მხრით რომ თვალყური ადევნოს მეფელტონემ ჩვენს ახლანდელს ცხოვრების ვითარებასაც, მართლა რომ შესანიშნავია, მართლა რომ ჩვენი მომავალი ცხოვრების წინწამყენებელი ელემენ-

ტები თან-და-თან მრავლდება. რაც უნდა გონება ამერიოს იმათს განხილვაში, რაც უნდა უმცირესმა შემთხვეულობის მხარემ გამოქსუოს და გამიზნოს ტვინი, ჭაინც იმდენს ვეცდები, რომ რომელსამე შესანიშნავს მხარეს ახლანდელ მოძრაობისას ხელს ვსტატუბ და ცოტაც არის ყურადღებას მივაქცევინებ მკითხველს ამ საგანზე.

თუმცა ასე ზდილობიანის სახით ვიქცევი თქვენთან, მკითხველო, თუმცა გეუბნებით, რომ მე ბევრი არა შემიძლია რა მეთქი, ცოტაოდენი რამე თუ გაცნობა ჩემისთანა მცირე ღონის პატრონმა მეფელტონემ, ისიც საკმაოთ უნდა მიითვალოთ მეთქი, მაგრამ, ჩემს გულში რომ ჩახედო, ოჰ, რა განუსაზღვრელს თავმოყვარეობას შენიშნავ, ვინ იცის. სხვა მეფელტონე, რასაკვირველია, ამას არაოდეს არ იზამდა, არაოდეს არ მიფიქრობდათ თავის შინაგან ამაყოფაზე. და რასაც ამაზე გეტყვი, თუ თქვენ იქიდგან მართლაც ჩემს უზომოს თავმოყვარებას დაინახავთ, მაშ ისინი,

რომელნიც ჩემსავით გულკეთილათ არ იკადრებენ თქვენთან თავის გულის პასუხის გამოცხადებას, რაღა იქნებიან, მკითხველო? აჰ, ჩემი თავმოყვარება: ერთი, რომ იმ ქვეყნის კუნჭული, რომლის ცხოვრების ვითარებას ამ ჟამათ მოგახსენებთ, მთელი ქვეყნის შუაგულ წერტილათ და მთელი ქვეყნის თვალათ მიმაჩნია; მეორე, რომ ჩემი თავი, როგორც გამხრლოველი და დამფასებელი ამ ქვეყნის ცხოვრებისა, ყველა მწერლებზე უფრო მოხერხებულ მწერლათ და უფრო ღრმა ფილოსოფოსათ მიმაჩნია. ვფიქრობ, თუმცა ქვეყანაზე ბევრს ჭკვიანური აზრი მოსვლია. თავში, ბევრს დიდის გონებით უდევნებიათ თვალყური თავის ქვეყნის ცხოვრებაზე, მაგრამ არცერთს იმათგანს ჩემისთანა მშვენიერი და მართალი აზრი თავში არ გაჩუჩუნებია. მეტქმ. ამბობენ, რომ ლოკრუასთანა მოხერხებული და ჭკვიანი საპოლიტიკო მეფეელტონე ზაფრანგეთში არ არისო, მაგრამ მე რომ შემხვდეს და ერთმანეთს გავეცნოთ, და-

ლიან ღარბაისლურათაც მივეგებები, ბევრ-საც ვაქებ, ღიღს ყურადღებასაც მივაქცევ, მაგრამ გონებაში ამას ვიფიქრებ: თუმცა უენ საფრანგეთის განთქმული მეფელტონე ბრძანდები, მაგრამ, სწორეთ მოგახსენოთ, ზოგერთ ჩემ ფელტონებთან კი ნურას უკაცრავათ, ჩემები სჯობია. თუმცა, იქნება, საპოლიტიკო ფელტონები შენი ემჯობინოს, მაგრამ სააღებო და საღიღმარხო ფელტონები კი ჩემი სჯობია-მეთქი; თუმცა შენ ჭკვიანი კაცი ხარ, მაგრამ ბევრს შემთხვევაში მე გჯობივარ-მეთქი. გულში რომ აღისთანა აზრები მექნება, გარეგანი ყოფა-ქცევით კი ერთმანეთს დავუმტკიცებთ ჩვეულებრივს ღარბაისლურს ყურადღებას. რასაკვირველია, როგორც მე ის, აგრეთვე იმას მე მივეჩნევი თავის გულში სუსტ მეფელტონეთ და ცოტა შებრალებითაც მომექცევა; ზოგჯერ მეც მედიდურათ გადავხედავ ხოლმე და მომეტებულს ჩემმიერ პატივის ცემაში შეიმჩნევა უფრო შეცოდება, ვინამც თანასწორობითი მოქცევა.

ამსახით ცალკე რომ გამომკითხო მთელი ქვეყნის ფელტონებზე და წარჩინებულ მწერლებზე, ყველაში რომ ცოტა რაიმე ნაკლულევანება არ შევნიშნო, არ იქნება; და თუ შენ მიმხვედრი კაცი ხარ, ამისთანა ქვეყნის გაკრცხვაში ჩემმიტრ დაინახავ უზომო ჩემს თაფმოყვარებას, რომელსაც ცა ქუდათ მიაჩნია და დედა-მიწა ქალამნათა და ჩემი მოძმე მეფელტონე ყველანი ჩემზე უგლახესათა. ერთი სიტყვით, როგორც ერთ მახვილ ფონიერმა „დროების“ მეფელტონემ თქვა: „მე ვარ და ჩემი ნაბადიო“ სწორეთ მეც იმასთანა ვარ ამ შემთხვევაში. მაგრამ, მკითხველო, წარმოიდგინეთ ჩემი უგნურება, რომ თქვენც ჩემი თვისების მგონიხართ. მაგალითად, როცა თქვენ და საქმეში თქვენი მოკამათე ერთად შეხვედრიხართ, როგორის ამაყობით ჩაგითვალთ იერებიათ ერთმანეთი თავიდგან ფეხებამდის, როგორ გითქვამთ გულში ორივეს ერთმანეთისთვის, რომ თუმცა შენ მარჯვე მოსაქვე ხარ, მაგრამ მე კიდევ შენზე

უკეთესი ვარო; ამამნაირი თავის მოტყუება და უგნურება. არამც თუ მარტო მე და შენ გვჭირს, მკითხველო, მთელს ქვეყნის ხალხსაც ასესჭირს და როდესაც გამოვლიან ცხოვრების ასპარეზზე საბრძოლელათ, ყოველი იმათგანი ფიქრობს გულში, რომ მე ჩემს მოკამათეზე უკეთესი ვარო, უკეთ მესმის საქმეო და ან უახლოვდება, იმ აზრით, რომ ხელში ჩაეიგდებო, მოეთოკავო და გაეცურებო, ან თუ ეს ვერ მოახერხა, უპირდაპირდება, ლანძღავს და თუნდ მოსაკლავათაც არ ზოგავს იმ წმინდა აზრით, რომ იმაზედ მე უფრო მოხერხებულათ, და ქვეყნის საკეთილ დღეოთ ვიმოქმედებდიო. ამ ბრძოლაში ერთიცა და მეორეც ფიქრობს: არა მე ვარ უკეთესიო და არა მეო. ამისთანა კაცების დამოკიდებულებას თუმცა ერთი ცუდი თვისება სჭირს: მუდამ თავის უგნურების ჩენა და გულ კეთილათ თავის თავის ტყუება; მაგრამ მეორეს მზრით რამდენათაც გაცხარებით იბრძვიან ერთმანეთის მოკამათენი და რამდენა-

თაც უფრო წმინდის გულით ატყუებენ თავიანთ  
 თავს, იმდენათ მესამე პირი, რომელსაც საზო-  
 გადო ცხოვრება ეწოდება. უფრო მოგებული  
 რჩება; რამდენათაც გაცხარებით და მძვინვარეთ  
 იბრძვიან ორი მოდავე პირი ანუ მხარე-ერ-  
 თმანეთთან, იმდენათ უფრო ცხადათ და ღრმათ  
 ჩნდება ორთავეს ბაასში და ლაპარაკში, სად  
 არის, ან რომელია უფრო წინ წამყენებელი  
 გარემოება საერო ცხოვრებისა. საზოგადო  
 ცხოვრების თვალის იმას აღირჩევს, იმ გზას  
 გაჰყვება და ამით უფრო ჩქარი და დიდი კე-  
 თილმდგომარეობაც ეძლევა ხოლმე. თვი-  
 თონ მოკამათენი, ერთმანეთის წინააღმდე-  
 გი მომხრენი ამ გულკეთილის უგნურებით  
 ატეხილს სასტიკს ბრძოლაში იხოცებიან, ცალ-  
 კე ჰირები, ან იმათი მომხრენი ილუპებიან,  
 მაკრაჟი ცხოვრების მდინარე კი თითქოს იმა-  
 თი მსხვერპლით ჰპოებს ახალს ძალას, დიდდება  
 და კეთდება. მაშ გაუმარჯოს კაცების უგნურს  
 თავ-მოყვარებას, გაუმარჯოს ქვეყნის საკეთილ-

დღეო ბრძოლას! დაე ამისთვის დაიღუპოვ  
კერძო პირები.

## I

საცა არ გაიხედავ, ყოველგან ნიშნავ უცხო  
ამბებსა ამ ჩვენს პაწაწა ქვეყანაში. მიხვალ სუ-  
რამის სტანციაზე და იქ დაგიხვდებიან იმერლე  
ბი, რომელნიც მთაზე გადასარბენს ცეცხლის-  
ეტლს ეშმაკებივით ებლაუჭებიან და როგორც  
უნდათ და საითაც უნდათ იქით წაიყვანებენ.  
ესენი ის გრძნეული სულები და ქაჯები ხომ  
არ არიან, რომელნიც რუსთველს აუწერია,  
ფიქრობ გონებაში, იქვე გადმოხვალ ცეცხ-  
ლის-ეტლითგან და შეხედავ მეკურტნეებსა: „ბა-  
ტონო, მიბოძეთ თქვენი ბარგი, მოვიკიდებ ზრუ-  
გზე და გოსტინიცისკენ გავშპები“ — ეს გურუ-  
ლები. ოი, დიდებაშენთვის ღმერთო, გურუ-  
ლი და მეკურტნე, ეს რა ამბავია. გურულს  
იარალი ხელში და წინ მტერი, აი იმისი საქ-  
მე. მუშაობა, კურტანი და წელმოსაწყვეტი,  
ბარგი გურულს ვინ აკადრა; უწინ რომ გუ-

რულისთვის კურტანი მიგეცა, თოფს გკრავ-  
და, ახლა კი თვითონ გეხვეწება, მიბოძე მე  
წამოგიღებო და თან კურტანსაც იკიდებს.  
გახვალ შე-ზღვაში და შეხვალ ცეცხლის-  
გემზე. იქ მატროსი ვინ არის? მეგრელი. მე-  
მაშინვეინ არის? მეგრელი ან იმერელი. მზა-  
ჩეული ღინ არის. მეგრელი ან იმერელი? მო-  
სამსახურე? — მეგრელი. იქიდგან ჩაჯდები ცეც-  
ხლის-ეტლში და წამოხვალ. გზაზე ხონელი მი-  
ღის, ძარში ქათმები დაუწყევდევია და კალათები  
კვერცხებით აქვს სავსე. სად მიხვალ-ეუბნები?  
ტფილისში გაახლებიო, საქმეც მაქვს და სა-  
ვაჭროცო. ტფილისში მოხვალ, მიიხედ-მოი-  
ხედავ, გაოცდები: ყოველგან ლიხის მთას  
იქით მცხოვრებლებს ხედავ. რკინის გზა თით-  
ქოს იმერეთის ხალხისთვის გაეკეთებინოსთო,  
თითქოს მხოლოდ იმათ სცნესო ამისი სარ-  
გებლობა, ეცენ და იმის სა'მუალებით ტფი-  
ლისი თავის სავაჭრო ქალაქათ გახადესო. ისი-  
ნი დღითი-დღე მრავლდებიან ტფილისში და  
ტფილისის ბაზარში ამრავლებენ საქართვე-

ლოს მიწა-წყლის ნაწარმოებს და აღიდებენ საქართველოს ხალხის აღებ-მიცემობას.

როგორც კი გზა გაეხსნა, როგორც კი მოისპო მუქთი შრომა, გლეხი დარწმუნდა, რომ იმისი შრომა მომეტებული ნაწილი იმასვე ეკუთვნის და ვალდებულს გადასახადს გარეთ სხვა, რამდენიც უნდა შეიკრიბოს, სულ იმისია, ამას შემდეგ ყველამ თვალი გაუშინა; გურულმა გლეხმა უშვერ ამაცობას თავი დაანება და კურტანი მოიღვა ზურგზე. იმერელმა გლეხმა კუდაბზიკობას, სტუმარ-მოყვარებას, მთვრალობას თავი დაანება და გასწია ქალაქს სავაჭროთ. ცოცხალი, მკვირცხლი ხასიათი იმერეთის ხალხმა, რომელიც შეწუხებას ვერ ითმენს და ხანგრძლივს, მძიმე უღლიანს მუშაობას ერიდება, თითქოს ფრთები გამოისხა ჩქარი მატარებელი ცეცხლის-ეტლი რომ დაინახა, ჩაჯდა შიგ და იქ მოგროვდა, სადაც დიდი აღებ-მიცემობის წერტილებია, სადაც ბევრი შრომის მაგიერათ თვალთ-

მაქცობა, მიხვედრა და სიმარჯვე სჭირია მხოლოდ მალე გამდიდრებისთვის.

თავის შრომაზე დაიმედებულმა ქართლის გლეხობამაც ბევრათ უმატა მიწის შრომას, ნაწარმოების გასასაღებელი გზა გაეხსნა და ისიც ამ ბოლოს დროს ჩასუქდა, გამოფხიზლდა; თუმცა იმის მძიმე აგებულებას მაგრე აღვილათ ვერა გამოაფხიზლებს რა. ესე ყოველივე ყველაზედ უფრო რკინის გზის ბრალია და არც იქნება ცუდი, რომ ტფილისში სავაქრო მოძრაობით აეხსნათ იმისი მნიშვნელობა საქართველოს ერის საკეთილდღეოდ.

## II

ტფილისი არის მთების ქვაბში ჩადგმული ქალაქი, ძველათგანვე ყოფილა საქართველოს ალაყაფის კარებში. ეს მნიშვნელობა ჯერ კიდევ უახტანგ გორგასლანს მიუყვია ამ ალაგის მდებარეობისთვის, გაუშენებია აქ ქალაქი და ტახტიც თან გადმოუტანია. როგორც სა-

ქართველოს მცველი და გუშაგი, უკეთეს სა-  
ყარაულო აღგიღს ვერსად ვერ ნახვდა. შემ-  
დეგ თვითონ იმან თავის სიცოცხლეშიაც ცხა-  
დათ დამტკიცა, რომ შემცდარი არ იყო. იმან  
ტფილისი გახდა ორ კუთხით გაველებულ  
ზღუდეების შუა წერტილათ, წინ წამოწეულ  
ზღუდეების ცხვირათ და ამ სიმაგრის წყლო-  
ბით საქართველოს ვახტანგ გორგასლანის სი-  
ცოცხლეში მტერი ვერ შეკარებია. მას შემ-  
დეგ აქამომდე მტრის საასპარეზო ალაგათ  
სწორეთ ტფილისის კუთხე გახდა. თუ ეს  
ქალაქი, ან უკეთ ვთქვათ, ქვეყნის ალაყაფის  
კარები მტერს ხელში ეჭირებოდა, მაშინ მთე-  
ლი აღმოსავლეთისა და დასავლეთის საქარ-  
თველოც იმის გაველენის ქვეშ ჩაეარდებოდა.  
ღრ.თა ვითარებისაგან აქამომდე ეს აზრი  
მათლდება. არამც თუ სამხედრო შეხედუ-  
ლებისამებრ, ვაჭრობითი ბრძოლაშიაც ასე  
მოხდა. ფეხრ გაიდგეს თუ არა ტფილისის ნი-  
ადაგზე სომხებმა და სხვა ტომის ერმა, ნახე-  
ვარ საუკუნესაც არ გაუვლია, რომ მთელი

ჩენი ქვეყნის ვაჭრობა და აღებ-მიცემობა იმათ ხელში ჩავარდა. ქართველები ორმოცდაათ წელსაც ვერ გამაგრებიან ამ ახირებულს უფარხმალო ბრძოლას; მაშინ, როდესაც ორი ათასი წელი ასი და ათასი იმდენი მტერის ბრძოლას გაუმაგრდენ და ზურგიც აბრუნებინეს. რათ მოხდა ეს ამბავი?... ჩემს მეგობარს-შარშანდელ „კრებულის“ მეფელტონეს რომ ჰკითხო, ის ავიხსნის: ეგ სპარსეთის გავლენის ბრალიაო. იმათ თავისი ზარმაცი ქვემძრო მელისებური სისხლი გაურიესო საქართველოს ერის ძარღვებში და ამისგამო ერის გონება, ხასიათი, ზნეობითი მხარე და აგებულება დაჩლუნგდა, უგრძნობელი შეიქნა და იმისთვიე მოუვიდათო. თუმცა ჩემი მეგობარი მეფელტონის აზრს დიდს ყურადღებას ეძლეოდა და დიდათაც მიმაჩნია, მაგრამ, როგორც მოგეხსენება ყოველი მეფელტონის თავმოყვარება, მე მაინც ჩუმათ არ ვეთანხმები და რასაც მე წარმოეთქვამ ამ საგანზე უფრო მართალი მგონია. ჩემის აზრით გარეშე სისხლს ქართველნი

ლელებზე იმდენი გავლენა არ ჰქონებია, რო-  
 გორც თვითონ ქართლის ბუნებას. ეს ქვე-  
 ყანა არის ერთი გაუწყვეტელი მინდორი  
 მტკვრის გაყოლება, ანუ უკეთ ვთქვათ, ერ-  
 თი განიერი ვაკე-გორა, სადაც მთებიც და  
 ქედებიც კი გავაკეგორებულის. მიწა არის შა-  
 ვი, მძიმე, ალაგ-ალაგ თიხიანი და ლექიანი.  
 მდინარეები იმერეთის ხევებთან შედარებით  
 დამლოვრებული და ზანტათ მიმდინარენი; ად-  
 გილები არის სარწყავი და მიწა მძიმე ან შავი  
 ან ლექიანი. ჭირნახული მოდის ბევრი, ჭანსა-  
 კუთრებით ხორბალი, რომელიც არის საქ-  
 მელათ ძალიან მძიმე. ღვინო მოდის ცო-  
 ტა, ზოგან სულ არა. ეწყობიან სასმელათ  
 უფრო პურის ანაყს. ორი ათასი, სამი ათასი  
 წელიწადია, რაც ქართლები მიწას მუშაო-  
 ბაში არიან განვითარებულნი და უცხო ქვეყ-  
 ნელებიც ძველთაგანვე. ამ ხალხს ეძახოდენ  
 გეორგიას, ესე-იგი მხვნელ-მთესველსა. იმას  
 ძველთაგანვე მოუგონია ძალიან კარგათ მო-  
 ხერხებული თავის მიწის სამუშაო იარაღები:

მძიმე და მაგარი გუთანი, მძიმე და მაგარი ურემი, მძიმე და მაგარი ნაკეთები კევრი. როგორი სადგომი აქვს ქართლელს? ის ცხოვრობს, როგორც ქვე-წარმავალი, ქვე მძრომი, მიწაში. ის დედა მიწა, რომელიც იმჟს არჩენს, იმასვე ათბობს და იფარავს ზაფხულ პაპანაქება სიცხისაგან და ზამთარ საში. ნელ ხმელ ყინვებისაგან. ქართლელს გველ-ზაფხუთ გაუთხრია სორო მიწაში, რომელსაც ეძახიან გომებს და თუმცა ძალიან მოხერხებული საცხოვრებელია ზამთარ და ზაფხულ, მაგრამ ამ გომში ჰაერია მძიმე და წამხდარი, ამისთანა ჰაერი სუნთქვას ამძიმებს და სისხლს კარგათ ვერ აკეთებს და ამისგან კიდევ ამღოვრებს, ნელა ატრიალებს ტანში. ამისთანა მძიმე სისხლის კაციც აგრეთვე უნდა გამხდარიყო მძიმე, მოძრაობაში ზანტი, გრძობით და გონებით ძალიან ნელი, თავ-შეუდებელი. არაფითარი გაჭირება იმის მაგარ ტვინის ძაფებს მომეტებულათ არ შეარყევდა, ამასთანავე ხშიადი პური, რომელიც იმას სტომაქს

გაუტენიდა, მოძრაობაში ძალიან უნდა დაემძიმებინა და გვიანაც უნდა მოეშივეებინა. ამ სახით ის ძალა-უნებურათ თავის ბუნების გავლენით უნდა შექნილიყო მძიმე, აუჩქარებელი და მტკიცე მიწის მუშა, განსაკუთრებით მიწის მოყვარული, რადგან მიწა იმას რომ ცხოვრების საშუალებას, აძლევდა, იმის ნახევარსაც არას არგოდა თავისი ქვეყნის მიწა-წყალი იმერელსა. შეხედეთ გუთნის დედას, როგორის ზოზმანით და დაღონებით მღერის, როცა გუთანს ერეკება. ახლოს რომ მიხვიდეთ, მაშინვე შეატყობთ, რომ იმისი ხმ მიწაში გუთნის სრიალთან არის შემზგავსებული, თითქოს იმის განუშორებელი დედა-მიწა იმის ზანტს მეხრეულს სიმღერას ბანს აძლევდეს. იმას უყვარს თავის მიწა, იმაზეა მტკიცეთ დაკავშირებული და თუნდ მოკალი მაინც არ მოშორდება. ვის უნახავს ქართლელი, რომ თავის ქართლს თავის ნებით მოშორებოდეს. იმას უყვარს თავისი მიწა-წყალი და იმის ზენა-თესვის მეტი არა იცის რა.

ამისგამო ქართლელი არც არის ვაჭარი, არც არის შორს-ბედის მეძიებელი. იმას თავის კარზე აქვს ერთიცა და მეორეცა. ამისგამო სომეხსა და სხვა ტომის ხალხს დიდი ჯიბრი არ დაჭირდებოდათ, რომ მოკლე ხანს თითო-ორჯოლა ქართლელი მიკიტანი გამოეგდოთ ტფილისის ვაჭრობის მოედნიდამ და თვითონ ჩაეგდოთ ხელში მთელი ქვეყნის წარმოება;

იმერეთის ხალხი სულ სხვაა. იმას მიწა ცოტა აქვს, თვითონ ბუნებაც დამიწა-წყლის წყობა ისეთი დაგრეხილია, მთა-ბარიანი და ხევანი, რომ იქ მცხოვრებს ხალხს სირბილის მეტს არას ასწავლის. ყოველი ხევი ისეთის სიჩქარით გადმოეშვება მთიდგან, თითქოს მთელი მთა და ბარი თან მოაქვსო. მიწა ვერ მისცემს თავშესაფრს, ამიტომ რომ, ჯობითაც რომ ამოჩიქნო, წყალი ამოვა. მიწა კარგი მოსაველიანია, მაგრამ იმერელი ძალიან ძვირათ-ნახავს თავის მოსაველს, ან წყალი წაართმევს, ან მეწყერი; ამას გარდა მომეტებულ ნაწილათ ღომით იკვებება.

ის არის ძალიან მსუბუქი საქმელი და იმით ნაკვები კუჭი ნახევრობამდის სულ მშიერი აქვს; ზამთარში იცის ფუცხუნა სიცივე და ზაფხულ ნამიანი და ხაშმიანი ჰაერა. ამისგამო იმერელი მთელი წელიწადი ფეხ-ტიტველა და-ტანტალებს გარეთ კარგს ჰაერში, უიმშილით მუდამ ფერდებ-მიკრული მელასავით, და იმასაგითვე მარდი, ცქვიტი, ცოცხალი გამოხატუ-ლებისა, გონიერი მიხდომი და გარეთ საშუა-ლების ძიებაში დაუღალავე. ამისგამო ის ად-რითგანვე მიეჩნევა გარეთ რამე თავგამოსაკვებს ხელობას, თუ საქმის შოვნას, იწყო ტანტა-ლი, ხელობის სწავლა და აღებ-მაცემობა. იმას არაფრათ შიაჩნია მაგდენათ თაეის ეიწრო ალაგი, რომელიც თუმცა ძალიან მშვენიერია, მაგრამ კუჭს ვერ უძღობს, და მელასავით გარე-გარე დადის საზღოს საშოვნელათ. ჯერ რკინის გზაც არ იყო, მაგრამ იმერელს ადვი-ლათ შეხედებოდი, ქართლში, კახეთში, ერე-ვენში და კასპიის ზღვის პირებზე, აგრეთვე შავი ზღვის პირები ოდესამდის იმათგან იყო.

გავსილი. ცხოვრების გარემოება იმას მუდამ აჩვევდა რბენას, მახვილ-გონებიანობას, სისწრაფეს, ამისგამო ის ბუნებითად მოვაჭრე ხალხი უნდა შეიქნეს. რკინის გზამ ამ ხალხს მისცა საშუალება ტფილისში მოგროვებისა და იქ ალებ-მიცემობის დაწყებისა. მართლაც, ჯერ სამი წელიწადი არ გასულა, რაც რკინის გზა გაიხსნა, მაგრამ იმერლები ერთი ორათ გამრავლდა ტფილისში.

ამ შემთხვევას ძალიან დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ჩვენს მომავალს ცხოვრებაში, ქვეყნის დამშვიდების შემდეგ ქართლის ხალხი ჩადგა თავის ჩვეულებრივს ცხოვრების კალაპოტში, მიჰყო ხელი გულდამშვიდებით უწინდელს ხენათესევას და ჩაძვრა თავის გომებში; მაშინ როდესაც საქართველოს ბურჟი და ალყაფის კარები, ტფილისი გაძლიერდა, გაღონიერდა, გაივსო ხალხით, შეიქნა არამცთუ საქართველოს ერის, მთელი კავკასიის მილეთის საეჭრო წერტილათ; იმასში დატრილდა ასიათასი მცხოვრები. მაგრამ ვინ შეიქ-

ნა ამ ალაყათის და საქართველოს დედა-ქალაქის  
პატრონი? ფეხტიტვილა, ოსმალებისგან გა-  
ლახული და გაცარცეული სომხები, რომელთაც  
ნახევარი საუკუნის განმავლობაში მუცელიც  
გამოიძღეს, სიმდიდრეც მოიპოვეს და მთელი  
ქართლ-კახეთის მიწა-წყალი, როგორც თვი-  
თონ ტფალისის ქალაქი, ზოგი დაისაკუთრეს,  
ზოგი ხელში დაიგირავეს. აი, რა მოახერხა  
მკვირცხლმა მოვაჭრემ, ლატაკმა, უცხო ქვეყ-  
ნითგან გადმოფარდნილმა უმიწა-წყლო ხალ-  
ხმა. აქამდის გზის უქონელობისგამო ამ ვა-  
ჭარ ხალხს საქართველოს ტომში მოკამათე  
ვაჭრობაში არ ყავდა ტფილისის ნიადაგზე.  
იმერეთის ხალხი გადაკარგული იყო მთას  
იქით. აწ რა კი რკინის გზა გაიხსნა, იმან მი-  
უთითა საქართველოს ტომის ვაჭარს ხალხს  
ხელი ტფილისზე და უთხრა: აი, შენი დედა-  
ქალაქი და საქართველოს ბურჯი გარეშე მო-  
ვაჭრე ხალხს ჩაუგდია ხელში; შენ ეს აქამ-  
დის არ იცოდი და რომ გცოდნოდა მაინც

აქამდის ვერას გაარიგებდი. აწ მიესიეთ და იჩინეთ თავი ტფილისის საეპროს ასპარეზზედ. ახლა იქ არის ბურთი და მოედანი დაიწყეთ ტფილისის საეპროს ბაზარში მიწოლა და ეპრობა ისევ თქვენ დაიჩინეთ. უამისოთ ტფილისიუ სამუდამოთ დაკარგულია და ქართლ-კახეთის მიწა-წყალიუ დაღუპული. ამას-გარდა რკინის გზა ძალიან მჭიდროთ აახლოებებს ამ ერთი ერთმანეთის წინანდმდეგ ხასიათების ხალხს, იმერლებს და ქართლ-კახელეზა იმერელია შარდი, გონება-მხვილი, სწრაფი მგრძნობელი და მალე თავის ამლები ქართლელია მტკიცე, ჭეშმარიტი, ძლიერი და გამტანი. როდესაც ეს ორი თვით ერთმანეთში გადავა, ერთის ნაკლულეეანება მეორის ღირსებით შეივსება, მიშინ ჩვენი ცხოვრების ნაკადულიუ ძალიან გადიდდება, იწყებს წარმატებით ჩქარდენას და კეთილ-დღეობაც მოახლოვებულია. ყოველივე ამისი კვალი ახლაც სჩანს და ეს მოგვიტანა საქართველოს რკინის

გზამ. მაშ გაუმარჯოს ცეცხლის-ეტლს, გაუმარჯოს!

### III

ბურთი ვისია? — „არც ჩვენია, არც თქვენი, ორთა შუა არის.“ ამ სასტიკს და დიდბუღს ბრძოლაში მე, როგორც შორს გამჭვრეტს მეფელტონეს, იმედი არ დამკარგვია. საქართველოს ერში ბევრია ისეთი საიმედო ნიშნები, რომ ის თავისას არ დაკარგავს, თუმცა, მკითხველო, მე და შენი გვარის კაცებს დიდ ხანი არა აქვს. ჩვენი წინაპრების შთამომებამ თავისი სული დალია. მე ვამბობ იმ თავდაზნაურობაზე, რომელიც ამჟამათ საქართველოში ღონე-გამოღეულია. ათასი და ორი ათასი წლის უსამართლოებამ ეს გვარი დაღუპა საქართველოს ნიადაგზე. ამ წოდების ოდენი უზნეობა და ქვეყნის გამცემობა არცერთს წო-

დებას აზი მიუძღვის. ძველითგანვე დაწყებული ჩვენი ქვეყანა სულ ამ ბოროტი წოდებას უსამართლოებით იყრ დაღუპული. ერთის მხრით იყენენ გამდგარნი თავად-აზნაურობანი და მეორეს მხრით მეფე და მშრომელი საქართველოს ერი.

მეფე და მშრომელი ერის ნაწილი სცდილობდენ თავის ქვეყნის გამაგრებას; მაგრამ უზნეო თავად-აზნაურობა შუაში უდგა ამ ორს მოკავშირეს, ხელმძღვანელობდა მხოლოდ თავის საკუთარი ინტერესით და რომ თავის სამფლობელოში დამოუკიდებელი ყოფილიყო, მიდიოდა ხან სპარსელებთან, ხან ოსმალებთან, ხან სხვა ხალხთან, მოიპატივებდა თავის ქვეყანაში, გზას თვითონ უჩვენებდა, ალაყაფის კარებს თვითონ გაუღებდა და გაანადგურებინებდა თავის სამშობლოსა საწყალი მშრომელი გლეხების ქოხები იწვოდენ, მეფე გადაეარდებოდა და მტერი ქვეყანას თელავდა. მაგრატ მეოთხის ერთი შუღლიც საკმაოა, რომ ლიპარიტ ორ-

ბელიანი გაიქცეს და სელჩუკის სულტანს მოკავშირეთ გაუხდეს. მეფე უსინიდისო და უზნეო ყოფა-ქცევისათვის ერისთავს ისე ვერ მოუწოდებდა დასასჯელათ, რომ იმისი შვილი არ გადავარდნილიყოს მტრის კარზე და შური არ ეძიოს. ამისთანა გამცემობამ და დაბალი ხალხის შეუბრალებლობამ თავად-აზნაურობის ბატონობამ და მუდამ მშრომელი ხალხის კისერზე ჯდომამ თან-და-თან წაუხდინა იმას სისხლი, ზნე და ხასიათი. იმის შთამომავლობაში გადვიდა უხასიათობა, ცუდაობა, სულით სისუსტე, ღონით სილაჩრე. ბოლოს ცოდვა ატივტივდა, ფიალა პირამდღ გაივსო ბოროტებით და როცა თავს გადასდინდა, მაშინ სამართალმაც მოუსწრო. დროთა-ვითარებამ ისინი მშრომელი ხალხის კისრიდგან გადმოასკუპა, დასვა ცარიელზე და უთხრა, აწ შენი ოფლითა და მკლავით იშრომეო. გაფუჭებული და ღონე გამოლექული ჩვენი თავად-აზნაურობა დარჩა ყოველად უნუგეშო მდგომარეობაში: შრომა იმას არ შეუძლია, სწავლა და მოხერხება არა

აქეს. ამის გამო ის თან-და-თან ღარიბდება საშუალება ხელითგან ეცლება და თან-და-თან ჰკრება იმას სახსენებელიც. ამ გარემოებაში მოგებული დარჩა ის ღმრავლესი ნაწილი ხალხისა, რომელიც ძველითგანვე გაჭირებაში და შრომაში იყო გაწაფული. ძველითგანვე დაბალ წრეში ჩაყარდნით, გონიერი, სამართლიანი, მაგრამ უსამართლოებით დაჩაგრული ჩვენი შუშა-ხალხი როგორც შეიქნა თავისუფალი, სულიც მღვ მოიღვა. ამჟამად მხოლოდ ის შრომობს, რს იგებს, იმას გაუდის თავის ღონის და გონების ძალა; მომავალიც ამ ჯანით ღონიერს ხალხზე ტრიალებს და იმდენი ბუნებითი კარგი თვისებაც აქვს, რომ მაჟიცილებლათ ბურთი და მოედანი იმას დარჩება, მით უფრო სარწმუნოა ეს ამბავი, რომ ამ ქორთუ ხალხის ნამდვილ შეილებათ და მოთავეთ სთელის. თავის-თავს ის გონება გახსნილი და მშრომელი ახალგაზდობა, რომელსაც სულ პირველათ ქვეყნის ბედნიერება და

მთელი ერის კეთილდღეობა აქვს წინწყენე-  
ბული. ამ სახით ჩვენ თავად აზნაურობის და-  
სუსტება, დაქვეითება და მუშა ხალხის სულის  
ჩადგმა, იმისი წინ წამოწევა, აი ერთი დიდათ  
სანუგეშო ნიშანთაგანი ამ დროებისა. მაშ  
გაუმარჯოს მშრომელს ერს და იმის მოთავე  
მშრომელს, განათლებულს ახალგაზდობას.  
ჩვენი ქვეყნის ბედნიერება შემდეგში ამათს  
ერთმანეთთან დაკავშირებაზე და დამეგრობა-  
ზეა დამოკიდებული.

ბ. წერეთელი.